

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტი

სამეცნიერო შრომების კრებული

ISSN 1987-5851

ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები

X

STUDIES IN ART CRITICISM

ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა

ბათუმი 2024

UDC (უკ) 7.072(051.2)

რედაქტორი: მაია ჭიჭილეიშვილი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

ტომის რედაქტორი: სოფიო თავაძე, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

სარედაქციო საბჭო: ლელა ოჩიაური - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო; ანა კლდიაშვილი - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; ზარუი აკოპიანი - სომხეთის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ერევანი, სომხეთი; გაბრიელა ელინა იმპოსტი - ბოლონიის უნივერსიტეტი, ბოლონია, იტალია; აიგა ძალბე - ლატვიის ხელოვნების აკადემია, რიგა, ლატვია; თეიმურაზ კეჯერაძე - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო; ერმილე მესხია - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო; ინგა ხალვაში - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო; ხათუნა მანაგაძე - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო; თეა ცაგურია - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო; თამარ სირაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.

- **Editor:** Maia Tchitchileishvili, Batumi Art State University, Batumi, Georgia
- **Volume Editor:** Sofio Tavadze, Batumi Art State University, Batumi, Georgia
- **Editorial Board:** Lela Ochauri - Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University, Tbilisi, Georgia; Ana Kldiashvili - Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts; Zaruhi Hakobyan - State Academy of Fine Arts of Armenia, Yerevan, Armenia; Gabriella Elina Imposti - University of Bologna, Bologna, Italy; Aiga Dzalbe - Latvian Academy of Arts, Riga, Latvia; Teimuraz Kejeradze - Batumi Art State University, Batumi, Georgia; Ermile Meskhia - Batumi Art State University, Batumi, Georgia; Inga Khalvashi - Batumi Art State University, Batumi, Georgia; Khatuna Managadze - Batumi Art State University, Batumi, Georgia; Tea Tsaguria - Batumi Art State University, Batumi, Georgia; Tamar Siradze - Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia.

საქართველო, ბათუმი, ზურაბ გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32

Georgia, Batumi, Zurab Gorgiladze/Vazha-Pshavela №19/32 Street

www.batu.edu.ge

info@batu.edu.ge

© ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა 2024

სტამბა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

თეატროლოგია THEATROLOGY

XII Century and Georgian Theater

XII საუკუნე და ქართული თეატრი

Tamar Tsagareli

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Associate Professor

Scientist-researcher of the Union of Tbilisi Municipal Museums

+995 599505467, ttsagareli@tafu.edu.ge

Abstract. The presented paper discusses and investigates the signs and elements of the Georgian theater of the renaissance period. Georgian performing arts have traveled a centuries-long path from simple folk forms to modern theater. The great tradition of performing culture is verified by the theater buildings and objects of various purposes discovered as a result of archaeological excavations. The dancer (with a bull mask) depicted on Colchis coins and copper coins found in Kartli - speaks of the existence of a show or performing culture in the Georgian tribes of that time. The ancient tradition of performing culture in our country is confirmed by archaeological findings as well as (and mostly) by linguistic data. By means of the historical-comparative method, the terms of performing culture (singing, dancing, instruments, etc.) can be restored at the general Georgian level. Fragments of ancient Georgian dramatic poetry and descriptions of pantomime performances of the Hellenistic period are confirmed in both original and translated monuments of medieval Georgian literature. In the same monuments, many main Georgian theatrical terms are found, which are discussed and analyzed in the work.

Even after the establishment of Christianity in Georgia, the theater maintains its existence and the church's attempt, initially its rejection, similar to the European countries, which is confirmed by John Chrysostom and Ekvtime of Athens, is also noticed. According to the "Divine Law", Christian believers were strictly forbidden to do anything related to theatrical art. According to his sermons, the church later tried to use the theatrical performances to attract the congregation. In the 11th-13th centuries, the pantomime performance like felicity, dance reached a special development. One such pantomime performance is described in the old Georgian monument - "The Balavariani".

From the 12th century, depending on the cultural and political situation of Georgia, it is possible to talk about the renaissance period of Georgians. Here, the revival era was a continuation of the Byzantine Renaissance, where due to certain conditions, this process was stopped and continued in Georgia.

Suffice it to look at the movement of the Georgian state-political thought of the 11th-12th centuries that we can see in it the beginning of revival and the road to advancement. Accordingly, the theater, like other branches of art, literature and science, was formed and developed under the influence of ancient Greek art. Unfortunately, we can find little information about the Georgian theater state of art of this period, therefore we do not have any literature where the opinion about the theater would be recorded. However, various historical or literary monuments about the

theatrical life of this era allow us to evaluate the “forms of representation” of the stage art of this era. To confirm this, the work analyzes Davit Aghmashenebeli's “Hymns of Repentance”, Rustaveli's “The Knight in the Panther's Skin” and other historical and literary material.

Keywords: Georgia; Theatre; Epoch; History; Literature.

თამარ ცაგარელი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასოციირებული პროფესორი

თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების მეცნიერ-მკვლევარი

+995 599505467, ttsagareli@tafu.edu.ge

აბსტრაქტი. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია და გამოკვლეულია აღორძინების პერიოდის ქართულ თეატრის ნიშნები და ელემენტები. ქართულმა სანახაობითმა ხელოვნებამ მარტივი ხალხური ფორმებიდან თანამედროვე თეატრამდე მრავალსაუკუნოვანი გზა გაიარა. სანახაობითი კულტურის დიდ ტრადიციას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თეატრალური ნაგებობები თუ სხვადასხვა დანიშნულების ნივთები, კოლხურ მონეტებსა და ქართლში ნაპოვნ სპილენძის მონეტებზე გამოსახული მოცეკვავე (ხარის ნიღბით) - იმდროინდელ ქართველ ტომებში სანახაობათა კულტურის არსებობაზე მეტყველებს. ჩვენში სანახაობითი კულტურის უძველეს ტრადიციას არქეოლოგიურ მონაპოვრებთან ერთად (და უპირატესადაც) ენობრივი მონაცემებიც ადასტურებენ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით საერთო ქართველურ დონეზე აღდგება სანახაობითი კულტურის (სიმღერა-ცეკვის, საკრავების და ა.შ.) ტერმინები. შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ძეგლებში დასტურდება ძველი ქართული დრამატული პოეზიის ფრაგმენტები და ელინისტური პერიოდის პანტომიმურ წარმოდგენათა აღწერა. ამავე ძეგლებში გვხვდება მრავალი ქართული მთავარი თეატრალური ტერმინები, რომლებიც ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია.

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც, თეატრი ინარჩუნებს თავის არსებობას და შეიმჩნევა ეკლესიის ცდაც, თავდაპირველად მისი უარყოფა, ევროპის ქვეყნების ანალოგიურად, რასაც ადასტურებს იოანე ოქროპირი და ექვთიმე ათონელი. „სჯულის კანონით“ ქრისტიან მორწმუნეებს სასტიკად ეკრძალებოდათ ყოველივე, რაც თეატრალურ ხელოვნებას განეკუთვნებოდა. მისი ქადაგებების მიხედვით, შემდგომ კი, ეკლესიას ჰქონდა მცდელობა სათეატრო სახილველის გამოყენება მრევლის მოსაზიდად. XI-XIII საუკუნეებში განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს პანტომიმური სანახაობანი: განცხრომა, როკვა. ერთ-ერთი ასეთი პანტომიმური წარმოდგენა, ძველ ქართულ ძეგლში - „ბალავარიანშია“ აღწერილი.

XII საუკუნიდან, საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ ქართველთა რენესანსულ პერიოდზე. აქ აღორძინების ეპოქა იყო გაგრძელება ბიზანტიის რენესანსისა, სადაც გარკვეული პირობების გამო ეს მიმდინარეობა შეჩერდა და გაგრძელდა საქართველოში.

საკმარისია თვალი გადავავლოთ XI-XII საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზრის მოძრაობას, რომ მასში დავინახავთ აღორძინების საწყისსა და აღმასვლის გზას. შესაბამისად თეატრიც, ხელოვნების სხვა დარგების, ლიტერატურისა და მეცნიერების მსგავსად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ანტიკური ხელოვნების გავლენით. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ქართული სათეატრო სანახაობის

შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება, შესაბამისად არ გვაქვს ლიტერატურა, სადაც დაფიქსირებული იქნება აზრი თეატრის შესახებ, თუმცა, ამ ეპოქის სათეატრო ცხოვრების შესახებ სხვადასხვა ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლები გვაძლევს საშუალებას, შევაფასოთ ამ ეპოქის სასცენო ხელოვნების „გამოსახვის ფორმები“. ამის დამადასტურებლად ნაშრომში გაანალიზებულია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ისტორიული თუ ლიტერატურული მასალა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; თეატრი; ეპოქა; ისტორია; ლიტერატურა.

შესავალი. ცნობილია რომ, აღორძინების პერიოდის თეატრის მთავარი მოქმედი გმირი გახლდათ „ადამიანი-პიროვნება“, თავისი სულიერი სამყაროთი, გრძნობათა ბუნებით. ახალი თეატრალური ესთეტიკა შემსრულებლისგან მოითხოვდა დრამატული ნაწარმოების აზრის წვდომას, რთული და მრავალმხრივი ხასიათების წარმოსახვას. აღორძინების ეპოქაში განვითარდა პროფესიული თეატრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი ფორმები და ყურადღება გამახვილდა ხელოვნების, კერძოდ კი, თეატრის შესახებ შექმნილ ლიტერატურაზე. თეატრისა და დრამის სინთეზი განხორციელდა ესპანეთში ლოპე დე ვეგას დრამატურგით, ინგლისში - შექსპირის თეატრის შექმნით, სადაც პრაქტიკოსების მიერ თეორიული ნაშრომები შეიქმნა, რაც საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მსახიობები, რეჟისორები და დრამატურგები ქმნიან ლიტერატურას თეატრზე. საქართველოში კი, უკვე XII-XIII საუკუნეებში სასახლის კარის თეატრი რენესანსულ სათეატრო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც პოეტური სიტყვებით, მუსიკისა და ცეკვის სინთეზს ვხვდებით. სასახლის კარის თეატრის მსახიობებს - მუშაითებს უწოდებდნენ. ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ ახსენებს რა „დასავლეთ ევროპაში წარმოშობილ რენესანსს“, წერს რომ, საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა. ქართული რენესანსის ცნება კი, უპირველეს ყოვლისა, რუსთაველის სახელს უკავშირდება. „რუსთაველი თვისობრივად სხვა ეპოქას ეკუთვნის, კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ახალ ერას, რადგან მის მიერ ადამიანთა მოდგმის საფუძველზე გამოყვანილია ახალი ადამიანი, რომელიც უკვაშირდება და შეიცნობს არა მარტო გარე სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც, აღმოაცენს საკუთარი არსების წიაღში პიროვნებას“ (ქართული მწერლობა, 1989: 14). ოლივერ უორდროპმა თავის ნაშრომში „საქართველოს სამეფო“ („The kingdom of Georgia“) აღწერა არა მხოლოდ საქართველოს ისტორია - დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანის ეპოქა, არამედ დაწვრილებით ახსნა-განმარტება მისცა ევროპელ მკითხველს შოთა რუსთაველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, აღარაფერი რომ არ ვთქვა მის სრულ ინგლისურ ენოვან თარგმანზე. წინასიტყვაობაში ავტორი წერს, რომ ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე დაჰყვება საოცრად დამაბული ინტერესი, რადგან მისი დრამატული ერთიანობა არსად არ ირღვევა და არ ნელდება, მაგრამ პოემის ღირსება მარტოდენ ამ სიუჟეტურ ქარგაში როდია, არამედ უფრო მეტად იმაშია, რომ აშკარად შეიმჩნევა ქრისტიანობასთან დამოკიდებულების იმ მეტაფიზიკურ თეორიათა მარცვლები, რაც ასე ახასიათებდა დანტეს, მის ზოგიერთ ევროპელ თანამედროვესა და მემკვიდრეს. შოთა რუსთაველს ბევრი რამ შეუთვისებია პლატონისაგან (ცნობილია, რომ XI-XII საუკუნეებში საქართველოსა და საბერძნეთს შორის მჭიდრო ურთერთობა დამყარდა, რამაც საშუალება მისცა ქართველებს, გასცნობოდნენ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიურ მოძღვრებას). ყოველივე ამან, რა თქმა უნდა, დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ საქართველოს კულტურასა და სოციალურ ცხოვრებაზე და, თავის მხრივ, შეამზადა საფუძველი ქართული რენესანსის დასაწყისისა. რაც შეეხება პოემის სტილს,

უნდა ითქვას, რომ იგი გასაოცრად გვაგონებს ევროპელი რენესანსის ხანის სიტყვის ოსტატებს.

მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების შესწავლის მიზნით, გამოყენებულია ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რაც გულისხმობს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, მათი მახასიათებლების ობიექტურად წარმოჩენას და ანალიზს, რის საფუძველზეც შესაძლებელია სათანადო დასკვნების გამოტანა. კვლევის პროცესში გამოყენებულია ასევე სამეცნიერო ლიტერატურის ურთიერთმეჯერებაზე და მათ მონაცემთა კრიტიკულ ანალიზზე დაფუძნებული ისტორიულ-შედარებითი, შინაარსობრივი გააზრების და კვლევის მეთოდი.

მსჯელობა. სამწუხაროდ, XII საუკუნის ქართული სათეატრო სანახაობის შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება, შესაბამისად არ გვაქვს ლიტერატურა, სადაც დაფიქსირებული იქნება აზრი თეატრის შესახებ, თუმცა, ამ ეპოქის სათეატრო ცხოვრების შესახებ სხვადასხვა ისტორიული თუ ლიტერატურული ძეგლები გვამლევს საშუალებას, შევავსოთ ამ ეპოქის სასცენო ხელოვნების „გამოსახვის ფორმები“. მაგალითად: „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია რამოდენიმე ეპიზოდი, სადაც ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმ პერიოდის სათეატრო სანახაობებზე:

„ესე თქვა და სიხარულით თამაშობა ადიადა,
მგოსანი და მოშაითი უხმეს, პოვეს რადა სადა;
დია გასცა საბოძვარი, ყველა დარბაზს შემოხადა, -
მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხამცა რა დაბადა“
(შოთა რუსთაველი, 1975: 75)

და კიდევ, გავიხსენოთ ფრიდონის სიტყვები, ქაჯეთის ციხის აღების წინ გამართულ თათბირზე:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
მასწავლეს მათი საქმენი, მახლაცუნებდიან, მწვრთიდიან;
ასრე გავიდა სააბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან,
ვიცა მჭვრეტდიან ყმაწვილნი, იგინიცა ინატრიდიან“
(შოთა რუსთაველი, 1975: 156)

როგორც ჩანს, მუშაითობა ანუ საბელზედ მოთამაშე ჩვენში სათეატრო სანახაობას მიეკუთვნებოდა, როგორც ხალხში არსებულ ყველაზე ძველი და პოპულარული საჯარო ხასიათის გასართობსა და შესაქცევ წარმოდგენას (კარგად იკვეთება ზემოთ მოყვანილი პოემის სტროფებიდანაც). რადგანაც მუშაითობა სამეფო კარის სახილველი იყო და შესაძლებელია იგი ამავედროულად, „ელიტარულ“ სანახაობასაც მიეკუთვნებოდა, ამიტომაც მისი ათვისებისათვის სამეფო კარის წარმომადგენლებს ადრეული ასაკიდანვე ამზადებდნენ, რაც როსტევან მეფისა და ფრიდონის მაგალითზე ნათლად ჩანს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, „ვეფხისტყაოსანი“ არ გახლავთ ერთადერთი ლიტერატურული ძეგლი, რომელიც გვაწვდის ცნობას სათეატრო სანახაობის შესახებ. თამარ დედოფლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინებისას „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა სახეობა“ (ქართული მწერლობა, 1989: 24). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისევე როგორც რენესანსის ეპოქის ევროპაში, საქართველოშიც სამეფო კარზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მასხარა - როგორც წოდება და როგორც პერსონაჟი, რომელიც, როგორც წესი, არ ისჯებოდა თავისი სითამამისთვის, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ მეფის მასხარა ამავედროულად იყო განტყვევის ვაციც და თუ მსხვერპლმეწირვაზე მიდგებოდა საქმე, ისევ და ისევ მასხარას იმეტებდნენ. ამ ინვერსიის ლოგიკით, „უმდაბლესი“ არსება, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ეწირებოდა - „უმადლეს“

სფეროში გადაინაცვლებდა... რომელიც წარმოადგენდა მონარქის, სასულიერო პირისა და მოსამართლის „სათამაშოს“, თუმცა ისინი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ სასამართლო ცხოვრებაში, სადაც პრივილეგირებული ადგილი ეკავათ. იგი იყო ერთ-ერთი წარმომადგენელი, წევრი, არც თუ მრავალრიცხოვანი ჯგუფისა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო საკუთარი აზრი გამოეთქვა სასამართლო პროცესზე, იუმორითა და მანჭვა-გრეხით, რასაც თურმე ძალიან ხშირად საბოლოო გადაწყვეტილებაზეც უმოქმედია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასხარები ხანდახან სახელმწიფო გადატრიალებაშიც კი ღებულობდნენ თურმე მონაწილეობას. როგორც უკვე აღვნიშნე, მასხარა დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკაშიც. საქართველოს ისტორიაში არსებობს ცნობა XII საუკუნით დათარიღებული. თამარის მეფობის დროს, როგორც ცნობილია, მისმა მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ არსლანმა მოაწყო შეთქმულება, რათა შეეცვალა საქართველოს სახელმწიფოს წეს-წყობილება, შეეზღუდა მეფის უფლებები იმდენად, რომ მას საკუთრივ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის უფლება აღარ ჰქონოდა. შეთქმულთა მეთაურმა ყუთლუ არსლანმა მოითხოვა საკანონმდებლო ორგანოს დაწესება, რომელიც პარლამენტის მსგავსი დაწესებულება იქნებოდა და მეფეს ამ უმაღლეს დაწესებულების - „კარავის“ გადაწყვეტილებათა აღსრულების უფლება შერჩენოდა მხოლოდ. რეალური ძალაუფლება დიდგვაროვან აზნაურთა ხელში უნდა გადასულიყო და ამგვარად განხორციელებულიყო ფეოდალური ოპოზიციის წადილი. ცხარე პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში ყუთლუ არსლანს მოაგონეს, რომ იგი აღზევებულია „გუართა უაზნოთაგან“. როგორც ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, ყუთლუ არსლანი დაბალი წოდებიდან ყოფილა გამოსული, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა „ცხოველმან ჯორის ანუ ვირის სახიანს“, სადაც გამოუმჟღავნებია საზრიანობა და საოცარი იუმორი, რისი წყალობითაც დაწინაურებულა და სიმდიდრეც კი მოუპოვებია თურმე. ქართველი ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ყუთლუ არსლანი მასხარა უნდა ყოფილიყო, რადგან იგი მეჭურჭლეთუხუცესობამდე, როგორც ისტორიული ცნობებიდან ირკვევა, ცნობილი ყოფილა „სახიობისა ხმითა ტკბილითა და სასაცილო ამბნითა... ჯეროვნად დარბის ნოხზედა... თავზე დგას ხელით დარბისა, ფეხით ქმნის თამაშობასა“ (ჯავახიშვილი, 1980: 208). გარდა ამისა, მეფის ერთგული კარისკაცთა დასი იმ მიზნით, რომ დაემცირებინათ მოწინააღმდეგე ყუთლუ არსლანი, მოაგონებდნენ თურმე მეამბოხეს მის წარსულს, როცა ის ადამიანების „სათამაშოდ“ და გასართობად გარდაიქმნებოდა და „ვირშიდა იჯდა“. სათეატრო სანახაობებში კი, ხუმარა და ვირი ერთმანეთისგან განუყრელ სათეატრო ნიღბად აღიქმებოდა, ამავდროულად ყუთლუ არსლანი, როგორც „მოთამაშე“ ხასიათდება: სიმღერის ნიჭით, სახუმარო ამბების თხრობით, აკრობატიკით, შესტიკულაციით წამოდგენის წარმართვით - ეს ყოველივე ხომ მასხარას დამახასიათებელი ნიშნებიცაა. შესაძლებელია იგი, როგორც მაღალი ფენის, არისტოკრატიული წრის გამართობი - მასხარა/მუშაითი. თავდაპირველად ისე მოხვდა სასახლეში, რომელმაც შემდგომ ჰკუითა და გონებამახვილობით მიაღწია მეჭურჭლეთუხუცესობას. ისტორიიდან ცნობილია, რომ ყოველთვის, როცა სამეფო კარზე იმართებოდა წვეულებანი, ისინი ამ სადღესასწაულო პროცესის მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებოდნენ. ისტორიკოსი გვამცნობს, რომ რუსუდან დედოფალი, რომელიც განაგებდა თამარისა და დავითის ქორწილის ცერემონიალურ მხარეს, „ხუარასნისა და ერაყის სულთანთა სძლობითა გამაცნიერებული, ბუნებრივითა სახიობითა და შვენებითა“ მოქმედებდაო. ამ ეპიზოდიდან ირკვევა, რომ მუშაითები უცხო ქვეყნებიდანაც მოდიოდნენ ჩვენში, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, საგასტროლოდ, თავიანთი სათეატრო ხელოვნების გასაცნობად. მუშაითობას საკმაოდ ვრცლად აღგვიწერს არჩილ მეფე თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“, სადაც ამბობს: „ვერ ხედავთ ფრიდონისასა მუშაითობას ჩემულობს საბელზედ გავლა-ხტომასა თამამად, არ თუ მოზარობს, ტარიელსა და ავთანდილს ქაჯეთს მისვლაზედ უანზობს, ვინ იცის, მის დროს იქმნოდეს ცოდნასა, ნუ ვინ მცონარობს... ინატრეს ბევრმან ქაჯებმან: ნეტა

ვინე ეს მასწავლაო! მისი სიფიცხე სიმაღლე, ისე თამამად სწავლაო, მაგმა ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლაო, მიზეზი ეს სთქვა: მწადიან სულ სხვა ხელმწიფის დავლაო...“ (ჟურნალი „ივერია“, 1885: 65-79.) არჩილის სიტყვებიდან ნათელია, რომ რაინდობის ინსტიტუტის წარმომადგენლებისგან დიდი ინტერესით იკვთებოდა მუშაითობის შესწავლის სურვილი. ამის მიზეზი კი, სავარაუდოდ, სწორედ ის იყო, რომ რაინდები დიდგვაროვან წარმომადგენელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ და თავიანთი წარმომავლობითა და გვარიშვილობით დაახლოებულნი იყვნენ მეფის კართან. ამდენად, შესაძლებელია მათ „კოდექსში“ მუშაითობის ხელოვნების დაუფლება აუცილებლობასაც წარმოადგენდა, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ წარმოდგენაში მხოლოდ ნიჭიერი იღებდნენ მონაწილეობას. ამგვარად, ტექსტში მოყვანილი და განხილული ტერმინები და ქართული ლიტერატურის ძეგლები, იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოში, გარდა იმისა რომ, ძველთაგანვე, არსებობდა თეატრის კულტურა, შუა საუკუნეებში იგი, როგორც ევროპის მრავალ ქვეყანაში, გამოიყენა ეკლესიამ და მსგავსად სხვა ქრისტიანული ქვეყნებისა, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ საკუთარი პროპაგანდის მიზნით შექმნა „საეკლესიო სახილველი“, თუმცა, როგორც ვხედავთ ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ხალხური სანახაობის სინთეზური ფორმა - სახიობა. ჯერ კიდევ V საუკუნეში ქართველ დიდებულებს წესად ჰქონდათ კარზე მგოსან ქალ-ვაჟთა დასების მოწვევა, სადაც ისინი წარმოადგენდნენ ჟანრულ-სტილისტურად მრავალფეროვან, თუმცა, ძირითადად მცირე ფორმის ნაწარმოებებს. ამ სანახაობებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ საცირკო ნომრები და სპორტული თამაშობები, მუსიკალური, საცეკვაო, სასიმღერო გამოსვლები და პოეტა კაფიობა, რაც აღორძინების ეპოქაში ადადგინეს. როგორც ცნობილია, საქართველოში აღორძინების ეპოქა იყო გაგრძელება ბიზანტიის რენესანსისა, სადაც გარკვეული პირობების გამო ეს მიმდინარეობა შეჩერდა და გაგრძელდა საქართველოში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში XI-XII საუკუნეები გამოირჩევა ეკონომიურ-პოლიტიკური აღმავლობით, რამაც განაპირობა კულტურული შემოქმედება, რომელიც ატარებს რენესანსის უტყუარ ნიშნებს. ეს ნიშნები გამოვლინდა განსაკუთრებით პეტრიწის ფილოსოფიურ მოღვაწეობასა და რუსთაველის შემოქმედებაში. საქართველო აგრძელებს საკუთარ ფილოსოფიურ ტრადიციებს და ბერძნებთან ერთად ჩაებმის იმ დიდ კულტურულ ნაკადში, რომელსაც ადრინდელი ანუ ბიზანტიური რენესანსი ეწოდებოდა.

როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, XI-XIII საუკუნის დასაწყისში ფეოდალურმა ქართულმა კულტურამ თავისი აყვავების უმაღლეს წერტილს მიაღწია. განვითარდა ფილოსოფიური აზროვნება, ისტორიოგრაფია, ფილოლოგია, საეკლესიო და საერო ლიტერატურა, ხელოვნება. „ვეფხისტყაოსანი“ ამ ეპოქის გვირგვინს წარმოადგენს. XII საუკუნეშია შექმნილი აგრეთვე ქართული საისტორიო თხზულებათა ოფიციალური კრებული „ქართლის ცხოვრება“. მასში ისე იქნა გაერთიანებული VIII-XII სს-ის ავტორთა ქრონიკები, რომ გამოსულიყო საქართველოს ისტორიის უწყვეტი აღწერა უძველესი ხანიდან კრებულის შედგენის დრომდე. შემდეგ, XVIII საუკუნემდე პერიოდულად ხდებოდა „ქართლის ცხოვრების“ შევსება ახალ-ახალი თხზულებებით. ასე ჩამოყალიბდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი წერილობითი წყარო, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს აგრეთვე კავკასიის სხვა ქვეყნების შესახებ. განსახილველ პერიოდში შექმნილი ქართული არქიტექტურის მონუმენტური ძეგლებიდან აღსანიშნავია ბაგრატის, სვეტიცხოვლისა და ალავერდის ტაძრები (XI ს.), გელათის მონასტერი, მეფის სასახლე გეგუთში, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ვარძია (XII ს.), ფიტარეთისა და ბეთანიის ეკლესიები (XIII ს-ის დასაწყისი) და სხვ. ეკლესია-მონასტრებმა შემოინახეს ქვის მხატვრული დამუშავებისა და კედლის მოხატულობის ბრწყინვალე ნიმუშები. განვითარების მაღალ დონეზე იდგა აგრეთვე ხელნაწერი წიგნების გაფორმება, ოქრომჭედლობა, ტიხრული მინანქრის წარმოება და სხვა. სიმბოლურია ბიზანტიის შემდეგ საქართველოში რენესანსის დაწყება და განვითარება, რადგანაც

სწორედ ერთი მიზეზი აღმოჩნდა ორივე ქვეყანაში აღორძინების შეწყვეტა. კერძოდ, საქართველოში, რუსუდანის მეფობის დროს (1222-1245 წწ.) ქართულ საზოგადოებაში თავი იჩინა შიდა კრიზისმა, რამაც შეარყია ქვეყნის ძლიერება და გახდა გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველთა მძიმე დამარცხებების მიზეზი. პოლიტიკური და სოციალური კრიზისი გახდა ერთადერთი მიზეზი კულტურული, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო „ცხოვრების“ შეჩერებისა, რაც გახლდათ მიზეზი რენესანსული იდეების გაღრმავებისა და განვითარების შეწყვეტისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნუცუბიძე, შ. (1973). ბოლცანო და მეცნიერების თეორია (აღეთოლოგიის საფუძვლები). თბილისი.
- შოთა რუსთაველი (1975). „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი.
- ჯავახიშვილი, ივ. (1980). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. III ტომი. თბილისი.
- ქართული მწერლობა. (1989). ტ. 6. თბილისი.
- ჟურნალი „ივერია“ (1885). N 12.
- <http://www.archive.org/stream/kingdomofgeorgia00wardrich#page/n15/mode/2up>
[გადამოწმებული: 10.06.2024].
- http://lib.ge/body_text.php?5428 [გადამოწმებული: 10.06.2024].
- http://lib.ge/body_text.php?5428_1394 [გადამოწმებული: 10.06.2024].

REFERENCES:

- nutsubidze, sh. (1973). boltsano da metsnierebis teoria (aletologiis sapudzvlebi). tbilisi.
- shota rustaveli (1975). „vepkhist'qaosani“. tbilisi.
- javakhishvili, iv. (1980). sakartvelos ist'oriis nark'vevebi. III t'omi. tbilisi.
- kartuli mts'erloba. (1989). T. 6. tbilisi.
- zhurnali „iveria“ (1885). N 12.
- <http://www.archive.org/stream/kingdomofgeorgia00wardrich#page/n15/mode/2up> [accessed - 10.06.2024].
- http://lib.ge/body_text.php?5428 [accessed - 10.06.2024].
- http://lib.ge/body_text.php?5428_1394 [accessed - 10.06.2024].

Yusuf Kobaladze's Oedipus

იუსუფ კობალაძის ოიდიპოსი

Teimuraz Kezheradze

Batumi Art State University

Professor

+995 551217577, temurkejeradze@gmail.com

Abstract. Development of the Greek and Georgian culture of the ancient era is closely related to each other, as evidenced by the thousands of artefacts, toponyms, travelers' records, mythological, philosophical and literary texts found as a result of archaeological excavations. In "Oedipus the King" by Sophocles, Shulta addresses the Thebes, "Neither Astros, nor the furious waves of Phasis can kill the evil that has been done voluntarily".

The interest of the Georgians in ancient Greek civilization has not waned to this day. In the Middle Ages, Georgia, surrounded by the arc of the East, loses contact with the West. From the 18th century, the Georgian people's ties with Western Europe strengthened. This is connected with the interest in ancient Greek drama.

From the beginning of the 20th century Greek tragedies appeared in the repertoire of Georgian theatre, Sophocles' drama was especially popular, and "Oedipus the King" became a landmark performance of many Georgian theatres.

"Oedipus the King" by Sophocles was staged at the Batumi Drama Theatre in the 1940s. The play was staged by Archil Chkhartishvili and Shalva Inasaridze, with the legendary Georgian actor Yusuf Kobaladze playing the role of Oedipus. This Batumi theatre production was considered the greatest success not only of Batumi, but also of Georgian theatre.

Keywords: Ancient drama; Sophocles; Oedipus the King; Batumi Drama Theater; Yusuf Kobaladze.

თეიმურაზ კეჯერაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი

+995 551217577, temurkejeradze@gmail.com

აბსტრაქტი. ანტიკური ეპოქის ბერძნული და ქართული კულტურის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ათასობით არტეფაქტი, ტოპონიმები, მოგზაურთა ჩანაწერები, მითოლოგიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული ტექსტები. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“-ში შულტა მიმართავს თებელებს: „არცა ასტროსის, არცა ფაზისის მრისხანე ტალღებს არ შეუძლია აღზოცოს ის ბოროტება ნებაყოფლობით დამართებული“.

ქართველთა ინტერესი ანტიკური ბერძნული ცივილიზაციისადმი დღემდე არ განელებულა. შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის რკალში მოქცეული საქართველო კარგავს ურთიერთობას დასავლეთთან. XVIII საუკუნიდან ძლიერდება ქართველი ხალხის

ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ამას უკავშირდება ინტერესი ანტიკური ბერძნული დრამატურგიისადმი.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული თეატრის რეპერტუარში ჩნდება ბერძნული ტრაგედიები. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა სოფოკლეს დრამა, „ოიდიპოს მეფე“ კი არაერთი ქართული თეატრის საეტაპო სპექტაკლად იქცა.

ბათუმის დრამატულ თეატრში სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ XX საუკუნის 40-იან წლებში დაიდგა. სპექტაკლი არჩილ ჩხარტიშვილმა და შალმა ინასარიძემ დადგა, ოიდიპოსის როლს ლეგენდარული ქართველი მსახიობი იუსუფ კობალაძე ასრულებდა. ბათუმის თეატრის ეს სპექტაკლი აღიარებული იქნა, როგორც არა მარტო ბათუმის, არამედ ქართული თეატრის უდიდესი წარმატება.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური დრამა; სოფოკლე; ოიდიპოს მეფე; ბათუმის დრამატული თეატრი; იუსუფ კობალაძე.

შესავალი. ჩვენი მიზანია, განვიხილოთ ანტიკური ბერძნული დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშის - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ დადგმის ისტორია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. როგორც ქართული თეატრის ისტორიის არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, ბათუმელთა „ოიდიპოსი“ შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის 40-50-იანი წლების საუკეთესო დადგმად, რასაც ადასტურებს მოცემული პერიოდის რეცენზიები, გამოქვეყნებული არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა და შედარებითი ანალიზი, რომელიც მოიცავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ქართულ თეატრში მიმდინარე რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესებს. არსებული წყაროების: პუბლიკაციების, დღიურების, ჩანაწერების, თანამედროვეთა მოგონებების, რეცენზიებისა და ქართული თეატრის მკვლევართა ნაშრომების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვიკვლიეთ ბათუმის დრამატულ თეატრში დადგმული სოფოკლეს „ოიდიპოსზე“ მუშაობის მეთოდები და პრინციპები.

მსჯელობა. ანტიკური ეპოქის ბერძნული და ქართული კულტურის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ქართველთა ინტერესი ანტიკური ბერძნული ცივილიზაციისადმი დღემდე არ განელებულა. შუა საუკუნეებში აღმოსავლეთის რკალში მოქცეული საქართველო კარგავს ურთიერთობას დასავლეთთან. XVIII საუკუნიდან ძლიერდება ქართველი ხალხის ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ამას უკავშირდება ინტერესი ანტიკური ბერძნული დრამატურგიისადმი, მაგრამ პროფესიული თეატრის არარსებობის გამო, ძველი ბერძნული დრამატურგიის ნიმუშების დადგმა ქართულ თეატრში იწყება XX საუკუნის დასაწყისიდან. ქართული თეატრის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოფოკლეს ტრაგედიები: „ანტიგონე“ და „ოიდიპოს მეფე“. „ანტიგონე“ პირველად 1912 წელს, ხოლო „ოიდიპოს მეფე“ 1913 წელს იდგმება ქართულ თეატრში. სოფოკლეს პირველი დადგმები ქართულ თეატრში კოტე ანდრონიკაშვილს ეკუთვნის. XX საუკუნის 40-50-იან წლებში განსაკუთრებული პოპულარობით ქართულ თეატრში სარგებლობდა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. ამ პერიოდში ოიდიპოს მეფის როლის არაერთი შესანიშნავი შემსრულებელი გამოიკვეთა ქართულ თეატრში. ოიდიპოსი წარმატებით იდგმებოდა როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების თეატრებშიც. ერთ-ერთ გამორჩეულ დადგმად აღიარებულია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი.

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ ბათუმის დრამატულ თეატრში დადგა არჩილ ჩხარტიშვილმა და შალვა ინასარიძემ. სპექტაკლის სცენოგრაფია ეკუთვნოდა გიორგი ცენტერაძეს, მუსიკა - ვლადიმერ კორშონს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ოიდიპოსი - იუსუფ კობალაძე, კრეონტი - პავლე ინწკირველი, ტირეზია - გიორგი (ჟორა) ახვლედიანი, ქურუმი - აკაკი მგელაძე, იოკასტე - ნუცა ფხაკაძე, მწყემსი - გორდიზ იმნაიშვილი, მასობრივ სცენებში დაკავებული იყო თეატრის დასი.

„ოიდიპოს მეფე“ ბათუმის დრამატულ თეატრში იდგმება იმ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ქართულ თეატრში. 20-30-იანი წლებისათვის დამახასიათებელი გმირულ-რომანტიკული თეატრალური ესთეტიკა, მასობრივი სცენები, მასის ფსიქოლოგიის, სოციალურ-პოლიტიკური იდეების გადმოცემა იცვლება ინდივიდის, ცალკეული პიროვნების, შინაგანი განცდების გადმოცემით. ამ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იან წლებში მოჩვენებითი დათბობის ხანა დგება საბჭოთა იმპერიაში, რომლის სივრცეშიც უწევდა ქართულ თეატრს მოღვაწეობა. თეატრი ისევ ემორჩილებოდა პარტიის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს. თეატრების რეპერტუარში მომრავლებულია თანამედროვე, „ბედნიერი“ საბჭოთა ყოფის ამსახველი პიესები. კლასიკური მემკვიდრეობისადმი ყურადღება განელდა. თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ქართული და რუსული სუსტი პიესები გაცილებით უფრო ხშირად იდგმება, ვიდრე ანტიკური ეპოქის, შექსპირის, შილერის, ჩეხოვის, იბსენის, შოუს და სხვა კლასიკოსთა პიესები. კლასიკური პიესებისადმი ინტერესის შენელება ქმნიდა მსახიობთა ოსტატობის დაქვეითების საშიშროებას. ამავე დროს თეატრალურ სარბიელზე გამოდიოდა ახალი თაობა, ახალი იდეებითა და ახალი შემართებით. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ყოველ სიახლეს წინააღმდეგობები ახლდა.

მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ევროპულ თეატრში. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი თაობა თანამედროვე გმირის სულიერ ცხოვრებაში წვდომას ცდილობს. ხანგრძლივი ომის პერიოდში მინელებული შემოქმედებითი ცხოვრება ნელ-ნელა იკრებს ძალებს. შემოქმედებით ასპარეზზე გამოდიან: ჯეიმს ოლდრიჯი, ჯონ ოსბორნი, პიტერ ბრუკი, ლორენს ოლივიე - ინგლისში; ედუარდო დე ფილიპო, ჯორჯო სტრელერი - იტალიაში; ტენესი იულიამსი, არტურ მილერი - ამერიკაში; ბერტოლტ ბრეხტი - გერმანიაში, რომელიც ამბობს: „ჩვენ გვჭირდება თეატრი, რომელიც შექმნის არა მარტო გრძნობებს, შეხედულებებსა და განცდებს, რის საშუალებითაც იძლევა ადამიანთა ურთიერთობათა ესა თუ ის ისტორიული გარემო და რომლის ფონზედაც მიმდინარეობს სცენური მოქმედება, არამედ გააღვიძებს და გამოიყენებს საჭირო აზრებსა და გრძნობებს ამ ისტორიული გარემოს გარდაქმნისათვის“ (ბრეხტი, 1982: 33-34). მაგრამ ახლის ძიება ყოველთვის როდი იყო გამსჭვალული ოპტიმიზმით. მარტოობის, რეალური ცხოვრების შიშის, იმედგაცრუების ტრაგიკული მოტივები აისახა ეჟენ იონესკოსა და სამუელ ბეკეტის „აბსურდის“ დრამაში.

„რკინის“ ფარდა ჩამოფარებულ საბჭოთა იმპერიაში გაცილებით რთული მდგომარეობაა. „იმდენად რთულია 50-იანი წლების ქართული თეატრის პეიზაჟი, რომ ერთნიშნა შეფასება ვერ მიეცემა. ერთის მხრივ, საკმაოდ ძლიერია ერთფეროვანი, უძრავი, სქოლასტიკური, ზედაპირული სასცენო პუბლიცისტური სურათები, რომლებიც არსებითად „მკვდარი თეატრის“ ბუნებას განასახიერებენ, მეორეს მხრივ, ახლის ძიებათა დაუოკებელი სურვილი და გაბედული ექსპერიმენტები“ (კიკნაძე, 2001: გვ. 43).

ბათუმელთა „ოიდიპოსი“ ერთის მხვრივ 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებული გმირულ-რომანტიკული ესთეტიკის ტრადიციის გაგრძელება იყო, რაც ძირითადად გამოიხატა მასობრივი სცენების მწყობრ კომპოზიციებსა და მასის ფსიქოლოგიის გადმოცემაში, მეორეს მხვრივ გმირის სულიერი სამყაროს, ბედისწერასთან შეუფუებლობის, ბედისწერასთან ბრძოლის პროცესს ასახავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი:

„ბედისწერის თემა აღიზიანებდა საბჭოთა მთავრობას“ (ჩხარტიშვილი, 2008: 42). „მაშინ ხომ აკრძალული იყო ბედისწერის პრობლემა. ათეისტური საზოგადოება არ სცნობდა მას, როგორც ასეთს. ამიტომ, გასაგებია, რომ სულ სხვა განზომილებასა და შტრიხებში უნდა შეეღწია თეატრს, რათა ახლებური ინტერპრეტაციებით წარმოესახა იგი“ (ჩხარტიშვილი, 2008: 45).

სპექტაკლის მხატვარმა გიორგი ცენტრამემ მაყურებელს წარმოუდგინა ორქესტრა და ორ დონეზე აგებული დეკორაციები (ბერძნული სკენეს მსგავსად), რომლის უკანა ფონზე, ჩამკვეთ ფარდაზე გამოსახული იყო ანტიკური ბერძნული მითოლოგიური ღვთაებების სამყოფელი ოლიმპოს მთა. ორქესტრადან „სკენეს“ პირველ დონეზე მიემართებოდა ორი ფართე კიბე, რომელზე რეჟისორი მასობრივი სცენების კომპოზიციებს აგებდა, ასეთივე კიბეები მიემართებოდა პირველი დონიდან მეორე დონემდე, სადაც ოიდიპოსის სასახლე იყო. მეორე დონე ატლანტების მხრებზე იდგა. ეს ადგილი წარმოადგენდა მეფის სასახლის წინა მოედანს. სწორედ აქ მიმდინარეობდა ძირითადი მოქმედება. არჩილ ჩხარტიშვილს კომპოზიციურად ისე ჰქონდა აგებული მასობრივი სცენები (დღემდე შემორჩენილი სპექტაკლის ფოტო მასალიდან ჩანს), ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ატლანტებთან ერთად ხალხის მხრებზე იდგა მეფის სასახლე, სამეფო ხელისუფლება.

„სპექტაკლის ავტორები (არჩილ ჩხარტიშვილი, შალვა ინასარიძე) ცდილობდნენ წარმოეჩინათ, როგორია იდეალური ადამიანი და იდეალური მეფე. ეს ორი ცნება სპექტაკლში არ გამოირიცხავდა ერთურთს, პირიქით, მტკიცე ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან. ავტორები იზიარებდნენ მოსაზრებას: როგორიც ადამიანია, ისეთი მეფეა და მისგან გამომდინარე მორალური კოდექსი მოქმედებს სახელმწიფოში (ჩხარტიშვილი, 2008: 44). სპექტაკლი წარმოაჩენდა იდეალურ ადამიანს, იდეალურ მართველს. არისტოტელეს „პოეტიკის“ თანახმად, სოფოკლე ქმნის ისეთ გმირებს, როგორებიც ისინი უნდა იყვნენ, ანუ იდეალურ ადამიანებს. იუსუფ კობალაძემ ოიდიპოსი რელიეფურად ჩამოაქანდაკა, როგორც პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი, ხალხისადმი ერთგული, თავდადებული მეფე. მიუხედავად სპექტაკლის ჰეროიკული პათოსისა, როგორც გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, „კობალაძის ოიდიპოსი ლირიკული გმირია, იმიტომ, რომ მსახიობი უმთავრესად სულის მშვენიერებას და კეთილშობილებას გვიჩვენებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ფიზიკურ წარმოსადგომას მოკლებული იყოს, ან მის გრძნობებს და აზრებს ვაჟკაცური ძალა არ ჰქონდეს, კობალაძე იშვიათი პლასტიკის მქონე მსახიობია, მისი თავდაჭერა, ჟესტები, სახის მეტყველება ძლიერი განცდით და ღრმა აზრითაა აღბეჭდილი. მთელი ფიგურა ანტიკურ ქანდაკებასავით პლასტიკურია“. მსახიობს ოიდიპოსის შემზარავი თავგადასავალი აღქმული ჰქონდა, როგორც უაღრესად კეთილშობილი ადამიანის ტრაგედია. როგორც რეცენზენტები აღნიშნავენ: მსახიობი არწმუნებდა მაყურებელს, რომ მამის მკვლეელი და დედის სარეცლის წამბილწველი ოიდიპოსი უსაზიზღრესი დამნაშავე კი არა, არამედ უკეთიშობილესი ადამიანია, ღირსია არა თუ უბრალო თანაგრძნობისა, არამედ დიდი სიყვარულისაც. მისი ცოდვა უნებლიე და შეუგნებელი იყო, როგორც მეფეს, ოიდიპოსს შეეძლო შეეწყვიტა ლაიოსის მკვლელის ძიება, მიეჩქმალა სიმართლე, სხვებისთვის გადაებრალებინა სახელმწიფოს უბედურება. სპექტაკლის ძირითადი ღერძი სიმართლის ძიების პროცესია და როდესაც გამოიკვეთა, რომ დამნაშავე ოიდიპოსია, მან თავად გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი.

სადადგმო პროცესში რეჟისორები დიდ ყურადღებას უთმობდა ცალკეულ პერსონაჟთა ხასიათების გამოკვლევასა და მათი გამოხატვის საშუალებათა ძიებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა პერსონაჟის შინაგან განცდებსა და გმირთა შორის ურთიერთობების განსაზღვრას, რადგან ნებისმიერი პერსონაჟის ხასიათი სხვა პერსონაჟთან ურთიერთობაში იჩენს თავს. სპექტაკლი გამოირჩეოდა მხატვრული ერთიანობით, მაღალი გემოვნებით და სასცენო ოსტატობით. რეჟისორები მსახიობების

(განსაკუთრებით, იუსუფ კობალაძის) მეშვეობით გადმოსცემდნენ თავიანთ ჩანაფიქრს, მსახიობთა მოქმედებაში იქმნებოდა სახეები, რომლებიც სპექტაკლის იდეის მატარებლები იყვნენ.

ბესარიონ ჟღენტი, აღფრთოვანებული კობალაძისეული ოიდიპოსით, წერს: „ნათელი შტრიხებით ქმნის ადამიანის ტრაგიკულ სახეს, რომელიც განწირულია საშინელი ტანჯვისთვის. გვიჩვენებს ბედისწერასთან ტიტანურ ბრძოლაში ჩაბმული ოიდიპოსის სულიერ სიმტკიცეს. მსახიობი მაღალი სცენური ოსტატობით ანვითარებს სახეს, მიყავს საბედისწერო ფინალისაკენ, როცა განსაკუთრებული ძალით ვლინდება ი. კობალაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დამახასიათებელი თვისებები: მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი ძალა, გარეგნული მომხიბვლელობა“ (ჩხაიძე, 1956: 34).

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ფინალური სცენა. სწორედ ფინალური სცენა იყო სპექტაკლის კულმინაცია, როდესაც თვალეზდათხრილი, ბრმა ოიდიპოსი კიბეებით ზემოთ მიემართება, არა დაცემული, არამედ სულიერად ამაღლებული.

ბათუმის თეატრის „ოიდიპოსზე“ აღფრთოვანებით წერდნენ არა მარტო ქართული თეატრის მოღვაწეები და სპეციალისტები (დოდო ალექსიძე, აკაკი ხორავა, ვასილ კიკნაძე, აკაკი ფალავა, გერონტიც ქიქოძე, ოთარ ეგაძე, ბესო ჟღენტი, ნიკო ურუშაძე და სხვები), არამედ იმ პერიოდის საბჭოთა თეატრალური კრიტიკის ცნობილი წარმომადგენლები (ტიხონოვი, მალიუგინი, ბოიაჯიევი, გოლცევი, ანტოკოლსკი და სხვები), სპექტაკლით აღფრთოვანებული იყო ამერიკელი ნობელიანტი მწერალი ჯონ სტეინბეკი. „მე ვერ ვნახე სოფოკლე ვერც ჩემს ქვეყანაში და ვერც ავტორის სამშობლოში - საბერძნეთში, მაგრამ ვნახე საბჭოთა კავშირის არა სახელგანთქმულ ვახტანგოვის თეატრის სცენაზე, არამედ ერთ პატარა სანავსადგურო ქალაქში, რომელიც ხელოვნებითა და თეატრით კი არ უნდა ყოფილიყო სახელგანთქმული, არამედ ლუდხანებითა და საროსკიპოებით“ - ეს ჯონ სტეინბეკის სიტყვებია.

დასკვნა. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორების: არჩილ ჩხარტიშვილისა და შალვა ინასარიძის მიერ განხორციელებული დადგმა - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ „ოიდიპოსის“ ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად იქნა აღიარებული. მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური ზეწოლისა, თეატრი ახერხებს დადგას ანტიკური ბერძნული ტრაგედიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, მკაფიოდ ასახოს მასში ოიდიპოსის სულიერი სამყარო, ბედისწერასთან ბრძოლისა და შეუფუებლობის პროცესი. მიუხედავად სპექტაკლის ჰეროიკული პათოსისა, იუსუფ კობალაძე თავის პერსონაჟს წარმოაჩენს, როგორც ტრაგიკული, შემზარავი ბედისწერის გმირს და ამავე დროს უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბრეხტი, ბ. (1982). მცირე ორგანონი თეატრისათვის. თბილისი.
ჩხარტიშვილი, ლ. (2008). იუსუფ კობალაძე. თბილისი.
ჩხაიძე, ჯ. (1956). იუსუფ კობალაძე. თბილისი.
კიკნაძე, ვ. (2001). ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. 1. თბილისი.

REFERENCES:

- brekht'i, b. (1982). mtsire organoni teat'risatvis. tbilisi.
- chkhart'ishvili, l. (2008). iusup k'obaladze. tbilisi.
- chkhaidze, j. (1956). iusup k'obaladze. tbilisi.
- k'ik'nadze, v. (2001). kartuli dramt'uli teat'ris ist'oria, t'. 1. tbilisi.

Interpretations of Carlo Goldoni's Comedies

კარლო გოლდონის კომედიების ინტერპრეტაციები

Lela Tsiphuria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Assistant-Professor

+995 599654980, lela.tsiphuria@tsu.ge

Abstract. The performing of comedies of Italian playwright Carlo Goldoni has played a significant role in the repertoire of the 20th century Rustaveli Theater. Plays of the famous comedian was also staged by famous Georgian director Dimitri Aleksidze.

In the twentieth century comedies of Carlo Goldoni were staged by Dimitri Aleksidze in the Rustaveli Theater: *The Mistress of the Inn* performed in 1936 was an unprecedented success.

The period of Goldoni staging in Rustaveli theater was a very tragic time in the history of Georgia. In 1936, when Dimitri Aleksidze staged *The Mistress of the Inn* was the starting period of Soviet repressions in Georgia. *The Marriage Contest (IL matrimonio per concorso)*, Goldoni's comedy was staged in 1942, during the World War II. The name of this comedy at Rustaveli theater was *The Bride with the Poster*. The year 1942 was the most difficult year during the Second World War. Hitler had conquered half of the Soviet Union, and the fascist army was standing in the Caucasus. The number of young people who went to war from Georgia was seven hundred thousand. Many families had already received the notification of the death of their children... The absurd situation of Goldoni's play in Dimitri Aleksidze's staging was distinguished by its comical and revealing pathos. If you add the true fireworks of the play, it becomes clear why during the most difficult period of the Second World War, *The Bride with the Poster* was sold out for several years.

And the third play staged by Dimitri Aleksidze was *The Servant of Two Masters* in 1946. The whole period of performing these plays was tragic. Hopeful comedies of Goldoni staged by Dimitri Aleksidze created a brilliant plays at the Rustaveli Theater, and because of that "Goldoniada" was very popular.

The paper uses materials preserved in the Rustaveli Theater Museum, memories of 20th century theater workers about Dimitri Aleksidze, analytical texts of famous theater experts, etc.

Keywords: Goldoni; Rustaveli theatre; comedy; Aleksidze; twentieth century.

ლელა წიფურია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასისტენტ-პროფესორი

+995 599654980, lela.tsiphuria@tsu.ge

აბსტრაქტი. იტალიური კომედიის კლასიკოსის, კარლო გოლდონის პიესების მიხედვით გახორციელებულ დადგმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული თეატრის ისტორიაში. დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმულ კარლო გოლდონის პიესებს ალექსიძის „გოლდონიადა“ უწოდეს თეატროლოგებმა.

დიმიტრი ალექსიძის მიერ 1936 განხორციელებულ კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს“ უპრეცედენტო წარმატება ხვდა წილად.

1936 წელი ტრაგიკული პერიოდი იყო საქართველოს ცხოვრებაში - მორიგი რეპრესიების პერიოდი იწყებოდა. 1937 წელს რეპრესიები კულმინაციას აღწევს. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ჯგუფთან დადგმული „სასტუმროს დიასახლისი“ სრული ანშლაგით მიდიოდა. რეპრესიებით დათრგუნული ქართველი ხალხი კომედიის ნახვით თვითგადარჩენის გზას ეძებდა თითქოს. მოგვიანებით ამ სამსახიობო ჯგუფის საფუძველზე შეიქმნა ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

1942 წელს რუსთაველის თეატრში გოლდონის პიესა დაიდგა სათაურით „საპატარძლო აფიშით“. 1942 წელი ყველაზე რთული წელი იყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის პერიოდში. ჰიტლერს ნახევარი საბჭოთა კავშირი დაპყრობილი ჰქონდა და ფაშისტური არმია კავკასიონს იყო მომდგარი. საქართველოდან ომში წასული ახლგაზრდების რიცხვი შვიდასი ათასი იყო. უკვე მრავალ ოჯახს ქონდა მიღებული შვილის დაღუპვის უწყება... გოლდონის პიესის აბსურდული ვითარება დიმიტრი ალექსიძის დადგმაში კომიკურთან ერთად, მამხილებელი პათოსითაც გამოირჩეოდა. თუ დავუმატებთ სპექტაკლის ჭეშმარიტ ფეიერვერკულობას, ცხადია, გასაგები გახდება, თუ რატომ გადიოდა მეორე მსოფლიო ომის ყველაზე რთულ პერიოდში „საპატარძლო აფიშით“ სრული ანშლაგით რამდენიმე წლის განმავლობაში.

გოლდონის მესამე პიესა, რომელიც დიმიტრი ალექსიძემ დადგა 1946 წელს, იყო „ორი ბატონის მსახური“. რეპრესიებისა და ომის ურთულეს წლებში დიმიტრი ალექსიძის სიხალისით, ფანტაზიით და გამომგონებლობით სავსე სპექტაკლებს იმედის სხივი შემოქონდათ მაყურებელთა გულელებში და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ.

სტატიაში გამოყენებულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული მასალები, XX საუკუნის თეატრის მოღვაწეთა მოგონებები დიმიტრი ალექსიძის შესახებ, ცნობილი თეატროლოგების ანალიტიკური ტექსტები და ა.შ.

ოთხმოცდარვა წელი გვაშორებს დიმიტრი ალექსიძის გოლდონიადის დაწყებიდან. ორმოცი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. ქართული თეატრის ისტორიაში კი რეჟისორმა სრულიად გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა. გოლდონიადა მნიშვნელოვანია რეჟისორის ბიოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა იმის გამოც, რომ მისით იწყება დიმიტრი ალექსიძის წარმატებული მოღვაწეობა ქართულ თეატრში. თაობათა იძულებითი ჩანაცვლების პროცესი, რომელიც სანდრო ახმეტელის დახვრეტის შემდგომ მოხდა რუსთაველის თეატრში, ამ კომედიებით, თითქოს ერთგვარი სიცოცხლის და ოპტიმიზმის ნაკადით შემოვიდა და ასევე იქცა ქართველი მაყურებლის ერთგვარად სიყვარულის, სიხალისის და ოპტიმიზმის წყაროდ. ამიტომაც იყო გოლდონიადა უმნიშვნელოვანესი პერიოდი ქართული თეატრის ისტორიაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ალექსიძის მიერ კარლო გოლდონის პიესების ინტერპრეტაციებით ქართული თეატრის ისტორიაში შეიქმნა სრულიად უნიკალური სტილი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ქართულ სათეატრო ხელოვნებაში კომედიური ჟანრის დამკვიდრებასა და განვითარებაზე. როგორც უკვე აღვნიშნე, XX საუკუნის პირველი ნახევრის ალექსიძისეული დადგმები იმ პერიოდის ურთულეს პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში, ერთგვარად უმსუბუქებდა რუსთაველის თეატრში მისულ მაყურებელს უმძიმეს ყოფას. ამასთანავე, ეს მაღალმხატვრული დადგმები იყო და სწორედ ამ რანგის წარმოდგენებად დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში.

უმთავრესი შედეგი ის არის, რომ კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დიმიტრი ალექსიძის თანამედროვეთა მოგონებების და თეატროლოგთა ციტატების და რუსთაველის თეატრის მუზეუმის ექსპონატების ანალიზით შეიქმნა ერთიანი სურათი დიმიტრი

ალექსიდის გოლდონიადისა, როგორც განსაკუთრებული მოვლენისა ქართულ სათეატრო ხელოვნების ისტორიაში, რომელის კვალიც დღემდე მოყვება ჩვენს კულტურას.

კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ჩემთვის, როგორც ლექტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: თანამედროვე ახალგაზრდები პრაქტიკულად არ იცნობენ დიმიტრი ალექსიდის შემოქმედებას. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი შესანიშნავი რეჟისორის, დიმიტრი (დოდო) ალექსიდის შემოქმედებით ახალგაზრდების დაინტერესება იქნება.

საკვანძო სიტყვები: გოლდონი; რუსთაველის თეატრი; კომედია; ალექსიმე; მეოცე საუკუნე.

შესავალი. კარლო გოლდონი თეატრის რეფორმატორად და იტალიური რეალისტური კომედიის ფუძემდებლად არის მიჩნეული თეატრის ისტორიაში, რომლის შემოქმედების შესახებ არაერთი ვრცელი ნაშრომი არსებობს. გოლდონის კომედიებმა მსოფლიოს მრავალი თეატრის რეპერტუარში დაიმკვიდრეს ადგილი და დიდი როლი შეასრულეს კომედიური ჟანრის წარმატებაში ამა თუ იმ ქვეყნის ხელოვნებაში. ჩვენი კვლევის მიზანია იტალიური კომედიის კლასიკოსის, კარლო გოლდონის დიმიტრი ალექსიდისეული ინტერპრეტაციების შესწავლა და მათი ისტორიული მნიშვნელობის შეფასება. სტატიაში გამოყენებულია რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული მასალები, მეოცე საუკუნის თეატრის მოღვაწეთა მოგონებები დიმიტრი ალექსიდის შესახებ, ცნობილი თეატროლოგების ანალიტიკური ტექსტები და ა.შ. გამოყენებული მასალა გაანალიზებულია კონკრეტული ეპოქის პოლიტიკური და სოციალური ვითარების ფონზე. ამ მეთოდოლოგიის საშუალებით, ერთი მხრივ, იქმნება ეპოქის სურათი და მეორე მხრივ, ფასდება ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც გოლდონის პიესების ალექსიდისეულმა ინტერპრეტაციებმა შეასრულეს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

კვლევის მეთოდოლოგია. როდესაც ნაშრომი ისტორიულ თემაზე და პიროვნებაზე იწერება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მისი არქივის შესწავლა და მასალის მოპოვებაა ძირითადი მეთოდოლოგია, რომელსაც შემდგომში სტატიაში ვაანალიზებთ. რუსთაველის თეატრში დიმიტრი ალექსიდის დიდი და შესანიშნავად მოვლილი არქივია. სტატიაში არქივში მოპოვებული მასალის გაანალიზება და სტატიის ნაწილებად გარდაქმნა ქრონოლოგიის მიხედვით ხდება. ამგვარად, თანმიმდევრობით ვახორციელებ დიმიტრი ალექსიდის დადგმული გოლდონის პიესების რეკონსტრუქციას.

რეკონსტრუქცია, თავისთავად ორი მიმართულებით იშლება: 1. სპექტაკლი - დიმიტრი ალექსიდის დადგმული კომედიები - როგორც საზოგადოების აზროვნების ნაწილი; 2. სტრუქტურალიზმი - ამ სპექტაკლიების როლი და ფუნქცია სახელმწიფოებრივ და საზოგადოების სოციო-კულტურული ცხოვრების ფორმირების პროცესში. სტატიაში დასკვნის სახით მოცემულია კარლო გოლდონის კომედიების დიმიტრი ალექსიდისეული ინტერპრეტაციების ისტორიული მისიის შეფასება და ამ მისიის თანამედროვე ხედვა.

ნარატოლოგიური მეთოდის საშუალებით, სტატიაში ვყვები კონკრეტული წარმოდგენის ისტორიულ პროცესულ ვითარებას. სტატიაში გამოყენებული ცნობილი პიროვნებების მოგონებები, რომლებიც მოგვითხრობენ ამა თუ იმ სპექტაკლის შესახებ, ნარატოლოგიური მეთოდის მეშვეობით ვრცელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს განხილული წარმოდგენის შესახებ.

და უმთავრესი მეთოდი - ანალიზი, რომელიც გვაბრუნებს ისტორიულ სინამდვილეში და თანმიმდევრულად აყალიბებს დიმიტრი ალექსიდის მიერ დადგმული გოლდონის კომედიების მნიშვნელობას ქართული თეატრის ისტორიაში. ჩემი სტატია ამ მეთოდოლოგიითაა დაწერილი.

გოლდონის პიესების მიხედვით გახორციელებულ დადგმებს გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართული თეატრის ისტორიაში. დიმიტრი ალექსიძის მიერ დადგმულ კარლო გოლდონის პიესებს ალექსიძის „გოლდონიადა“ უწოდეს თეატროლოგებმა. თეატროლოგი ნოდარ გურაბანიძე ასე აფასებს დიმიტრი ალექსიძის შემოქმედებას: „მოცე საუკუნის ქართული თეატრის კორიფეთა შორის ერთ-ერთი უპირველესია დიმიტრი (დოდო) ალექსიძე - უნიჭიერესი, ღრმად განათლებული რეჟისორი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი, და დავძენთ, უკრაინული ხელოვნების მთელი ეპოქა, გაბრწყინებული მისი სცენური შედეგები...“

„ყველაზე მეტად მანცვიფრებდა მისი პლასტიკის მრავალფეროვნება და ფანტაზიის მართლაც დაუშრეტელი ამოფრქვევანი. ერთი და იმავე ეპიზოდის უამრავი, ერთმანეთთან უკეთესი ვარიანტის შექმნა შეეძლო, ხანდახან გინდოდა გეყვირა პარტერიდან - კმარა, ბრწყინვალეა, რაც უკვე შექმენით, ბატონო დოდო, ნუ ეძებთ სხვას, უკეთესს ვერაფერს მიაგნებთ... ამის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდი, რომ ახალი და, მართლაც, უკეთესი ვარიანტი მზად იყო... ალბათ დოდო ალექსიძის ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში დიდ აკაკი ვასაძეს, რომელმაც ერთ-ერთ რეპეტიციაზე აღტაცებით თქვა: „მე ასეთი ნიჭის რეჟისორი არ მინახავსო“.

ალექსიძის მიერ დადგმული რამდენიმე სპექტაკლი დღესაც შედეგადაა მიჩნეული, ხოლო მის მიერ აღზრდილი მსახიობები (რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, სვეტლანა კორკოშკო) დიდხანს ბრწყინავდნენ სცენაზე, და ასევე შემდგომ თაობათა რეჟისორების სპექტაკლების მშვენიერებასაც წარმოადგენდნენ“ (გურაბანიძე, 2010).

დიმიტრი ალექსიძის მიერ 1936 წელს განხორციელებულ კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს“ უპრეცედენტო წარმატება ხვდა წილად.

1936 წელი ურთულესი პერიოდი იყო საქართველოს ცხოვრებაში. საქართველოში მორიგი რეპრესიების პერიოდი იწყებოდა.

როგორც დიმიტრი ალექსიძე იგონებს, მან რუსთაველის თეატრში აკაკი ხორავას თხოვნით დაიწყო მუშაობა. ვითარება, რომელიც იმხანად სუფევდა, ჭეშმარიტად ტრაგიკული იყო: ის-ის იყო, დააპატიმრეს ალექსანდრე ახმეტელი. ყველგან შიში და გაურკვეველობა სუფევდა. უაღრესად იყო გახშირებული დასმენა, ცილისწამება. ადამიანები ერთმანეთს ვეღარ ენდობოდნენ და ამისი დიდი საფუძველიც ჰქონდათ: არავინ იცოდა, ვის სახლთან გაჩერდებოდა შინსახკომის ავტო, რომლითაც ახალდაპატიმრებულები მიჰყავდათ. საუკეთესო შემთხვევაში, ამ პატიმრებს ხანგრძლივი დროით სვამდნენ ციხეში ან ასახლებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ხვრეტდნენ ტროიკის განაჩენით.

და რა დროს კომედია იყო, თანაც ასეთი სილალის და სიხალისის შემცველი? 1937 წელს რეპრესიები კულმინაციას აღწევს. აჭარის სამსახიობო ჯგუფთან დადგმული „სასტუმროს დიასახლისი“ კი სრული ანშლაგით მიდის... რეპრესიებით დათრგუნული ქართველი ხალხი კომედიის ნახვით თვითგადარჩენის გზას ეძებდა თითქოს.

შესავალი. მუსიკალური ხელოვნების აბსტრაქტულობა ის მდიდარი პოტენციალია, რომელიც ვერბალური ენის გამომსახველობის საპირწონედ, თავისი არსით მართლაც რომ უკიდევანოა. ეს თავისთავად გვაკავშირებს მუსიკის აღქმის საკითხთან, რომელიც ალბათ ინდივიდუალურ-სუბიექტურისა და ზოგად-ობიექტურის გრადაციების ზღვარზე გადის, დამაჯერებლობის ერთგვარი „ცენზორის“ მეშვეობით.

შემეცნების გზაზე კანონზომიერებების, ნორმების გამოვლენისა და მათი ამოხსნის მცდელობისას, რაც უფრო მეტადაა არგუმენტები მტკიცებულებებით გამყარებული, მით უფრო მართებულად აღიქმება აღმოჩენილი, შემდეგ კი შესაძლოა გაქარწყლდეს, მოდიფიცირდეს ეს ნორმები კვლავაც ახლის ძიებაში. ამ გზაზე შეიძლება წავაწყდეთ რაღაც განსხვავებულს, ალტერნატიულს, რომელიც ერთი შეხედვით ფართოდ გავრცელებულს უპირისპირდება, თუმცა გარკვეული იმპულსია მსჯელობის, პოლემიკისა და ახალი

იდების ხორცშესხმისთვის.

შინაარსის მუსიკალური განსხვავების ყალიბი ყოველთვის ერთგვაროვანი ან ცხადი როდია, რაც მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და ინტერპრეტირების სხვადასხვა ვერსიას ბადებს; და რა არის მიზანი? კომპოზიციის ამოცნობის დროს ვიპოვოთ მხოლოდ ერთადერთი თუ დავინახოთ ვერსიათა პოტენციალი. თუკი ეს ასეა, რა განაპირობებს ამ ყოველივეს? მუსიკალური აზროვნების სპეციფიკა? ... ამ საკითხებთან მიმართებაში ერთ-ერთი საინტერესო კომპოზიციური ყალიბია თავად ფუგის ფორმა, რომელიც შეიძლება არა ყოველთვის, მაგრამ არც თუ იშვიათად მისი აღქმის ნაირგვარობა კომპოზიციურ კონტრაპუნქტულობას ავლენს.

სწორედ ამ კონტექსტში მოიაზრება დიდი ქართველი მუსიკისმცოდნის, შალვა ასლანიშვილის გარკვეული პოზიციები. ზოგადად, ცნობილი ფაქტია, რომ შ.ასლანიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა მრავალმხრივობით გამოირჩევა; მათ შორის განსაკუთრებით ფასეულია ტრადიციული მუსიკალური ხელოვნების კვლევის მიმართულებით ქართულ მუსიკისმცოდნეობაში შეტანილი წვლილი, გამორჩეული ფუნდამენტურობით, სიღრმისეულობით.

პოლიფონიური ხელოვნების უბადლო ოსტატის ი.ს. ბახის მაღალმხატვრული ქმნილება „კარგად ტემპერირებული კლავირის“ ორივე ტომი რომ არაერთი მეცნიერისთვის გამხდარა სხვადასხვა ასპექტით კვლევის ობიექტი, სიახლეს არ წარმოადგენს. მათ შორისაა შ. ასლანიშვილის 1975 წელს გამოცემული ნაშრომი „ბახის ფუგების ფორმისშემქმნელი პრინციპები“.

მეთოდები. საკითხზე მუშაობისთვის რელევანტური იყო ანალიტიკური და კომპარატიული მეთოდოლოგიის გამოყენება. რაც შეეხება წყაროებს, ძირითად კვლევასთან ერთად, შედარების მიზნით განხილულ იქნა სხვა ავტორთა პოზიციები.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მეცნიერის კვლევითი ინტერესები, მათ შორის, დაკავშირებული იყო მუსიკალური კომპოზიციის კანონზომიერებების გამოვლენასთან რაც არაერთ სამეცნიერო პუბლიკაციასა თუ ხელნაწერში აისახა. ერთ-ერთი მათგანია სწორედ განსახილველი ნაშრომი; საინტერესოა, რომ თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო შრომების კრებულში სტატიის სახით დაიბეჭდა 1973 წელს, ხოლო ხელნაწერის სახით დაკვირვებები არსებობდა უკვე 1958 წელს; მოხსენების სახით ავტორმა ნაშრომი ჯერ კიდევ 1960 წელს ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრაზე წაიკითხა. ეს დინამიკა უბრალო რიცხვები არაა და გვიჩვენებს მეცნიერის საკითხზე მუშაობის ხანგრძლივობას, მრავალწლიანი შრომის შედეგს.

აღსანიშნავია, რომ წიგნად გამოცემული ვერსია ყველაზე სრულია, რადგან ქართულ ვარიანტს ბოლო ორი თავის სახით დამატებული აქვს ხსენებული ციკლის ორივე ტომიდან შერჩეული 18 ფუგის ანალიზი და ყველა - 48-ვე ფუგის სქემა. ნაშრომში თავად ავტორი არაერთი მეცნიერის, მკვლევარის პოზიციას ასახავს, ერთი მხრივ გაზიარებით, მეორე მხრივ კი აქტიურ პოლემიკაში შესვლით.

ამ თვალსაზრისით რამდენამდე ასოციაციურია მუსიკისმცოდნისა და პიანისტის, იაკობ მილშტეინის შრომაც „ი.ს. ბახის კარგად ტემპერირებული კლავირი და მისი შესრულების თავისებურებები“ (გამოცემული 1967 წელს), სადაც დეტალურადაა განხილული კომპოზიტორის ციკლის შექმნის ისტორია, პრელუდიებისა და ფუგების ფორმაქმნადი მახასიათებლები და მუსიკალური ენის თავისებურებები. წიგნის ძირითადი ნაწილი (მეორე და მესამე თავები) კი ეთმობა ბახის ციკლის თითოეული პრელუდიისა და ფუგის შემსრულებლობის საკითხებს, სადაც მოყვანილია ბახის „კტკ“-ს ციკლის სხვადასხვა რედაქტორთა მოსაზრებები (მათ შორის, ბარტოკის, ჩერნის, ბუზონის, მუჯელინის, კელერის და სხვათა).

აქვე ვახსენებ შალვა ასლანიშვილის შესახებ 1993 წელს გამოცემულ წიგნს „მუსიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი - სტატიები, მოგონებები, წერილები“, სადაც ერთ-ერთ, კერძოდ, ლ.მ. ბუტირის სტატიაში „ბახის პოლიფონიური ფორმის პრობლემატიკა შ. ასლანიშვილის შრომებში“ წარმოდგენილია მეცნიერის მიერ ბახის „კტკ“-ს შესახებ ვრცელი ნარკვევი.

ყურადღებას იპყრობს ბახის ფუგების ასლანიშვილისეული და მილშტეინის ნაშრომში მოყვანილი კომპოზიციური ინტერპრეტაციები. საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად შეხსენებისთვის მოკლედ მიმოვიხილავ შ. ასლანიშვილის ნაშრომს.

ქართველი მეცნიერის გამოკვლევა გამოირჩევა ავტორის მიერ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომით, რომლის მიზანია ბახის ფუგების ფორმის წარმოქმნის პრინციპის დადგენა. მკვლევარი ნაშრომში ეხება თემატიზმს ფუგაში (თემის ექსპოზიციურ და დამუშავებით ფუნქციას), სტრუქტურულ ელემენტებს, ტონალური განვითარების საკითს და მის თემატურ მხარესთან დამოკიდებულებას, ფუგის ფორმის დანაწევრების პირველად და მეორეულ ნიშნებს, ფორმის ნაწილების ურთიერთმიმართებას.

მსჯელობა და შედეგები. შ. ასლანიშვილის აზრით, ფუგის ფორმის განვითარების ისტორიაში ბახის ნოვატორობა დაკავშირებულია შემდეგთან: თემის ექსპოზიციური-მყარი და დამუშავებითი-მერყევი ფორმების მკაცრი დიფერენციაციის პრინციპის დადგენასა და თემის გატარების ჯგუფებად გაერთიანებასთან, რის გამოც ფუგის მთელი ფორმა იყოფა ექსპოზიციურ ან დამუშავებით ნაწილებად.

იგი აღნიშნავს, რომ ზოგ სამეცნიერო ლიტერატურაში ბახის ფუგების განხილვის პოზიცია ხელს არ უწყობს ფორმის სტრუქტურული აღნაგობის მართებულ განსაზღვრას; აგრეთვე, თითქმის არ ექცევა ყურადღება ფორმის დადგენისას გადამწყვეტ ფაქტორს, თემატურ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ შ.ასლანიშვილი თავის ნაშრომში მიუთითებს რიმანისა და ზოგიერთი სხვა მკვლევარის შეხედულებაზე, კერძოდ, ტონალური ფაქტორის უმთავრეს როლზე ფუგის ნაწილების ფუნქციურ გამოკვეთაში; მაგრამ თავად, პირიქით, ფუგის ფორმის განსაზღვრაში, ტონალურ-ჰარმონიულ მხარეს მოკრძალებულ მნიშვნელობას ანიჭებს. შედეგად ის გვერდს უვლის ბახის „კტკ“-ს ფუგებში ძველებური სონატური ფორმის, ან მისი ელემენტების გამოვლენას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორებთან ერთად, ძველებური სონატური ფორმის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ბახის შემოქმედებამ, მათ შორის ფუგებმა შეასრულა.

შ. ასლანიშვილის თანახმად, ფუგაში თემატურ ფაქტორს უმთავრესი ფორმაქმნადი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ფუგის ფორმის ტონალური გეგმის მიხედვით განსაზღვრა მცდარ დასკვნებს იწვევს. თუმცა, საინტერესოა, რომ შეიძლება დასახელდეს არაერთი ფუგა, და არამარტო ბახის, სადაც უპირატესად ტონალური გეგმა იღებს თავის თავზე ფუგის ფორმის განსაზღვრას. ავტორის აზრით, ბახის ნაწარმოებებში ერთ ტონალურ ცენტრს ექვემდებარება სხვა ტონალობები. მეორე ტონალური ცენტრი კი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ თემების პარალელურ ტონალობაში გატარებისას. იმავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მხრიდან თემატურ ფაქტორთან ერთად, დიდი ყურადღება ეთმობა კადანსების მნიშვნელობის გამოკვეთას.

ამასთან დაკავშირებით, ის ფაქტი, რომ ბახისთვის მნიშვნელოვანი იყო მეორე ცენტრის არა ფუნქციური, არამედ კილოური საწყისი, შესაძლოა მეტ არგუმენტებს საჭიროებდეს. მითუმეტეს, ბახის ფუგებში მეორე ცენტრი სწორედ რომ დომინანტური საფეხურის ტონალობა იყო, და არა პარალელური. ამაზე მეტყველებს თვით ექსპოზიციის თემა-პასუხის თანაფარდობა; ასევე ძვ. ორნაწილიანი ფორმის აგების პრინციპი, რომელიც ერთთემიან კომპოზიციაში ტონალობების ტონიკა-დომინანტა-დომინანტა-ტონიკური

სიმეტრიული თანაფარდობით განისაზღვრებოდა. შ. ასლანიშვილმა „კტკ“-ს მთელ რიგ ფუგებში გვერდი აუარა სონატური ფორმის ელემენტების არსებობას. ვგულისხმობთ ერთთემიან სონატურ ფორმას, სადაც არა თემატურ, არამედ მხოლოდ ტონალურ კონტრასტთან გვაქვს საქმე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სონატური ფორმა ყალიბდებოდა ბაროკოს ეპოქაში, რაშიც დიდი მნიშვნელობა სწორედ ბახის შემოქმედებამ, მათ შორის ფუგამ იქონია.

მთელ რიგ მკვლევართა შეხედულებით ბახის ფუგების შიდა ნაწილთა განმაცალკევებელ ფაქტორებად უმეტესად გათვალისწინებულია არა მხოლოდ თემატური, არამედ ასევე ტონალურ-ჰარმონიული და ფაქტურული ფაქტორები. სწორედ მათი რთული ურთიერთშეკავშირება ფუგის განვითარების პროცესში იძლევა მისი კომპოზიციის გამოვლენის არაერთ ვარიანტს, თუმცა ცხადია ყოველთვის არ გვაქვს ეს ერთგვარი „გაურკვევლობა“; გამოდის, რომ საქმე გვაქვს პოლიმორფულობასთან: ფორმის ნაწილების გამოვლენასთან სხვადასხვა ნიშნით. ამგვარი მიდგომა კი ფუგის კომპოზიციის მრავალმხრივი აღქმის საშუალებას გვამძლევს.

სამეცნიერო სფეროსთვის ცნობილი ფაქტია, რომ არაერთ საკითხთან თუ მოვლენასთან მიმართებაში არსებობს ტერმინოლოგიური სხვაობები, მაშინ როდესაც ერთი არსის გამოხატვაზეა საუბარი. ამ თვალსაზრისით, არც მუსიკისცოდნეობა და არც შ.ასლანიშვილის ნაშრომია გამონაკლისი. ვხვდებით განსხვავებულ ტერმინებს; მაგალითისთვის მოვიყვან ერთ-ერთს, ესაა I, II, III (და ა.შ.) განვითარება. რა იგულისხმება? უნდა აღინიშნოს, რომ ექსპოზიციური და დასკვნითი ნაწილის მსგავსად ფუგის განვითარებადი მონაკვეთი ერთიანი, ფუნქციურად გამოვლენილი ნაწილია, რონდოსებური ფორმების გამოკლებით, რადგან ამ შემთხვევაში მართლაც ვლინდება არა ერთიანი, არამედ ერთმანეთისგან განცალკევებული განვითარებადი მონაკვეთები. უჩვეულოა ეს ტერმინი ფუგის ბოლო ნაწილის სახით, რადგან იკითხება თითქოს ფუგა მოკლებულია დასკვნით ფუნქციას. მეორე მხრივ განვითარება, როგორც უწყვეტი პროცესი, ფუგაში უკვე თემის პასუხიდან იწყება, სადაც თემის ახალი ტონალური, ტემბრული, რეგისტრული, კონტრაპუნქტული გარემოცვის განახლებაა. ასევე პროცესუალური მხარე, გამომდინარე იქიდან, თუ რისკენაა მიმართული, ავლენს ნაწარმოების ნაწილის - ექსპოზიციურს, განვითარებადს, თუ დასკვნით ფუნქციას.

ერთი ნიმუშის სახით მოვიყვანთ პატარა მაგალითს: „კტკ“-ს პირველი ტომიდან რე მინორული ფუგის ფორმის ვერსიებს. საინტერესოა, რა ურთიერთმიმართებაშია მილშტეინის ნაშრომში მოყვანილი და შ. ასლანიშვილისეული ინტერპრეტაცია. ეს ის ფუგაა, რომელშიც ასევე ძველებური სონატური ფორმის თვისებებზე საუბრობს სხვადასხვა მეცნიერი.

შ. ასლანიშვილის მიხედვით ოთხნაწილიანი კომპოზიცია ყალიბდება ასეთი განაწილებით (ტაქტებში) და დასახელებით: ექსპოზიცია (1-13), I განვითარება (13-21), II განვითარება (21-33), III განვითარება (33-42) და კოდა (43-44). აქ ნათლად ჩანს მკვლევარის მიდგომა ფუგისადმი, როგორც უწყვეტი განვითარების პროცესისადმი (გარკვეული ვარიაციული ამოზრდით). რაც შეეხება მილშტეინს, მოყვანილია შემდეგი ვერსიები: სამნაწილიანი რიმანის და ბუზონის მიხედვით (12-16-16), მორგანთან (9-29-6) და პერაკიოსთან (7-31-6). სხვა განაწილებით, ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ბარტოკი და ჩაჩკესი ფუგას გაიაზრებენ ორნაწილიანად (20-24), რასაც ასევე ვიზიარებთ. საინტერესოა, რომ ეს ვერსია ფაქტობრივად, შ.ასლანიშვილისეულს გარეგნულად ემთხვევა. მსგავსი სიტუაცია არც თუ ერთადერთია სხვა ნიმუშების შედარებისას.

ვფიქრობ, საგულისხმოა, რომ ბახის ფუგების კომპოზიციების გამოკვეთისას ასლანიშვილის პოზიციები რიგ შემთხვევებში თანხვედრაში მოდის მილშტეინის ნაშრომში გამოთქმულ ამა თუ იმ ვერსიებთან; შეიძლება ტერმინოლოგიური სხვაობით, მაგრამ საზღვრების მსგავსებით.

დასკვნა. მუსიკისმცოდნე, მეცნიერი შალვა ასლანიშვილი გვევლინება მეტად ორიგინალურ მოაზროვნედ. მისი შრომა სხვადასხვა მეცნიერის მიერ იყო აღიარებული და ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიკავა ბახის მუსიკალური ხელოვნების შესახებ მიძღვნილ ნაშრომთა შორის. შ. ასლანიშვილის მიდგომები, განსხვავებული კონცეფცია, როგორც ვხედავთ, ფუგის კომპოზიციურ გააზრებასთან მიმართებით, განსხვავდება სხვა მკვლევართა შეხედულებებისგან. მისი ხედვა მუსიკალური ფორმის, კერძოდ კი ბახის ფუგის ფორმაქმნადობასთან მიმართებაში საინტერესო და ინდივიდუალურია. ასეთი სხვაობა განპირობებულია ფორმაქმნად კრიტერიუმებს შორის უპირატესის გამოვლენით, თემატური ფაქტორის დომინირებით ტონალურზე, მოშველიებული სათანადო არგუმენტაციით. ამდენად, მეცნიერის განსხვავებული მიდგომის არსი ვლინდება თემატური ფაქტორის პრიმატში, მისთვის წამყვანი ფორმაქმნადი მნიშვნელობის მინიჭებაში, რისი მიზეზიც თემატიზმის მუდმივი განვითარების პროცესუალობაა. მაჟორ-მინორული ფუნქციონალური სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში, მეტად სპეციფიკურია ტონალურ ფაქტორთან მიმართება, მისი მეორე პლანზე გადატანა, რამაც შესაძლოა ბაროკოს ეპოქის მახასიათებლები ჩრდილში მოაქციოს, მიღმა დარჩეს ფუგის კომპოზიციური მრავალფეროვნების პოტენციალი.

თემისა და ტონალობის პროცესების სინქრონულობა თუ ასინქრონულობა, ტონალური ფაქტორის ფორმაქმნადი მნიშვნელობის მინიჭება შეგვიძლია გავამყაროთ ისტორიული პარალელებით: გავიხსენოთ ერთთემიანი ძველებური რონდო, ან ძველებური ორნაწილიანი ან ძველებური სონატური ფორმები.

ზოგადად კი, ფორმის განმსაზღვრელ ფაქტორთა ღია თუ ვუალირებული აცდენები, არათანხვედრა სწორედ პოლიფონიური მუსიკის მუდმივ პროცესუალობას უსვამს ხაზს. აქედან გამომდინარე არაერთი ვერსიის არსებობა, განა შედეგი არაა თავად ფუგის კომპოზიციის პოლიფონიური, კონტრაპუნქტული გააზრების პოტენციალის გამოვლენისა? თავად ფუგა იძლევა ამ მრავალფეროვნებას, რამაც საშემსრულებლო ინტერპრეტაციის ნაირგვარობისკენ შეიძლება გვიბიძგოს.

და მაინც, რასთან გვაქვს საქმე - ფუგის პოტენციალთან თუ მკვლევარის ალტერნატიულ ხედვასთან? დიახ, ერთთანაც და მეორესთანაც. ესაა ჭეშმარიტებასთან მისასვლელი გზა, რაშიც სხვადასხვა მეცნიერი საკუთარ გზას, თუ საკუთარ სათქმელს პოულობს, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა კი, ვფიქრობ, გამართლებულია. მეცნიერთა არაერთი პოზიცია, მოსაზრება თუ ტერმინი გამხდარა და ალბათ შემოდგომშიც გახდება პოლემიკის საგანი, და ეს იქნება ერთ-ერთი ბიძგი ჭეშმარიტებისკენ გზის გასაგრძელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბლიაშვილი, მ. (2002). პოლიფონიის პრობლემატიკა ქართულ მუსიკისმცოდნეობაში. ჟურნალი ხელოვნება N 5-6.

შალვა ასლანიშვილი - 125 საიუბილეო კრებული (2021). თბილისი.

Асланишвили, Ш. (1975). Принципы формообразования фуг И. С. Баха. Тбилиси.

Асланишвили, Ш. (1993) С. Музыкант. Ученый. Педагог: Статьи, воспоминания, письма. Москва.

Мильштейн, Я. (1967). Хорошо темперированный клавир И. С. Баха и особенности его исполнения. Москва.

REFERENCES:

- t'abliashvili, m. (2002). p'oliponiis p'roblemat'ik'a kartul musik'ismtsodneobashi. zhurnali khelovneba N 5-6.
- shalva aslanishvili - 125 saiubileo k'rebuli (2021). tbilisi.
- Aslanishvili, Sh. (1975). Principles of Formation of Fugues by J. S. Bach. Tbilisi.
- Aslanishvili, Sh. (1993) S. Musician. Scientist. Teacher: Articles, Memories, Letters. Moscow.
- Milstein, Ya. (1967). The Well-Tempered Clavier by J. S. Bach and Features of its Performance. Moscow.

Revealing Chronotopic Thinking in Georgian Traditional and Professional Choral Music

ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენისთვის ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში

Shio Abrakhamia

Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

PhD Student

+995 598153000, shio.muza@yahoo.com

Abstract. Through the categories of time and space, a person has formed his/her own model of the universe since ancient times in which there are revealed the perception of the world and understanding of reality, the system of appearances due to the current processes. As it is known, the first ideas about time and space were formed in the Palaeolithic. Different perceptions of chronotopes (time and space) were expressed through different signs and symbols in all areas of culture. Accordingly, the form and meaning of symbols and signs have been changed according to the society's attitude towards the outer world. In archaic society, there was only one form of worldview - myth, where the categories of time and space are homogeneous and represent an indivisible whole. There was the creation of the world, sacred time and space to the mythological past and which were attributed to inexplicable, special power. Concepts were gradually replaced by scientific aspects and special attention was paid to time-spatial aspects from the 20th century. They were also interested in musical art with its philosophical and artistic aspects.

The purpose of the research is to reveal the peculiarities of chronotopic thinking in Georgian traditional and professional choral music. Accordingly, it discusses widespread ideas about time-space categories; Middle Eastern, Western European and Georgian mythological chronotopic artistic-philosophical approaches are distinguished. The principles of their reflection in Georgian singing folklore and the professional choral music emerging from it are analyzed on the example of the choirs of Niko Sulkhaniashvili, a classic of the genre.

Keywords: Time and Space; Chronotope; Folklore; Choral Music; Niko Sulkhaniashvili.

შო აბრახამია

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო კონსერვატორია

დოქტორანტი

+995 598153000, shio.muza@yahoo.com

აბსტრაქტი. დროისა და სივრცის კატეგორიების მეშვეობით ადამიანმა უძველესი დროიდან ჩამოაყალიბა სამყაროს საკუთარი მოდელი, რომელშიც გამოვლენილია სამყაროს აღქმა და სინამდვილის გააზრება, შეხედულებათა სისტემა მიმდინარე პროცესებზე. როგორც ცნობილია, დროისა და სივრცის შესახებ პირველი წარმოდგენები პალეოლითში ჩამოყალიბდა. ქრონოტოპების (დროისა და სივრცის) სხვადასხვაგვარი აღქმა კულტურის ყველა სფეროში, სხვადასხვა ნიშან-სიმბოლოს საშუალებით

გამოიხატებოდა. შესაბამისად, სიმბოლოებისა და ნიშნების ფორმა და მნიშვნელობა საზოგადოების გარესამყაროსადმი შეხედულებისამებრ იცვლებოდა. არქაულ საზოგადოებაში არსებობს მსოფლგაგების ერთადერთი ფორმა - მითი, სადაც დროისა და სივრცის კატეგორიები ერთგვაროვანია და განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენენ. მითოლოგიურ წარსულში მოხდა სამყაროს, საკრალური დროისა და სივრცის გაჩენა, რომელთაც აუხსნელი, განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდათ. წარმოდგენები თანდათან შეიცვალა მეცნიერული შეხედულებებით, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება დროით-სივრცულ ასპექტებზე XX საუკუნიდან გამახვილდა. მისი ფილოსოფიური და მხატვრული ასპექტებით მუსიკალურ ხელოვნებაშიც დაინტერესდნენ.

კვლევის მიზანს ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ქრონოტოპული აზროვნების თავისებურებების გამოვლენა წარმოადგენს. შესაბამისად, მასში განხილულია გავრცელებული წარმოდგენები დროით-სივრცული კატეგორიების შესახებ; გამოყოფილია ზოგადადმოსავლური, დასავლეთევროპული და ქართული მითოლოგიური ქრონოტოპული მხატვრულ-ფილოსოფიური მიდგომები; გაანალიზებულია მათი ასახვის პრინციპები ქართულ სასიმღერო ფოლკლორში და მასზე აღმოცენებულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ჟანრის კლასიკოსის - ნიკო სულხანიშვილის გუნდების მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: დრო და სივრცე; ქრონოტოპები; ფოლკლორი; საგუნდო მუსიკა; ნიკო სულხანიშვილი.

შესავალი. დროისა და სივრცის შესახებ პირველი წარმოდგენები არქაულ საზოგადოებაში ყალიბდება, სადაც დრო და სივრცე განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენდა. მითოლოგიაში ხდებოდა მათი საკრალიზაცია და აუხსნელი, განსაკუთრებული ძალა მიეწერებოდა. ცხადია, რომ დროით-სივრცული კატეგორიებისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ქრონოტოპების შესახებ წარმოდგენები სხვადასხვა დროს სამეცნიერო კვლევებით შეცვალეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ნიუტონი, აინშტაინი, კესტლერი და სხვ.⁴

პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა XX საუკუნეში შეიძინა. ის აქტუალური გახდა, ასევე, სამუსიკო ხელოვნებაში. მეცნიერული მოსაზრებები გამოთქვეს: ასაფიევმა, ორლოვმა, მარტინოვმა და სხვებმა, რომლებიც განიხილავენ მუსიკაში დროისა და სივრცის კატეგორიების როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ, ისე მუსიკალურ-სტრუქტურულ ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ქართულ მუსიკოლოგიაშიც გაჩნდა სამეცნიერო პუბლიკაცია მედეა ქავთარაძის ავტორობით, რომელიც პირველად მიემღვნა დროისა და სივრცის პრობლემას საგუნდო მუსიკაში (ქავთარაძე, 2017).

ამდენად, კვლევის საგანს წარმოადგენს ქართულ ტრადიციულ მუსიკალურ აზროვნებაში გამოვლენილი დროით-სივრცული ასპექტები; შედეგად, მიზანია ეროვნული სასიმღერო ფოლკლორისა და საგუნდო მუსიკის პირველი კლასიკოსის - ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში ქრონოტოპული კატეგორიების მხატვრული პარამეტრების დადგენა. ამ მხრივ, ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ქრონოტოპების გამოვლენის თავისებურებების კვლევის იმპულსებს ჰენრიხ ორლოვის მეცნიერული მოსაზრებები იძლევა. ის დროისა და სივრცის გაგების დიფერენცირებას კონტინენტურ-რეგიონული და მასთან დაკავშირებული

⁴ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს სივრცეს, დროსა და მატერიალურ ობიექტს, რაც გვეხმარება შევიგრძნოთ დროის კონტინუუმი.

მსოფლხედვების შესაბამისად ახდენს (Орлов, 1992). ორლოვი აღნიშნავს დროის ორ ძირითად აღქმას: ზოგადევროპულსა და აღმოსავლურს. მისი თქმით, სიტყვას - „დრო“ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარი გაგება აქვს. დროის დასავლურ და აღმოსავლურ გაგებას შორის განსხვავებას იგი ნორდროპის ციტატით განმარტავს: „დასავლეთის ადამიანისათვის დროის ხატი ან ისარია, ან მდინარის მოძრაობა, რომელიც მოედინება შორეული ადგილიდან და წარსულიდან, რომელიც არც აქაა და არც ახლა და გზას აგრძელებს ასეთივე შორეული ადგილისა და მომავლისაკენ. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ადამიანისთვის დრო წარმოადგენს მშვიდ, მდუმარე წყალსაცავს, რომლის ზედაპირი დროდადრო შეუმჩნევლად ირხევა და იქვე ქრება“ (Орлов, 1992: 47). იდეას ორლოვი განავრცობს. მას მიაჩნია, რომ აღმოსავლეთის ადამიანმა მედიტაციებით დაიგროვა სპეციფიკური ცოდნა. მედიტაციურ განზომილებაში იგი მიჰყვება დროის სვლას, ყურადღებას მიმართავს სამყაროს ისეთ ასპექტებზე, რომელიც ემპირიული გამოცდილების შედეგად მიიღწევა და აღიქმება. თავის მხრივ, დასავლეთიც ითვალისწინებს ემპირიულ გამოცდილებას, თუმცა დასავლური ცოდნა დროის შესახებ ლოგიკასა და სამეცნიერო, ფილოსოფიურ ტრაქტატებში ჩამოყალიბებულ სწავლებებს ემყარება.

თუ აღმოსავლური აზროვნება დროის მდინარებას არ ეწინააღმდეგება, ევროპული ცდილობს დროის დამორჩილებასა და მასზე ზემოქმედებას. დროის უწყვეტობის დამღვევის ტენდენცია გაცნობიერებულ ხასიათს შუასაუკუნეების მხატვრულ აზროვნებაში იძენს. იგულისხმება ევროპელ კომპოზიტორთა მიერ შემუშავებული გამომსახველ საშუალებათა კომპლექსი, რომლის მეშვეობით მუსიკალურ ნაწარმოებში შესაძლებელი გახდა დროის დანაწევრება და მასზე ზემოქმედება, დროის დაბრუნება, ან სულაც „დროში მოგზაურობა“. მუსიკა პროცესია, დროის კონტინუუმი, რომელიც განისაზღვრება მეტრით, რიტმით და ტემპით, დროის სვლის განცდა უზრუნველყოფილია მუსიკალური ქსოვილის შეცვლის გზით, რაც მუსიკალურ გამომსახველობითი საშუალებებით ხორციელდება, რადგან ცვლილება მუსიკაში დროის საზომია. მუსიკალური სტრუქტურის ამ ფიქსირებულ ელემენტებს შორის ურთიერთობა მოქმედებს მუსიკის დროის სვლაზე; ამრიგად, დასავლურმა აზროვნებამ მუსიკალური გამომსახველობის საშუალებებით დამღვევადი გახადა დროის უწყვეტობა და დროის შეუქცევადობა (ტაქტირება, რეპრიზა, ტემპური ნიუანსების ცვლა და სხვ.).

ორლოვი ეხება მუსიკალური ნაწარმოების ფორმას, როგორც მუსიკის ერთ-ერთ დროით-სივრცულ ფაქტორს. მისი აზრით, მუსიკალური ბგერების მეშვეობით ნაწარმოებში იქმნება კონსტრუქციის იერარქია, რაც შედგენილია დიდი, თუ მცირე ხმოვანი ბლოკებისაგან (თემატური მასალისაგან), სწორედ ამ ბლოკების, ანუ „სამშენებლო მასალის“ სიმწყობრე აძლევს ნაწარმოებს როგორც ფორმას, ისე მათი ურთიერთქმედება - განვითარება ქმნის მუსიკალური დროის რთულ „პაკეტს“. ეს „კონსტრუქციული ბლოკები“ უპირველესად, ნაწარმოების მუსიკალური ქსოვილის აგების ფორმაზე, ანუ მის ფაქტურაზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პოლიფონიური ფაქტურა. პოლიფონია კი არა მარტო ევროპული მუსიკის უდიდესი მონაპოვარია, არამედ „ტრადიციული ქართული მუსიკალური აზროვნების ძირითადი კატეგორიაცაა“ (წურწუმია, 1998: 50-57).

მეთოდები. მოხსენება ემყარება კვლევის შემდეგ მეთოდებს:

- **ისტორიულს:** ისტორიული კვლევის მეთოდი გულისხმობს ტრადიციულ სასიმღერო ფოლკლორზე დროის, ისტორიული და მიგრაციული პროცესების ზეგავლენას.
- **ანალიტიკურს:** აღნიშნული მეთოდით წარმოდგენილია მოსაზრებები ქართულ სასიმღერო ფოლკლორში ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენის შესახებ; სიმღერების ფაქტურულ სახეობაში, მელოდიებსა და ინტონაციაში გამოვლენილი აღმოსავლური და

ევროპული მხატვრული დროით-სივრცული კატეგორიები; ამასთან, თავად ქართული ტრადიციული საგუნდო მუსიკის - სასიმღერო ფოლკლორის გავლენები ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაზე ნიკო სულხანიშვილის გუნდების მაგალითზე.

• **კომპარატიული:** ამ მეთოდით შესწავლილი და შედარებულია ქრონოტოპული ასპექტების ზოგადადმოსავლური და დასავლეთევროპული კატეგორიები და ქართულ ეპოსში გამოვლენილი მითოლოგიური დროით-სივრცული აღქმები; კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის საგუნდო პარტიტურებში გამოვლენილი მხატვრული ქრონოტოპები ეროვნული და ევროპული ფაქტურული, ინტონაციური და ენობრივი თავისებურებები.

შედეგები. ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში ქრონოტოპული აზროვნების ძიებებისა და შესწავლის შედეგად დადგინდა:

- საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული მიგრაციების გავლენები ტრადიციულ კულტურაზე;
- უცხო კულტურათა გავლენები ქართული ტრადიციული მუსიკის მრავალფეროვან ბუნებაზე;
- ქართულ სასიმღერო ფოლკლორში გამოვლენილი დროით-სივრცული აღმოსავლური, ზოგადევროპული და მითოლოგიური გაგებები;
- ქართული სასიმღერო ფოლკლორის საფუძვლებზე აღმოცენებული ნიკო სულხანიშვილის საგუნდო შემოქმედებაში სპეციფიკური ჟღერადობისა და პარტიტურებში გამოვლენილი ფორმა-ხერხები სპეციფიკის გათვალისწინებით ტრადიციულ ფოლკლორში მიკვლეული დროით-სივრცული კატეგორიები.

მსჯელობა. მუსიკა ხელოვნების ის სახეა, სადაც ბგერა დროსა და სივრცეშია განფენილი. ის პროცესია, დროის კონტინუუმი, რომელიც სპეციფიკური კრიტერიუმებით (მეტრი, ტემპი, რიტმი) განისაზღვრება.

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ფოლკლორში დროთა განმავლობაში აირეკლა ზოგადი მსოფლადქმები, გარესამყაროსთან დამოკიდებულება, სხვა კულტურათა გავლენები, რაც, სწორედ სპეციფიკურ მუსიკალურ გამომსახველობით კომპონენტებში აისახა.

კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა ქართული ტრადიციული მუსიკის სიღრმე, მრავალფეროვანი და დემოკრატიული ბუნება, რაც სტილურ საფუძვლად იქცა ეროვნული პროფესიული საგუნდო მუსიკისა.

დასკვნები

- განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობების შედეგები აისახა ქართულ მხატვრულ ქრონოტოპულ ასპექტებზე;
- ფოლკლორული საფუძვლებით გამოწვეული დროით-სივრცული ტრადიციული აღქმების გავლენები ფაქტურული, მეტრულ-რიტმულ და ინტონაციურ დონეზე დადგინდა ნიკო სულხანიშვილის გუნდებში;
- გამოიკვეთა ევროპული საკომპოზიციო, პოლიფონიური ხერხებისა და ფორმების ზეგავლენა სულხანიშვილის ნაწამოებების მხატვრულ ქრონოტოპებზე;
- XX საუკუნის ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიების გააზრება ნიკო სულხანიშვილიდან მომდინარე ტრადიციას.

ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენისთვის ქართულ სასიმღერო ფოლკლორში

ქართული ტრადიციული მუსიკა ქვეყნის გამორჩეული გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო რთულ ფენომენს წარმოადგენს, რომელმაც ძველ კავკასიურ ძირებთან ერთად, დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა გავლენაც აირეკლა. ვინაიდან, დროისა და სივრცის კატეგორიები გამოხატავს ეთნოსის, ერის, საზოგადოების მიერ სამყაროსადმი დამოკიდებულებას, შესაბამისად ქართულმა ტრადიციულმა მუსიკამაც, მისი ისტორიულ-კულტურული განვითარების კვალდაკვალ, განიცადა ეთნოსის მსოფლმხედველობაში მომხდარი ცვლილებები.

ცნობილია, რომ შორეულ წარსულში „ხშირი იყო მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა არა მხოლოდ კავკასიის იმ ნაწილში, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა, არამედ მთელს კავკასიასა და წინა აზიაშიც, რადგან ეს რეგიონი ევროპისა და აზიის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის გზათა შესაყარზეა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეთნოსი ყველა იმ ხალხისაგან, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია, შემოქმედებითად ითვისებდა არა ერთ კულტურულ მიღწევას, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. თავის მხრივ, ქართველი ხალხის მრავალი კულტურული მონაპოვარი ყველა მეზობელს, როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაეცემოდა“ (თოფჩიშვილი, 2007: 3).

როგორც ცნობილია, ქართული კულტურის ორ - აღმოსავლურ და დასავლურ წრეს გამოჰყოფენ მის ძველ ცივილიზაციათა კონტექსტში განხილვისას. პირველმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა - დიაოხმა და კოლხამ, ფაქტობრივად, უკვე გამოკვეთეს ქართული კულტურის ორი არეალი - აღმოსავლური და დასავლური (წურწუშია, 2020). რეგიონში მიგრაციების შედეგად, კულტურულ გავლენებს ეთნომუსიკოლოგი ნინო ციციშვილი ქართული ტრადიციული მუსიკის მაგალითზე განიხილავს. როგორც ციციშვილი აღნიშნავს, ქართლ-კახური ე.წ. „გრძელი სიმღერების“ ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი სწორედ ისტორიულმა მიგრაციულმა პროცესებმა ითამაშეს, რაშიც „მონოდიური სასიმღერო სტილის მატარებელი ხალხები იყვნენ ჩართულები“ (ციციშვილი, 2010). მკვლევარი შედარებითი ანალიზის საფუძველზე ტიპოლოგიურ პარალელებს ავლენს აღმოსავლური მუსიკისა და ქართლ-კახური სიმღერების მახასიათებლებს შორის. სხვადასხვა პარამეტრიდან ის კილოსა და რიტმ-მეტრს გამოჰყოფს. მეცნიერი ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ მხოლოდ იმ ჟანრებში, რომლებშიც მელიზმური მელოდიკა აშკარად მეტყველებს აღმოსავლურ გავლენებზე (ერთხმიან ოროველებსა და ურმულებში), სრულადაა გაბატონებული აღმოსავლეთის მუსიკალურ კულტურებში გავრცელებული ტეტრაქორდული კილოები, ხოლო მრავალხმიან ბურდონულ გრძელ სიმღერებში - აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი სიმღერებისთვის დამახასიათებელი კვინტური დიატონიკაა გაბატონებული. იგი ფიქრობს, რომ ქართლ-კახური („გრძელი“ სუფრულების, „ურმულებისა“ და „ოროველების“) სასიმღერო სტილი ორი, განსხვავებული მუსიკალური სტილის - უძველესი ავტოქტონური მრავალხმიანი და ინდოევროპული ტომების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავლისას დატოვებული მონოდიური სტილების შერწყმის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ცნობილია, ბურდონული ბანი ადვილად ჰგუობს მელიზმურ მელოდიკას და თავისუფალ მეტრ-რიტმს, შესაბამისად, ქართული მუსიკის ერთ-ერთმა იმანენტურმა მახასიათებელმა - ბურდონულმა მრავალხმიანობამ, ბუნებრივად მოირგო აღმოსავლური ერთხმიანი მელოდია, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოგვევლინა ბურდონული ორხმიანობის, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, განვითარებული ბურდონული სამხმიანობის სახით.

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახურ მუსიკალურ ფოლკლორში, სადაც წამყვანი ადგილი თავისუფალი მეტრით გადმოცემულ მელიზმურ, და გაშლილი მელოდიების

განმეორებად რიტმულ დაჯგუფებებს უჭირავს, ვლინდება დროის აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი გაგება. უსასრულო დროის შეგრძნებას აქ გაბმული ბურდონი ამძაფრებს, რომელიც სპეციფიკურ სივრცულ ველსაც ქმნის. ბურდონული მრავალხმიანობა რომ აღმოსავლური ტომების საქართველოს გავლით მიგრაციამდე იყო გავრცელებული ქართულ ტრადიციულ მუსიკაში, ამას აღმოსავლეთ საქართველოს მთის მუსიკალურ ფოლკლორის არქაული შრეებიც ადასტურებენ.

რაც შეეხება ევროპული მუსიკალური აზროვნების მისწრაფებას დროის უწყვეტობისა და შეუქცევადობის დაძლევისაკენ, ეს პრინციპები მკაფიოდაა გამოხატული დასავლეთ საქართველოს ტრადიციულ მუსიკაში, სადაც კომპლექსური და კონტრასტული მრავალხმიანობაა გავრცელებული, ხოლო მრავალხმიანობის ბურდონული ტიპი მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება. დასავლეთ საქართველოს, ძირითადად, ანსამბლურ სიმღერებში მეტრი რეგულარულია, რიტმი - დანაწევრებული, ხოლო სტრუქტურა მოკლე რიტმული დაჯგუფებების განმეორებადობას ემყარება. აქ მკაფიოდაა გამოვლენილი დროის დაძლევის ევროპული მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია.

ამას გარდა, დაკვირვებების შედეგად აღვნიშნავდი დროისა და სივრცის კიდევ ერთ სპეციფიკურ აღქმას, რომელიც უძველესი ეპოქისთვის იყო დამახასიათებელი და დღემდე მთაშია შემონახული. ცნობილია, რომ მთის წარმოდგენები დროსა და სივრცეზე ბევრად განსხვავდება ე.წ. ცივილიზებული სამყაროს ქრონოტოპული აღქმისაგან. საუბარია იმ ადრეულ პერიოდზე, როცა ადამიანი სამყაროს ერთ დიდ სივრცედ აღიქვამდა და მის ცენტრად საკუთარ მიწას მიიჩნევდა. ეს შესანიშნავადაა გამოვლენილი მთაში გავრცელებულ ისეთ მითებში, სადაც უაპელაციოდაა გაერთიანებული წარმართული ღვთაებები, ქრისტიანული წმინდანები და ისტორიული გმირები (მაგ.: სვანური ლეგენდა „დევის ნაგების“ შესახებ, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ ეპოქალურ და კულტურულ შრეებს, სადაც პერსონაჟებად გვევლინებიან თამარ მეფე, დევი, ლამარია (ღვთისმშობელი), ნადირობის ქალღმერთი დალი და ამინდის ღვთაება კვირიკე). მთაში დრო მოცულობითია და ამავე დროს შემჭიდროვებული, ვინაიდან მთის მეხსიერება უხსოვარი წარსულიდან ინახავს მითებსა და ლეგენდებს და მათ რეალურ ისტორიებთან ერთად თითქმის თანადროულად აღიქვამს. ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ყველაზე არქაულად სწორედ აღმოსავლეთის მთისა და სვანური ფოლკლორია მიჩნეული, რომლებშიც დროის მითოლოგიური გაგება შეიძლება დავინახოთ. რაც შეეხება სივრცეს, ზოგადად სივრცული პარამეტრი ყველა ტიპის მუსიკას ახასიათებს, როგორც ერთხმიანს, ისე მრავალხმიანს. თუმცა, მრავალხმიანობა იქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ამ პარამეტრის ზრდა-განვითარებისთვის. ჩემი აზრით, შესრულების რესპონსორულმა ფორმამ ძველ საერო ანუ ტრადიციულ მუსიკაში რეალურ, ობიექტურ სივრცესთან ერთად, მხატვრულ-მუსიკალური სივრცეც განსაზღვრა. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი სწორედ მრავალხმიანობას მიუძღვის, რადგანაც მრავალხმიან სტრუქტურაში გამოვლინდა სივრცული აზროვნების ევოლუცია, რაც გამოიხატა ხმათა დამოუკიდებლობის ზრდაში, ანუ ფაქტურის მზარდ პოლიფონიზებაში.

როგორც ვხედავთ, ქართულ ტრადიციულ მუსიკაში საინტერესოდ და მრავალფეროვნად ვლინდება დროით-სივრცული კატეგორიების როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური და მითოლოგიური გაგება. ამ პროცესებმა თავი ახალ ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაშიც იჩინეს, ვინაიდან ის სწორედ ტრადიციულ ქართულ მრავალხმიან საგუნდო მუსიკის ზოგად პრინციპებსა და ენას დაეყრდნო და საინტერესო განვითარება ჰპოვა.

დროით-სივრცული პარამეტრები ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში

ცნობილია, რომ ქართული პროფესიული საგუნდო მუსიკის ისტორია ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებით იწყება. მისი გუნდები ქართული ეროვნული მუსიკის ყველა სტილური ნიშან-თვისების მატარებელია და ემყარება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორს, ამიტომ ბუნებრივია ისიც, რომ მის შემოქმედებაში ვლინდება ქართულ ტრადიციულ მუსიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული მიდგომა დროით-სივრცული კატეგორიებისადმი. ამავე დროს, სულხანიშვილი ავლენს ევროპულ პროფესიულ საკომპოზიტორო აზროვნებას და მიმართავს ევროპულ საკომპოზიციო ხერხებსა და ფორმებს. ამდენად, მისი შემოქმედება ამ გამოცდილებათა სინთეზს წარმოადგენს. ამიტომ, ვფიქრობ, მართებულია, დაისვას საკითხი, მის მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიებისადმი როგორც ტრადიციულ, ისე ზოგადევროპულ მიდგომათა არსებობის შესახებ. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადად, ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში დადასტურებული დროის დასავლური აღქმა არა მხოლოდ ევროპული აზროვნებიდან მომდინარე, არამედ ტრადიციული მუსიკის იმანენტური ბუნებით განპირობებული მოვლენაა. ტრადიციული და ევროპული მიდგომები რომ სულხანიშვილის მხატვრულ-მუსიკალური აზროვნების არსებითი მახასიათებელია და არა ორი განსხვავებული კულტურული ტრადიციის ერთმანეთთან დაკავშირების ხელოვნური მცდელობა, ამის მტკიცების საფუძველს მისი მუსიკა იძლევა. დროით-სივრცული პარამეტრების რთული პაკეტია წარმოდგენილი სულხანიშვილის „გუთნურში“: დროის აღმოსავლური აღქმა ვლინდება ნაწარმოების ზოგად იმპროვიზაციულ ბუნებაში, სოლისტის თავისუფალ-იმპროვიზირებად და მელიზმურ მელიოდაში. დროის შესახებ აღნიშნული წარმოდგენებით, იგი აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის თვისებებს ატარებს; ამას გარდა, შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოს მთის ცნობიერებისთვის დამახასიათებელ მითოლოგიურ დროზეც, ვინაიდან, გუთნისდედის სახე ქართულ ეპოსში არქაული პერიოდის ყოფითი ტრადიციის გამოძახილია; რაც შეეხება დასავლურ გაგებას, დროის დამორჩილების მისწრაფებას კომპოზიტორი ევროპული საკომპოზიციო ხერხების მიმართვაში ავლენს. იგი აღმოსავლეთ საქართველოს ფოლკლორის მახასიათებლებს ნაწარმოების ფორმაქმნადობის პროცესში ევროპული თავისუფალი იმიტაციისა და კონტრაპუნქტის ხერხებს უთავსებს. „გუთნურში“ დრო და სივრცე თავად მუსიკის ერთიანი მხატვრული პროცესია, რომელიც შრომას ასახავს. ამ ფაქტს აძლიერებს შრომის პროცესის ამსახველი დეკლამაციები, რაც ნაწარმოების ობიექტურ ქრონოტოპებს მსმენელისთვის თანადროულს ხდის.

დროით-სივრცული პარამეტრების განსხვავებული, სრულად დასავლური გაგება ვლინდება „მესტვირულში“, სადაც ერთი მხრივ, ქართული ფოლკლორის დასავლეთ დიალექტების ნიშნები, მეორე მხრივ კი ევროპული ხერხებისა და ფორმების სინთეზია წარმოდგენილი. განსხვავებით „გუთნურისაგან“, აქ სოლისტის მელიოდია რიტმულად მკაფიოდ გამოხატული და თანაზომიერია. ნაწარმოების პროლოგსა და ეპილოგში ვხვდებით საგუნდო ხმების მარტივ იმიტაციას; დროზე შემოქმედების ტრადიციული გაგება კი დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი კომპლექსური მრავალხმიანობის მიმართვაში ვლინდება: ნაწარმოების ცენტრალური საგუნდო რეფრენი თანაზომიერ მეტრულ-რიტმულ სტრუქტურასა და აკორდულ ფაქტურაშია მოცემული. „მესტვირულში“ სახეზეა ევროპული და დასავლეთ საქართველოს ტრადიციული მუსიკალური აზროვნების თავისებურებათა ორგანული სინთეზი.

საინტერესო დროით-სივრცული გადაწყვეტაა გუნდში „სამშობლო ხევსურისა“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ფოლკლორს ემყარება. ნაწარმოები, მისი ფორმისა და აღნაგობის უჩვეულობის გამო მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ადრეც მოხვედრილა (წურჭუმია, 2005: 141). გუნდის პირველ ნაწილში კომპოზიტორი

პროპორციულად ალაგებს ფრაზებს და ტაქტების ზრდადობის პრინციპით ქმნის ნაგებობას: 1+2+3+4 (მამაკაცთა + შერეული + ქალთა + შერეული). ნაწარმოების მხატვრული დრო მკაცრად ორგანიზებულია და მასზე ზემოქმედება მისი აჩქარებით ხორციელდება. შუა ნაწილში გამოყენებულია სიმღერის რესპონსორული ფორმა: კორიფე და გუნდი. ამ უმკვლესი ქართული ორხმიანობის ნიმუშს შემოაქვს დროის არქაული, მითოლოგიური გაგება; ფინალურ ნაწილში მოცემული ფუგეტა, რომელიც უცხოა ქართული ტრადიციული მუსიკისთვის, ფუგირებული ფორმის პირველ მაგალითს წარმოადგენს ქართულ პროფესიულ მუსიკაში. აქ სახეზეა ევროპული ფორმისა და ტრადიციული ინტონაციის სიმბიოზი. თემის სტრუქტული გატარება კი ე.წ. მთის დროს უფრო, მოქნილს ხდის და აჩქარების შეგრძნებას იწვევს, რაც დროის დამორჩილების დასავლური ხერხია.

ახსოლუტური ევროპული ხედვა კი სულხანიშვილმა თავის უკანასკნელ ქორალში - „ღმერთო, ღმერთო“ გამოავლინა, რომელიც ევროპულ კილო-ტონალურ სისტემაშია დაწერილი და მისი აკორდულ-ჰეტეროფონული წყობით, ფილოსოფიური აზროვნებითა და სპირიტუალური განწყობით, დროისა და სივრცის თანაბარფუნქციური, ევროპული გაგება მოგვცა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა ხმათასვლის ტრადიციული გალობისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, დიდი ემოციური კავშირი ქართულ საეკლესიო საგალობელთან. ის სპირიტუალური ატმოსფერო, რასაც ნაწარმოები ჰბადებს, სწორედ ტრადიციული გალობის განწყობის მატარებელია.

ამრიგად, ქართულ ტრადიციულ მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიებისადმი დამოკიდებულების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ ქრონოტოპების ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედვა განსხვავებულ კულტურათა დიალოგის შედეგია და წარმოგვიდგება, როგორც დროის აღმოსავლური, დასავლური და მითოლოგიური გაგების ორიგინალური სიმბიოზი. ნიკო სულხანიშვილის შემოქმედებაში დროით-სივრცულ აღქმასთან დაკავშირებული მიგნებები, უფრო ქვეცნობიერად, ფოლკლორული პირველწყაროების გავლენით იკვეთება, რაც კომპოზიტორის გენიალური ინტუიციის გამოვლენაა. ამასთან, ეროვნულ სიმღერა-გალობით ნასაზრდოები მისი მუსიკალური ცნობიერება ორგანულად ითავსებს მუსიკალური ფორმისა და ფაქტურის ჩამოყალიბებაში ტრადიციული მუსიკის დრამატურგიულ-არქიტექტონიკურ პრინციპებს და ევროპულ კომპოზიტორთა მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ განვითარების ხერხების არსენალს. ავტორისეული ინდივიდუალური ხედვა ამ გამოცდილებათა ორიგინალურ და მაღალმხატვრულ შერწყმაშია გამოვლენილი.

XX საუკუნის ქართულ პროფესიულ საგუნდო მუსიკაში დროით-სივრცული კატეგორიების გააზრება სწორედ ნიკო სულხანიშვილისაგან მომდინარე ტრადიციას, რაც მისი შემოქმედების მნიშვნელობის ახალ წახნაგებს წარმოაჩენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- თოფჩიშვილი, რ. (2007). კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი
- ქავთარაძე, მ. (2017). დროის ფაქტორი XX საუკუნის საგუნდო მუსიკაში (გ. ლიგეტის რეკვიემისა და ს. ნასიმის „ვედრებას“ შედარებით ანალიზის მაგალითზე). თბილისი.
- ციციშვილი, ნ. (2010). აღმოსავლეთ საქართველოს მრავალხმიანი სასიმღერო სტილის შედარებითი და დარგთაშორისი შესწავლა ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მონოდიური მუსიკის კონტექსტში. ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი

- წურწუშია, რ. (1998). XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მუსიკის ეროვნულ ტრადიციასთან დამოკიდებულების შესახებ. XX საუკუნის 20-50-იანი წლების ქართული მუსიკის ისტორიის ნარკვევები (291-321). თბილისი.
- წურწუშია, რ. (2005). XX საუკუნის ქართული მუსიკა. თვითმყოფადობა და ღირებულებითი ორიენტაციები. თბილისი.
- Орлов, Г. (1992). Древо Музыки. С-Петербург.

REFERENCES:

- topchishvili, r. (2007). k'avk'asiis khalkhta etnografia, etnik'uri ist'oria, etnik'uri k'ult'ura. tbilisi.
- kavtaradze, m. (2017). drois pakt'ori XX sauk'unis sagundo musik'ashi (g. liget'is rek'viemisa da s. nasidzis „vedrebas“ shedarebit analizis magalitze). tbilisi.
- tsitsishvili, n. (2010). aghmosavlet sakartvelos mravalkhmiani sasimghero st'ilis shedarebiti da dargtashorisi shests'avla akhlo aghmosavletisa da tsent'raluri aziis monodiuri musik'is k'ont'ekst'shi. t'raditsiuli mravalkhmianobis saertashoriso simp'oziumi. tbilisi.
- ts'urts'umia, r. (1998). XX sauk'unis p'irveli nakhevrის kartuli musik'is erovnul t'raditsiastan damok'idebulebis shesakheb. XX sauk'unis 20-50-iani ts'lebis kartuli musik'is ist'oriis nark'vevebi (291-321). tbilisi.
- ts'urts'umia, r. (2005). XX sauk'unis kartuli musik'a. tvitmqopadoba da ghirebulebiti orient'atsiebi. tbilisi.
- Orlov, G. (1992). Tree of Music. St. Petersburg.

**DOUBLE ORIENTATION OF THE ARMENIAN AESTHETIC
CONSCIOUSNESS
(ON THE EXAMPLE OF ARMENIAN EARLY MEDIEVAL MUSIC)**

Svetlana Arzumanyan

Institute of Philosophy, Sociology and Law of NAS RA

Associate Professor

+37493730840, s.arzumanyan@inbox.ru

Abstract. The article examines the process of formation of the aesthetic consciousness of the Armenian people during the transition from paganism to Christianity. The basis of the concept chosen as the defining one is the proposition that, having gone through a long path of cultural and historical development, the Armenian people, already in the pagan period of their existence, formed a certain “spiritual substrate”, a certain unchangeable “core”, which, having undergone a certain transformation and modification, in its main features retained stability, thereby defining the process of continuity between pagan and Christian cultures. Considering the fact that Christianity is still an absolute guiding factor for Armenian culture today, we can conclude that this unchanging “spiritual substrate” is actively functioning in our time. Having presented the “algorithm” for the formation of this substrate as a result of turning to the cultures of the West (Hellenism) and the East (the culture of Iranian-speaking peoples), it was concluded that there is a dual process that determines the process of formation of national culture. The question is that, having borrowed everything that is most valuable in these cultures, Armenian culture managed to avoid their mechanical copying, their simple imitation. On the contrary, as a result of adequate perception and assimilation of these foreign cultural values, their borrowing, Armenian culture managed not only to preserve, but also to strengthen its roots, and, in essence, to lay claim to universal recognition.

We tried to present the above said using the example of the development of the musical art of the Armenians, taking as a basis folk (peasant), folk-professional (Vipasan, Gusan) and cult (temple, church). The starting point for us was the existing consensus among musicologists that it was monodic (single-voice), even if performed by a choir, that its modes were diatonic, containing semitones, that it contained certain intonationally fixed melodic patterns, representing prototypes of the first voices, and perhaps these voices themselves (typical melodic models).

Keywords: Armenian People; Aesthetic Consciousness; West; East; Paganism; Christianity; Music; Church Music.

Introduction. One of the few peoples whose cultural values, created already during the period of paganism, were highly appreciated and recognized in the territory of neighboring countries and even the entire Great Roman Empire, was the Armenian people. It is known that already in 301 CE the Armenians were the first to adopt Christianity as a state religion. This played a crucial role in their fate, influenced the course of history and the formation of their identity. But we must also take into account the fact that even before the adoption of Christianity, Armenians were distinguished by the presence of a fairly high level of aesthetic consciousness. This is confirmed by the surviving fragments of mythology, testifying to the ancient beliefs of the Armenians, especially expressed in the cults of fire and water, as well as surviving various examples of “primitive art”, which serve as the most important means of “aesthetic organization” of their life and the environment in general. At the same time, it must be recognized that since mythological consciousness is syncretistic in nature, i.e. all its manifestations are not separated from each other and are in indissoluble unity, it is not surprising that religious ideas acquire an aesthetic connotation, and aesthetic ones are revealed in religious light. And it is a specific characteristic of the cultural values of all ancient peoples.

On the creative development of foreign cultural values

Having no real opportunity to turn to the most ancient layers of Armenian culture, going back to its primitive, tribal layers, let us consider the time period when temples dedicated to the Armenian pagan gods were erected in the cities and villages of Armenia, their statues were created, and temple music sounded. It is enough to point out such well-known cultural values as the temples of the mother goddess Anahit in Yeriz, the god of fire and war Vahagn and the goddess Astghik, known as the “chambers of Vahagn”, as well as the temple of Anahit in the city of Ashtishat, the temple of the god of light and sun Mithras in the village of Garni.

The special significance of this period is revealed in the fact that it was at this time that the process of intensive development of the aesthetic consciousness of the Armenian people took place, determined by interaction with the cultures of other peoples, among which the ancient Persians and Hellenes especially stood out. Interest in the cultures of the East and West had objective reasons, primarily due to the fact that Armenia was in a certain political and economic dependence on them and was under their protectorate. Therefore, it's not surprising that these cultures, firstly, occupying a dominant position, and secondly, having a high level of development, should have been perceived as a certain ideal, serving as a guideline for imitation, as the highest goal to which one must strive and achieve it. Naturally, this interest was accompanied by a desire to assimilate and develop everything that seemed valuable in them. Therefore, it can be argued that this was not just a passive perception of them. Consciously, and perhaps subconsciously, on an intuitive level, a truly creative development of certain artistic and aesthetic “codes” of these foreign cultures was carried out from the perspective of Armenian culture, which had already taken quite deep roots.

It is noteworthy that, passing the cultural values of these peoples through the crucible of their aesthetic consciousness, the Armenians learned to identify and appreciate the truly creative, unique principle not only in these cultures, but also in their own national culture, which contributed to the progress of the latter and the establishment of its original face. In this context, it becomes clear why, despite their dominant position and strong influence, neither the Hellenic nor the Persian cultures managed to actually subjugate the national culture, much less absorb it. For example, Hellenic culture, which had a great influence on Armenian culture for several centuries, was able to enter into a close connection with it, which over time developed into a dialectical unity, into a kind of synthesis. But nothing more. As A. Adamyan figuratively put it, “Hellenism was not the content, but only a high form in which the cultural history of the Armenian people was created and developed” (Adamyan, 1955: 15). Consequently, we can assume the presence of a two-pronged process that determines the process of formation of national culture. The point is that, on the one hand, a process was really unfolding aimed at adequate perception and assimilation of foreign highly developed cultural values. On the other hand, there was an increasing desire to develop their own national culture, to raise it to the level of highly developed cultures of that time.

About the double orientation of the aesthetic consciousness of the ancient Armenians

Based on the abovementioned, we can conclude that the aesthetic consciousness of the ancient Armenians was characterized by a dual orientation. On the one hand, it was directed into the depths of centuries and constantly returned and turned to its origins, to the very beginnings of the emerging national cultural tradition. On the other hand, aesthetic consciousness, which had already acquired national characteristics, never closed in on itself. On the contrary, it constantly strived for the perception and creative processing of everything valuable (of course, from the point of view of national consciousness) identified in more developed cultures. This means that the aesthetic consciousness of the Armenians has always been open, so to speak, to both eastern (primarily Iranian-speaking) and western (Hellenic) cultural influences. Moreover, by perceiving and creatively mastering the characteristic qualities of these cultures, the aesthetic consciousness of the Armenians was able to carry out their unique synthesis on the basis of their own national culture.

Such “readiness” and ability to creatively perceive the basic parameters of various cultures of the East and West played a huge positive role and facilitated the process of Armenians accepting Christianity as a new system of worldview and understanding of the world. Of course, there was a confrontation, a confrontation taking place between the old, pagan and new Christian forms of

worldview, which is quite natural when one worldview is replaced by another, one system of cultural values by another and, therefore, being a generally natural process, was characteristic not only of Armenia. It is well known that all of early Christianity sharply opposed itself to everything ancient and pagan in the spheres of both material and especially spiritual culture. Such a confrontation, often turning into an irreconcilable struggle, could not pass by the artistic and aesthetic sphere. The obvious denial of ancient art (especially its plastic forms and theater), the rejection of the cult of external beauty, expressed in the denial of elegant clothing, precious jewelry, and cosmetics, became some visible manifestations of this confrontation.

However, the latter was somewhat contradictory, because, while denying some ancient values, early Christianity simultaneously accepted others. The point is that many medieval aesthetic ideas grow out of pagan ones or go back to them. In particular, the famous Polish esthetician V. Tatarkiewicz noted that “Christians, while remaining in agreement with their religion and philosophy, could and did borrow a lot in aesthetics from the philosophers of Greece and Rome: From Plato they were impressed by the concept of spiritual beauty, from the Stoics - moral beauty, Plotinus has a doctrine of the beauty of light and the world. Also, the Pythagorean understanding of beauty (as proportion), the Aristotelian understanding of art, Cicero’s view of rhetoric, Horace’s view of poetry, Vitruvius’s view of architecture corresponded to their views on the world and man. “So, if a new era in the history of aesthetics begins with the emergence of Christianity, then it must be remembered that in this era there were at least as many ancient traditions as there were actually medieval views” (By’chkov, 1981: 6-7). This correctly noted feature of the medieval aesthetic consciousness of all peoples largely explains the reasons for the rise of creative thought and progress in the spheres of various types of art, which became possible already in the early medieval period.

Of course, the transition from pagan aesthetic ideas to Christian ones could not occur mechanically and painlessly. This transition also implied a significant transformation and modification of the content of all aesthetic concepts, artistic norms and principles. It is clear that such a transformation included the possibility of conflicts between the old and new understandings of them, and the possibility of their distorted, inadequate perception. However, what is more important is that it was precisely the transformation and modification of the old, and sometimes even a simple transition and borrowing. The creation of something new was not carried out from scratch, but on the basis of what already existed. A solid building of medieval, “new” art could only be erected on the solid foundation of “old,” pagan art, the classical examples of which were perceived as unsurpassed artistic values. And this means that a successive connection had to be established between the old and the new, pagan and Christian.

Thus, with all its opposition to the pagan, the Christian seemed to grow, logically follow from it and therefore, ultimately, preserved and developed many of the features contained in it. What has been said applies, of course, to a greater extent to the Eastern Christian cultural world, which includes Armenian culture, for it is well known that the early medieval West, sharply opposed to ancient culture and completely rejected it, long and painfully searched for points of contact and possible compromises between others, i.e. ancient and native art.

From paganism to Christianity: continuity as the most important factor in the aesthetic consciousness of Armenians

The painful search for points of contact between national and foreign, old and new, was alien to the aesthetic consciousness of Armenians. The ability to find these points of contact has been developed since ancient times, and the ability to creatively master the “alien” from the perspective of one’s own culture has become, as it were, an immanent quality and, perhaps, one of the most important features of the Armenian aesthetic consciousness. It is largely thanks to this ability, despite the known facts of the destruction on the territory of Armenia of a huge number of pagan artistic values - temples, sculptures, works of decorative art, musical instruments, etc., almost the entire pagan cultural heritage, the continuity of the connection between pagan and Christian cultures, providing the possibility of the transition of certain pagan cultural traditions into medieval, Christian ones, was nevertheless established.

Turning to the process of development of Armenian musical culture, as one of the most important manifestations of the original aesthetic consciousness of Armenians, through the example of which we will try to show this transition, we note that ideally the process of interest to us should be

considered throughout the entire period of the nation's existence. However, the origins of the Armenian people, and therefore the roots of their musical art, go back to ancient times, in the second millennium BC. e. It is clear that comprehensive data cannot be obtained about this distant past of the nation. Nevertheless, some famous Armenian musicologists have put forward certain general provisions regarding the origins of Armenian music, which have not been refuted up to our time. In particular, a fairly widespread opinion is that by the time they entered the historical arena as a single people with a single language and territory (second century B.C.), the Armenian tribes had gone through quite a long path of cultural and historical, and therefore musical development.

The process of consistent development of the monody of the Armenian tribes, carried out throughout this entire ancient period, from approximately the 6th century BCE), according to N. Tagmizyan, turned into the process of forming the traditions of Armenian folklore, the first stage of which was completed by the beginning of the 4th century BCE. the true flowering of Armenian music (Taghmizyan, 1977: 15). This is also confirmed by information about the art of Gokhtan singers, gusans and vipasans (storytellers), gleaned from the works of Armenian historians of the 5th century Movses Khorenatsi and Favstos Buzand.

Even in the complete absence of any written fragments of Armenian pagan music, in the musicological studies known to us, there is a unanimous opinion that it was monodic (one-voice), even if performed by a choir, that its modes were diatonic, containing semitones, that it contained certain intonationally fixed melodic models, which are prototypes of the first voices, and perhaps these voices themselves (typical melodic models).

Researchers also agree that despite the numerous influences emanating from the cultural substrates of various peoples at various stages of historical development, the Armenians were able to create an original, highly developed musical art with unique national characteristics, in which three main branches were distinguished: folk (peasant), folk-professional (Vipasan, Gusan) and cult (temple, church). The revaluation of pagan cultural traditions and pagan artistic values, carried out in the early medieval period from the standpoint of the Christian worldview and Christian humanism, didn't, as already noted, clearly lead to the rejection of everything pagan. The people continued to gravitate toward pagan culture, primarily finding spiritual satisfaction in it. Fastos Buzand wrote about this back in the 5th century, however, perceiving as the greatest sin the fact that even after the adoption of Christianity, Armenians continued to love "their mythical songs, their tales, they were brought up on them, they believed them and constantly indulged in them" (Buzand, 1953: 13). Therefore, in the fierce struggle for the spiritual perfection of mankind, for its salvation, the apologists of Christianity were forced to rely on pagan culture, and not simply turn away from it, pretending not to notice it. Essentially, Christianity never completely abandoned the pagan cultural heritage, and therefore "in the cultural development of Armenia, which had taken the path of feudalism, there was no break and no sharp separation of Christian culture from the "pagan" - Hellenistic culture" (Eremyan, 1980: 8).

There could be no "break", much less a "sharp break", in the development of musical culture, because, firstly, professional musical "practice" has always, to one degree or another, been influenced by folk music, which has a strong "pagan foundation", and secondly, it was based on the theoretical positions and attitudes of the "philosophers of music", whose musical and aesthetic views, thanks to the works of outstanding Armenian medieval thinkers, especially David the Invincible (Anakht) and David Kerakan (Grammar), went back to antiquity (Pythagoras, Plato, Aristotle).

On the nature of church music

Based on these premises, let us turn to the consideration of the professional musical art of the Armenian Middle Ages, first pointing out that the origins of Christian music itself are difficult to trace. After all, Christianity, having made a long, painful journey from East to West, encountered many fairly developed national musical cultures - Aramaic, Jewish, Cappadocian and Armenian, practically adopting some characteristic features from each of them. For example, according to researchers, "the techniques of psalmody were adopted by early Christians from ancient Jewish ritual singing, and in melismatic, widely sung melodies (for example, hallelujahs) the influence of samples of eastern music from Syria, Egypt, and Armenia is noticeable. It is also known that such performance traditions of Christian singing as antiphon (alternating two choral groups) and responsory (alternating solo and choral singing) have their prototypes in Eastern models" (Livanova, 1986: 21). Following the logic, we

must also take into account the fact that if Christianity was established as the religion of the oppressed masses, then obviously Christian art at first was the result of the activities of these same masses. And indeed, as N. Tagmizyan claims, “in the first centuries A. D. e. significant masses of Armenians, along with Greeks, Jews and other peoples, take part in laying the foundations of the singing of the Christian church outside their homeland (in Cappadocia, Northern Mesopotamia, Cilicia, Syria)” (Tagmizyan, 1977: 45).

From the above it follows that some elements of this style must also have been formed under the influence of Armenian music. Therefore, it should not have been as alien to the Armenian people as, say, Gregorian chant was to most Europeans. However, despite the fact that certain elements of Armenian monody were reflected in early medieval church music, they were clearly not enough to convey its truly national character. It couldn't be any other way. After all, Christianity was formed outside of Armenia and was not actually a national religion. The Armenian Church was initially forced to follow some generally accepted norms and forms of conducting church services established in the Christian world.

Moreover, in the absence of a national script that had reached perfection, she was forced to conduct services in the Greek and Syriac languages, incomprehensible to the majority of the people, which caused resistance from the people. The masses did not want to put up with the seemingly alien system of worldview imposed “from above”; they resisted Christianity as best they could, finding aesthetic pleasure in pagan culture. But even in the absence of liturgical literature in the Armenian language and the forced conduct of services in Greek and Syriac languages and according to Greek and Syriac procedural models, the Armenian church did not reject or prohibit the various means of musical expression introduced by the people into church singing.

In particular, it didn't hinder the people in their desire to sing prayers, relying on the musical tradition that goes back to the origins of national music and is recorded in the aesthetic consciousness. On the contrary, it sought and found in it a stimulus for the development of national church songwriting. On this occasion, N. Tagmizyan writes: “The people learned the prayers and, in particular, the psalms, which were translated orally, by heart and sang, based on their own centuries-old musical practice. This is how the folk-national trend of voicing Christian cult literary texts arose and by the middle of the 4th century was firmly rooted in Armenia” (Tagmizyan, 1977: 46).

In our opinion, it was a manifestation of the process of spontaneous penetration of elements of folk music into Christian songwriting. A researcher of one of the six musical and service collections of medieval Armenian music, Euchologia or the Mashtots Breviary, A. Arevshatyan, drew attention to the fact that in the surviving oldest examples of this collection (9th-10th centuries) there are no neumykhazys, which allowed it to make the conclusion is that in Armenia, up to the 10th century, “the method of oral transmission and existence of these chants was still widespread” (Arevshatyan, 1991: 139)

We believe that this fact indicates that, together with the adoption of the rites of Baptism, Wedding, Burial, Blessing of Water, etc., into the sphere of the legalized system of Christian rituals, the church thereby contributed to the spontaneous penetration of elements of ancient folk music into Christian songwriting. Indeed, in these rituals, which, as we know, have an ancient, pagan origin, the musical factor played an important role in the form of certain chants, melodic and rhythmic turns and was, undoubtedly, firmly “fixed» in the consciousness of the people.

The oral transmission of music accompanying the ritual action could not help but contribute to the introduction of these rhythmic intonation patterns into the ritual canons imported from Byzantium, Syria and Palestine, which was one of the important factors of their Armenianization. Apparently, it was precisely this practice of psalmody and ritual that determined the church's interest in the ancient Armenian typical melodic models formed in folk music - voices, and stimulated the process of conscious appeal to them. However, not only voices, but also folk rhythms and musical form were the focus of attention of the creators of church music. According to Kh. Kushnarev, the church borrowed from folk music modes, some rhythmic intonation forms, methods for developing melody and even form in general. Of course, this borrowing was not a dead repetition, a simple mechanical copying. In accordance with new concepts about man and the world, new ideas about the salvation of mankind, elements of musical speech and form were subject to rethinking and transformation by the church. However, such transformation and modification were carried out that did not affect the qualitative originality of Armenian folk music. For example, the research of Kh. Kushnarev confirmed that “in Armenian cult music there isn't a single voice that isn't rooted in folk or folk-professional music”

(Kushnarev, 1958: 46). This very important feature of Armenian Christian church music proves the existence of close connections between the latter and folk music. It is no coincidence that Komitas defined this connection as a family connection, as a blood connection between brothers and sisters (Komitas, 1941:139). The connection between church music and folk music was so obvious for Komitas that he sought to “recreate ancient folk songs on the basis of church chants that have reached us» (Kushnarev, 1958: 88). And this attempt, according to prominent musicologists, was not unsuccessful. Komitas really managed to implement his plan.

So, the church actively used the system of means of musical expression created by the people, and therefore close and understandable to them, formed in the pagan period and fixed in their consciousness as a kind of “invariant”. Intonations that originated in the folk environment freely passed into the sphere of sacred music.

It seems important that the church consciously turned to folk music, as an inexhaustible source of modal intonation melodic turns, and consciously mastered traditional voices. It didn't shun, as noted above, even complete folk musical forms, ready-made melodic samples. This, of course, does not mean that the differences between folk and church music were erased. A significant rhythmic and formal transformation of borrowed folk music and its various elements was carried out in order to give them new content corresponding to the already formed traditions of Christian music. An attempt was also made to dogmatize vocal forms. However, neither the rhythmic nor formal transformation of folk music, nor the practice of dogmatization of vocal forms, aimed at “protecting” church music from further folk influences, could stop the process of orienting church music towards folk music. And finally, the very creation of the eight-voice system (with two additional voices) was the result of the development of the system of four fundamental voices, known since pagan times. Moreover, having undergone theoretical treatment twice (in the 5th and 8th centuries), the system of voices continued to develop further, reaching the apogee of its development by the 14th century (about 150 models). And if we remember that all eight voices of Armenian sacred music, around which 150 typical melodic models are already grouped, appeared as a result of the enrichment and branching of the four fundamental voices known since ancient times, then it will become obvious that the origins of Armenian church songwriting are in the most ancient pagan strata folk and folk-professional music.

It is thanks to the constant focus on the traditions of folk music that Armenian sacred music acquired a truly national face, originality and uniqueness. Moreover, the national originality of Armenian church music was manifested in all spheres of expressiveness - modal, intonation and rhythmic. Presented in three ways of singing - recitation, psalmody and hymnody, Armenian spiritual songwriting in none of them was detached from national origins. Thus, it retained its characteristic national features.

Conclusion. Thus, in the sacred music of the early Christian period, which was influenced by the traditions of pagan music, the originality of the musical thinking of the Armenians was clearly reflected, who always strived to the best of their ability to adopt everything that was most progressive, corresponding to the spirit of the time, but they never followed the path of blind imitation of the strict patterns, forms and norms of musical art established and generally accepted in the Christian world. An appeal to the origins of their own national culture (including music), formed, as already emphasized, in the pagan period, has become an integral quality of the aesthetic consciousness of Armenians. After all, it was precisely in this ancient period, in the depths of pagan culture, that special “core” was formed, that unique “first principle”, which was recorded in the aesthetic consciousness of the people, and for centuries performed at least three most important functions.

We mean that “Remaining unchanged in its essence, this “first principle” as an exponent of the special spiritual qualities of the people, its “soul”, firstly, protecting the Armenian culture from its absorption by other cultural substrates, and secondly, providing a connection between the past and the present, ensured the continuity of culture and, thirdly, over the course of thousands of years allowed it to appear as a unique, purely national phenomenon” (Arzumanyan, 1998: 46).

At all times and under any circumstances (even the most unfavorable) Armenians created art based on genuine national traditions. If they had to adopt some generally recognized musical form, then they certainly put truly national content into it, developed it in accordance with the national peculiarities of Armenian musical thinking and from the standpoint of one's own understanding of specific processes

occurring in world art. Thus, with all its opposition to the pagan, the Christian seemed to grow, logically follow from it and therefore, ultimately, preserved and developed many of the features contained in it.

What has been said applies, of course, to a greater extent to the Eastern Christian cultural world, which also includes Armenian culture, for it is well known that the early medieval West, which rejected ancient culture more sharply and completely, searched for a long time and painfully for points of contact and possible compromises between the alien, i.e. e. ancient and native art. The Armenian people, who formed a special rhythm and intonation system, defined as “Armenian” already in the pagan period, managed to preserve it until the present day. In this process, it is difficult to overestimate the role of Christianity, which not only did not abandon the stable voice structures created by the people (special motives, modes), but also contributed to their further development, thereby maintaining continuity in the development of music, continuing the process of consistent cultural and historical development of the people in general. «It was these traditional modes that were adopted by the church (of course, not without certain changes and schematization)» (Arevshatyan. 2020: 13). The geniuses of the Armenian people Mesrop Mashtots, Sahak Partev, Hovhannes Mandakuni, Stepanos Syunetsi and others became the authors of the first spiritual melodies - psalms. Preserving the musical traditions formed during the pagan period, they laid the foundation for the emergence of sharakans, patarag chants, ganzas, avetis, etc., thereby testifying to the high level of development of Armenian professional sacred music.

REFERENCES:

- Adamyan, A. (1955). *Esteticheskie vozzreniya srednevekovoj Armenii*. Erevan, Armgiz (in Russian).
Адамян, А. (1955). *Эстетические воззрения средневековой Армении*. Ереван, Армгиз.
- Arevshatyan, A. (1991). “Mastoc” zhoxovatsun vorpes haj mijnadaryan erazhshtutyam mshakujti hushargan. HGA (in Armenian). Արևշատյան, Ա. (1991). «Մաշտոց» ժողովածուն և նրա խաղի միջնադարյան երաժշտության մշակույթի հուշարձան: Երևան, ՀԳԱ.
- Arevshatyan, A. (2020). *Uchenie o glasach v srednevekovoj Armenii*. Erevan, Gitutyun (in Russian).
Արևշատյան, Ա. (2020). *Учение о гласах в средневековой Армении*. Ереван, Гитутюн.
- Arzumanyan, S. (1998). “Yazycheskie” istoki armyanskoj rannesrednevekovoi muziki. Erevan, Nayan Tapan (in Russian).
Арзуманян, С. (1998) «Языческие» истоки армянской раннесредневековой духовной музыки. Ереван, Наян тапан, с. 37-47.
- Buchkov, V. V. (1981). *Estetika pozdnej antichnosti*. M., Nauka (in Russian).
Бычков, В. В. (1981). *Эстетика поздней античности*. М., Наука.
- Buzand, F. (1953). *Istoriya Armenii*. Erevan, AN Arm. SSR (in Russian).
Бузанд, Ф. (1953). *История Армении*. Ереван, АН Арм. ССР.
- Eremyan, S. T. (1980). *Harakteristika e'pohi. Kultura rannefeodalnoj Armenii: IV-VII vv.* Erevan, (in Russian).
Еремян, С. Т. (1980). *Характеристика эпохи. Культура раннефеодальной Армении: IV-VII вв.* Ереван, АН Арм. ССР.
- Komitas, (1941). *Hodvacner ev usumnasirutyunner*. Erevan (in Armenian).
Չոմիդիսյան, (1941). *Հոմվածներ և ուսումնասիրություններ*, Երևան, Հայպետհրատ.
- Kushnarev, H. S. (1958). *Voprosi teorii I istorii armyanskoj monodicheskoy muziki*. L., Musgiz (in Russian).
Кушнарєв, Х. С. (1958). *Вопросы теории и истории армянской монодической музыки*. Л., Музгиз.
- Livanova, T. (1986). *Istoria zapadnoevropeyskoj muziki do 1789*. M., Musika (in Russian).
Ливанова, Т. (1986). *История западноевропейской музыки до 1789*. М., Музыка.
- Takmizyan, N. G. (1977). *Teoriya muzyki v drevney Armenii*. Erevan, AN Arm. SSR (in Russian).
Тагмизян, Н. Г. (1977). *Теория музыки в древней Армении*. Ереван, АН Арм. ССР.

ხელოვნებათმცოდნეობა ART HISTORY

Proportions of the “Dynamic Square” in Temples of early medieval Georgia

„დინამიკური კვადრატის“ პროპორციები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ტაძრებში

Akaki Skhvitardze

Georgian Technical University

PhD Student

+995 555233246, akaki.skhvitaridze@gmail.com

Abstract. The brevity, modesty and monumentality characteristic of Georgian historical architecture are especially clear in early medieval monuments. If there were not used certain proportional systems, these buildings would even be defective. As a result of the research, it can be assumed that the dynamic rectangles, derived from the square, should be used while planning these temples. The ratio of length to width of certain parts, in most cases, are very close to the proportion of certain dynamic rectangle. There are small errors, However, in the case of several monuments, the systematicity of the errors, observed during the detailed measurement, makes us think that this might be a deliberate action of the architect. During the research, certain proportional features were revealed, which suggests that in some cases it is possible to deal with the proportions obtained from so-called "dynamic square" instead of a pure square. “Dynamic squares” were obtained by extending the pure square with its diagonals of a half, third, or quarter. **This research PHDF-23-051 has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).**

Keywords: Proportion; Dynamic; Medieval; Ratio, Rectangle; Basilica.

აკაკი სხვიტარიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დოქტორანტი

+995 555233246, akaki.skhvitaridze@gmail.com

აბსტრაქტი. ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრებისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობა, სისადავე და მონუმენტურობა განსაკუთრებით მკაფიოა ადრექრისტიანულ ძეგლებში. რომ არა გარკვეული პროპორციული სისტემები, ეს შენობები გაუმართავი კი იქნებოდა. კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ტაძრებში მათი გეგმის დასახვისას კვადრატიდან მიღებული დინამიკური სწორკუთხედები უნდა იყოს გამოყენებული, რამდენადაც გარკვეული მოცულობების სიგრძის სიგანესთან შეფარდება უმეტეს შემთხვევაში ძალიან ახლოს მოდის რომელიმე დინამიკური სწორკუთხედის პროპორციასთან. რასაკვირველია, ვხვდებით მცირედ ცდომილებებსაც. თუმცა არა ერთი ძეგლის შემთხვევაში, დეტალური აზომვისას დაფიქსირებული ცდომილებათა სისტემურობა გვაფიქრებინებს, რომ ეს, შესაძლოა,

არქიტექტორის მიზანმიმართული ქმედება იყო. კვლევისას გამოვლინდა გარკვეული პროპორციული თავისებურებები, რაც აჩენს ვარაუდს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საქმე გვექონდეს სუფთა კვადრატის ნაცვლად ე.წ. „დინამიკური კვადრატისგან“ მიღებულ პროპორციებთან. „დინამიკური კვადრატები“ კი მიიღებოდა სუფთა კვადრატის ნახევრის, მესამედის ან მეოთხედის დიაგონალებით დაგრძელების გზით. კვლევა PHDF-23-051 განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

საკვანძო სიტყვები: პროპორცია; დინამიკა; შუა საუკუნეები; შეფარდება; მართკუთხედი; ბაზილიკა.

შესავალი. არქიტექტურის ისტორიაში პროპორციების შესახებ ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაშრომი „Proportional systems in the history of Architecture – A critical reconsideration“ (მთავარი რედაქტორი მეთიუ ა.კოენი), რომელიც მრავალი თანამედროვე მკვლევრის ნაშრომს აერთიანებს, გვთავაზობს 10 პრინციპს არქიტექტურის ისტორიაში პროპორციული სისტემების შესასწავლად. მათ შორის მესამე პრინციპი გვეუბნება - პროპორციული სისტემები არასდროსაა შესრულებული ისე, როგორც პირვანდელ ჩანაფიქრში იყო (Proportional Systems in the History of Architecture..., 2018: 527). იგულისხმება ის ცდომილებები, რომლებიც მშენებლობის პროცესში გარკვეულ მიზეზთა გამო იქნა დაშვებული. ასევე საბოლოო დასკვნაში ავტორი პროპორციული სისტემების საკრალური მნიშვნელობით გამოყენებაზეც საუბრობს, რა გზითაც არქიტექტორი შენობას მეტად ღრმა შინაარსის მქონე ხელოვნების ნიმუშად აქცევდა (Proportional Systems in the History of Architecture..., 2018: 544).

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების პროპორციული ანალიზის გარშემო არსებული ცალკეული ნაშრომები ძეგლებში ე.წ. დინამიკური სწორკუთხედების გამოყენების პრაქტიკაზე მიგვანიშნებს (Афанасьев, 1977; Афанасьев, 1983; ყიფიანი, ამაშუკელი, 2009: 120; ყიფიანი, 2017: 214-225), როგორც ადრეულ ასევე განვითარებულ შუა საუკუნეებში. ჩვენი სადისერტაციო თემა „ჯვრულბურჯიანი ბაზილიკები, სტრუქტურა და პროპორციები“ ადრეული შუა საუკუნეების ქართული ბაზილიკების პროპორციულ კვლევაზეა ორიენტირებული, რომლის შედეგადაც ასევე იკვეთება დინამიკური სწორკუთხედების გამოყენების პრაქტიკა დასახელებული პერიოდის ქართულ ძეგლებში. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ძეგლების აზომვისას და პროპორციული ანალიზისას თავს იჩენს გარკვეული „ცდომილებები“, რომელთაგან არა ერთი ცალსახად სტრუქტურის დეფორმაციის მიზეზითაა გამოწვეული, მაგრამ არის გარკვეული უზუსტობები, რომელთა მექანიკურ ცდომილებად ჩათვლა ძნელდება.

ბოლნისის სიონის ინტერიერის გეგმარების პროპორციული ანალიზის შედეგად გაგვიჩნდა მყარი ვარაუდი, რომ საქმე უნდა გვექონდეს არა უზუსტობასთან, არამედ არქიტექტორის მიზანმიმართულ ქმედებასთან (მიმიგური, სხვიტარიძე, 2024: 74-84). კვლევის პროცესში მოწყობილი ექსპედიციების ფარგლებში, ბოლნისის სიონის, მის სიახლოვეში მდებარე ძეგლებისა (აკაურთა, ქვემო ბოლნისი, ვანათი) და ურბნისის სიონის აზომვის შედეგად, საშუალება მოგვეცა ჩვენი მოსაზრება შეგვემოწმებინა და გავველრმავებინა კვლევა.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება ისტორიული ძეგლის პროპორციული ანალიზის მეთოდს. პროპორციული ანალიზისას ვეყრდნობით მ. კაჭარავას მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას (კაჭარავა, 2014) და მ.ა. კოენის მიერ შემოთავაზებულ 10 პრინციპს (Proportional Systems in the History of Architecture... 2018: 525-550). დასახელებული ლიტერატურის მიხედვით, ძეგლის პროპორციული ანალიზისას მნიშვნელოვანია ძეგლის

ზუსტი ზომების ცოდნა ან ზუსტი ანაზომების/ნახაზების არსებობა; შეძლებისდაგვარად გამოვლენილი უნდა იყოს იმ პერიოდის და/ან ძველის მეტროლოგიაში გამოყენებული საზომი ერთეული/ერთეულები;

ექსპედიციების ფარგლებში აზომილი ძველების (ბოლნისის სიონი, ურბნისის სიონი, აკურთა, ვანათი, ქვემო ბოლნისი) დასახელებული ზომები შესაბამისია იმ მონაცემისა, რომელიც კონკრეტულ ძველზე ყველაზე ხშირად დაფიქსირდა და დაემთხვა იმავე მანძილების ყველა მონაცემთა საშუალო არითმეტიკულს მაქსიმალური ცდომილებით - 1 სმ. ნაშრომში განხილული სხვა ძველების (ძველი შუამთის, ვაზისუბნის, ზემო ალვანისა და ყუმის ბაზილიკები) პროპორციული ანალიზი კი ეფუძნება არსებულ ლიტერატურაში (ჩუბინაშვილი, 1959; Афанасьев, 1983) მოცემულ გეგმებს.


მსჯელობა და შედეგები. ბოლნისის სიონის სამნავიანი ნაწილის გეგმარების პროპორციული ანალიზის შედეგებს და თავისებურებას შეძლებისდაგვარად მოკლედ მოვიყვანთ:

ტაძრის ინტერიერის სიგრძის (აფსიდის გარეშე) სიგანესთან შეფარდება 2158 სმ : 1332 სმ \approx 1.62 ექვევა ოქროს კვეთის პროპორციის არქიტექტურულ ნაწარმოებებში გამოყენების პრაქტიკულ ზღვრებში (Ghyka, 1977; Hambidge, 1967). ე.ი. მთავარი დარბაზის შიდა პერიმეტრი ექვემდებარება ოქროს კვეთის პროპორციას, კედლების მიერ „შემოკავების“ გზით. გვერდითი და შუა ნავეების და ბურჯთა აღმოსავლეთი და დასავლეთი შვერილების სიგანეები მეტყველებენ ტაძარში საზომ ერთეულად **1 რომაული ფუტის** გამოყენებაზე (29,6 სმ). ინტერიერის სრული სიგანე 1332 სმ ($1332 : 29,6 = 45$); გვერდითი ნავეების სიგანე 296 სმ ($296 : 29,6 = 10$); შუა ნავის სიგანე 592 სმ ($592 : 29,6 = 20$); ბურჯთა აღმოსავლეთი და დასავლეთი შვერილების სიგანე 74 სმ ($74 : 29,6 = 2,5$).

1) ბურჯთა აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების ღერძები განთავსებულია ინტერიერის სიგანის მეოთხედებზე, მათგან ახლო გრძივ კედლამდე მანძილი ისე შეეფარდება გვერდითი ნავის სიგანეს, როგორც ერთის მერვედი ნაწილი მეცხრედს $1/8 : 1/9 = 9:8 = 1.125$; $333 : 296 = 1.125$;

2) ბურჯთა ჩრდილო-სამხრეთის ღერძები არ არის მიღებული სიგრძის 6 ტოლ ნაწილად დაყოფის გზით (რამდენადაც მათ შორის მანძილი **370** სმ-ია, ხოლო სიგრძის 6 ტოლ ნაწილად დაყოფით ეს მონაცემი ვერ მიიღება ($2155 \text{ სმ} : 6 = 359.16\dots$ ან თუნდაც $2171 : 6 = 361.83\dots$))

3) ბურჯთა ჩრდილოეთი და სამხრეთი შვერილები 65 სმ-ია (74 სმ-ის ნაცვლად) ხოლო გვერდითი ნავის უჯრედთა ზომებია **296 სმ x 305 სმ**, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი 9 სანტიმეტრით დაგრძელდა ბურჯთა ხსენებული შვერილების 9 სანტიმეტრით დავიწროვების ხარჯზე ($74-9=65$).



ილ. 1. ბოლნისის სიონის ბურჯთა განლაგების აგების თანმიმდევრობა.

ეს მონაცემები მეტყველებს, რომ ინტერიერის მასებისა (ბურჯები) და სივრცეების პროპორციონირებისას ოქროს კვეთის სწორკუთხედში (ილ. 1) მოაზრებული ორივე კვადრატში 64 და 81 ტოლ კვადრატის სქემა განთავსდა (ილ. 1). მიღებული სქემიდან კონკრეტული ზოლების და ერთეულების ამორჩევით დაისახა ბურჯთა განლაგების ადგილები (ილ. 1). ბურჯთა ჩრდილოეთ და სამხრეთ შვერილების დავიწროვების მიზანი კი ბურჯების შვერილების მიერ შუა ნაწილში შემოკავებული სწორკუთხედების დიაგონალის ბურჯების მასისადმი ზუსტ გეომეტრიულ თანაზომიერებაში მოყვანა უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შუა ნაწილში ბურჯთა შვერილების მიერ შემოკავებული თითოეული სწორკუთხედის დიაგონალი უდრის ბურჯთა ღერძებს შორის მანძილს.

რადგანაც ასეთი პროპორციის მიღება ($305:296 \approx 1.03$) 296 სმ-იანი გვერდის მქონე კვადრატისგან შესაძლებელია მისი **მეთხედის დიაგონალით დაგრძელების გზით** ($\sqrt{296^2+74^2} = 305,10$ სმ) ვივარაუდეთ, რომ აქ სწორედ ამ პროპორციულ მეთოდთან და თანმიმდევრობასთან გვექონდა საქმე (მიძიგური, სხვიტარიძე, 2024: 74-84).

ინდუსტრიული ვასტუ პურუშა მანდალა 64 (მანდუკა) და 81 (პარამაშაიკა) ტოლკვადრატის სქემებს მოიაზრებს. ბოლნისის სიონში საწყისი კვადრატის გვერდად 45 რომაული ფუტის დაფიქსირებამ შესაძლებელია გვაფიქრებინოს, რომ არქიტექტორმა მეტროლოგია დაუქვემდებარა მანდალასთან დაკავშირებულ საკრალურ რიცხვს, რამდენადაც მანდალაში 45 ღმერთის განთავსება აუცილებელი პირობაა (Тюлина, 2010). თუმცა, ბოლნისის სიონი პირველი არაა, სადაც მსგავსი სქემის მარგანიზებელ სისტემად გამოყენებაზეა მოსაზრება გამოთქმული. გურამ ყიფიანის მიხედვით, ნეკრესის „დიდი კვადრატის“ გეგმარება „მანდუკა“ და „პარამაშაიკა“ სქემების ერთდროული დასახვითაა მიღებული (ყიფიანი, 2009: 219, 245).

არქეოლოგის აზრით, კომპლექსი მანიქველთა მონასტერი უნდა ყოფილიყო. რთულია არ დავეთანხმოთ მის მიერ მოყვანილ არგუმენტებს და გეგმარების შედარებით ანალიზს ბუდისტურ მონასტრებთან. „დიდ კვადრატში“ მანდალა ინარჩუნებს ბრაკმანულ საფუძვლებს, ის „ენერგეტიკული ცენტრების“ მორგანიზებულია. უმაღლესი სქემების „მანდუკას“ (8x8) და „პარამაშიკას“ (9x9) ერთდროულად გამოყენებას გ. ყიფიანი ქაოსის მოწესრიგების იდეას უკავშირებს (ყიფიანი, 2009), ეს კი ყურადსაღებია, რადგანაც ირკვევა, რომ კვადრატის მეოთხედის, მესამედის და ნახევრის დიაგონალით დაგრძელება ხსენებული ორი სქემის ერთდროულად გამოყენების პრაქტიკიდან უნდა მომდინარეობდეს.

არის მოსაზრებები, რომ ანტიკურ ხანაში კვადრატის დიაგონალებით განვითარების შედეგად მიღებული სწორკუთხედების პროპორციებს იყენებდნენ (Ghyka, 1977; Hambidge, 1967). კვადრატი გეომეტრიული მანიპულაციების შედეგად წარმოშობს დინამიკურ სწორკუთხედებს. ნებისმიერი ზომის კვადრატი დიაგონალებით განვითარების გზით ერთსა და იმავე პროპორციის სწორკუთხედს წარმოშობს. თუ ზომით განსხვავებული კვადრატებისგან წარმოიშვება სწორკუთხედები ისინი ერთმანეთთან რაიმე ზუსტ თანაზომიერებაში რა თქმა უნდა არ მოდიან. სხვადასხვა ზომის კვადრატებიდან მიღებული პროპორციების ერთდროული პრაქტიკული გამოყენება დაკავშირებულია იმასთან თუ საწყისი კვადრატები რა თანაფარდობაში არიან ერთმანეთთან, რამდენადაც საწყის თანაფარდობაზეა დამოკიდებული მათი ერთმანეთთან ზუსტ თანაზომიერებაში მოსვლა დიაგონალებით განვითარების შემდეგ.

მაგალითად: კვადრატის დიაგონალით განვითარების შედეგად მიღებული მესამე სწორკუთხედი $\sqrt{4}$ მოკლებულია დინამიკურობას, რამდენადაც უბრალოდ ორ კვადრატს წარმოადგენს. ე.ი. კვადრატის 4 კვადრატად დაყოფის შემთხვევაში $\frac{1}{4}$ კვადრატის დიაგონალით განვითარების გზით მესამე საფეხურზე მიღებული $\sqrt{4}$ სწორკუთხედის გრძელი გვერდი დიდი კვადრატის გვერდთან მოდის ზუსტ მათემატიკურ თანაზომიერებაში და მისი გრძელი გვერდიდან დიდი კვადრატის აღდგენა შეიძლება. კვადრატის დაყოფით 2×2 და 3×3 ნაწილად ე.ი. 4 და 9 ტოლ კვადრატად, მეოთხედი და მეცხრედი კვადრატები ერთმანეთისაგან ზომით განსხვავდება, და თითოეულისგან მიღებული პროპორციები ერთმანეთთან თანაზომიერებაში არ მოდის. თუმცა არსებობს მათი თანაზომიერებაში მოყვანის გზაც.


საილუსტრაციოდ ავიღებთ გარკვეული 72 გვერდის მქონე კვადრატს (რამდენადაც 72 რვისა და ცხრის ჯერადს წარმოადგენს). თუ ის დაიყოფა 4 და 9 ტოლ კვადრატად, არსებობს გეომეტრიული გზა, იმისათვის რომ $\frac{1}{9}$ კვადრატიდან მივიღოთ $\frac{1}{4}$ კვადრატის ტოლი გვერდი - $\frac{1}{9}$ კვადრატის ნახევრის დიაგონალით დაგრძელების გზით მიღებული სწორკუთხედის დიაგონალი ზუსტად შეესაბამება $\frac{1}{4}$ კვადრატის გვერდს ($\frac{72}{2} = 36$; $\frac{72}{3} = 24$; $\frac{24}{4} = 6$; $\sqrt{24^2 + 12^2} = \sqrt{720}$; $\sqrt{(720 + 24^2)} = \sqrt{1296} = 36$). (ილ. 2. ა.).

კვადრატის დაყოფით 4×4 და 3×3 ნაწილად ე.ი. 16 და 9 ტოლ კვადრატად. იმისათვის, რომ $\frac{1}{16}$ კვადრატიდან მივიღოთ $\frac{1}{9}$ გვერდის მქონე სწორკუთხედი, საწყისი $\frac{1}{16}$ კვადრატი უნდა გაიზარდოს მისი მესამედის დიაგონალით. მიღებული სწორკუთხედი უნდა განვითარდეს დიაგონალით და მიღებული სწორკუთხედი ასევე დიაგონალით. ასეთი სწორკუთხედის გრძელი გვერდის ნახევარზე აღებული დიაგონალი $\frac{1}{9}$ კვადრატის გვერდის ტოლია ($\frac{72}{4} = 18$; $\frac{72}{3} = 24$; $\frac{18}{3} = 6$; $\sqrt{18^2 + 6^2} = \sqrt{360}$; $\sqrt{18^2 + 360} = \sqrt{684}$; $\sqrt{18^2 + 684} = \sqrt{1008}$; $\sqrt{18^2 + 1008/4} = \sqrt{324 + 252} = \sqrt{576} = 24$). (ილ. 2. ბ, ბ¹). $\frac{1}{16}$ კვადრატსა და $\frac{1}{9}$ -ს შორის ისეთივე თანაზომიერებაა, როგორც ვასტუ პურუში მანდალას „მანდუკა“ და „პარამაშიკა“ სქემაში ბრაკმან სამკვიდროებს შორის („მანდუკაში“ 64-დან ისაა ცენტრალური 4×4 კვადრატი, „პარამაშიკაში“ კი 81 დან ცენტრალური 3×3). ე.ი. ამ გზით

„ბრაჰმას“ სამკვიდროს მცირე ვერსიის სრულ ვერსიასთან თანაზომიერებაში მოყვანა ხდება.

კვადრატის დაყოფით 4x4 და 9x9 ნაწილად (ე.ი. 16 და 81 ტოლ კვადრატად), იმისათვის რომ მიღებული იქნეს 1/81 კვადრატადან 1/16 კვადრატის თანაზომიერების გვერდის მქონე სწორკუთხედი 1/81 კვადრატი მისი მეოთხედის დიაგონალით უნდა დაგრძელდეს. შემდგომ კი ასეთი სწორკუთხედის დიაგონალით განვითარდეს $\sqrt{5}$ მიღების გზით, ე.ი. 4 ჯერ. მიიღება და ფესვი 5 ით მიღებული სწორკუთხედის გრძელი გვერდი იქნება 1/16 კვადრატის გვერდის მქონე. (ილ. 2. გ, გ¹.) $72/4 = 18$; $72/9 = 8$; $8/4=2$; $\sqrt{8^2+2^2}=\sqrt{68}$; $\sqrt{8^2+68}=\sqrt{132}$; $\sqrt{8^2+132}=\sqrt{196}$; $\sqrt{8^2+196}=\sqrt{260}$; $\sqrt{8^2+260}=\sqrt{264} = 18$;

ხოლო იმისათვის, რომ 4x4 და 9x9 ნაწილად (ე.ი. 16 და 81 ტოლ კვადრატად) დაყოფილი კვადრატის 1/81 კვადრატი თანაზომიერებაში მოვიდეს 1/64 კვადრატთან, 1/81 კვადრატი მეოთხედის დიაგონალით უნდა დაგრძელდეს და მიღებული სწორკუთხედის გრძელი გვერდის ნახევარზე აღებული დიაგონალი იქნება 1/64 კვადრატის გვერდი. $72/8 = 9$; $72/9 = 8$; $8/4=2$; $\sqrt{8^2+2^2}=\sqrt{68}$; $\sqrt{8^2+68/4}=\sqrt{64+17}=\sqrt{81} = 9$. (ილ. 2. დ.).



ილ. 2. კვადრატი დაყოფილი კენტ და ლუწ რაოდენობა მცირე კვადრატებად და მათი ერთმანეთთან გეომეტრიულ თანაზომიერებაში მოყვანის გზები „დინამიკური კვადრატებით“.

ე.ი. როდესაც საქმე გვაქვს კვადრატის 4 და 9, 16 და 9, 16 და 81, 64 და 81 ტოლ კვადრატებად დაყოფასთან (ე.ი. კენტ და ლუწ ნაწილებად), მცირე კვადრატის მეოთხედის, მესამედის და ნახევრის დიაგონალებით დაგრძელება კენტი ნაწილის ლუწთან თანაზომიერებაში გადაყვანის პირველი საფეხურია. მათ პირობითად „დინამიკურ კვადრატებს“ ვუწოდებთ.

განხილული გეომეტრიული კავშირები ცხადს ხდის, რომ ბოლნისის სიონში ნამდვილად მეოთხედის დიაგონალებით დაგრძელებული კვადრატები უნდა იყოს გამოყენებული. ამიტომაც მოდის მისი გეგმაზე დასახული სივრცეები და ბურჯები ერთმანეთთან თანაზომიერებაში - ის პირდაპირ გამომდინარეობს იმ სქემიდან, რომელსაც

ტაძრის ინტერიერის გაბარიტები ეფუძნება. ბოლნისის სიონის შემთხვევაში პროპორციონირების ამ მეთოდის გამოყენება ერთჯერადად ვერ მოხდებოდა. ნეკრესის „დიდ კვადრატში“ მისი მონაწილეობა ბოლნისამდე საუკუნეზე მეტხინან პერიოდს შემოსაზღვრავს. ჩნდება მოსაზრება, რომ დინამიკური კვადრატიდან მიღებული პროპორციები სწორედ ვასტუ პურუმა მანდალას მანდუკა და პარამაშაიკა სქემის ერთდროული გამოყენების პრაქტიკიდან უნდა მომდინარეობდეს. შესაბამისად თუ ორივე სქემის ერთდროულად გამოყენება ქაოსის მოწესრიგების იდეას ეფუძნება, მაშინ საკუთრივ მეოთხედის და მესამედის დიაგონალებით დაგრძელებული კვადრატი **მომაწესრიგებელი ფუნქციის** მქონეა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მას ქრისტიანობის მიღებამდე გავრცელებულ გარკვეულ რელიგიურ კულტში შესაძლოა წმინდად საკრალური საფუძვლებიც ჰქონოდა. ამით შეიძლება აიხსნას არმაზციხის ექვსაფსიდიანი ტაძრისა და კვარცხლბეკის სიგრძისა და სიგანის ოდნავი ცდომილება (ყიფიანი, 2011). კვარცხლბეკის სიგრძისა და სიგანის შეფარდება $72:70 \approx 1,03$; ტაძრის სიგრძისა და სიგანის შეფარდება $1800:1750 \approx 1,03$.

ბოლნისის სიონში მანდალას საკრალურ საფუძვლებთან მეტროლოგიის თანხვედრის მიზანმიმართულობაზე ვარაუდი ზემოთ გამოვთქვით. თუმცა შესაბამისი კვლევების გარეშე მსჯელობის ჩაშლა რთულია. მაგრამ, რადგანაც ბოლნისის სიონი ცალსახად ქრისტიანული ტაძარია და იქ დინამიკური კვადრატის გამოყენება ფიქსირდება, რომელსაც წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქვს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ ეს მეთოდი არ დაკარგულა. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ადრეული შუა საუკუნეების სხვა ქრისტიანულ ძეგლებშიც დასაშვებია ასეთი პროპორციების არსებობა.


ბოლნისის სიონის სიახლოვეს მდებარე **ვანათის** (ბერიძე, 1974: 93-94) სამეკლესიან ბაზილიკაში (V-VI სს.) მთავარი ეკლესიის ნაოსის სიგრძე (829 სმ) ისე შეეფარდება სიგანეს (427 სმ) როგორც: $829 : 427 \approx 1.94...$ აქაც ბოლნისის სიონის ბურჯთა შვერილების მიერ შუა ნაწილში შემოკავებული სწორკუთხედების მსგავსი პროპორცია გვაქვს $592 : 305 \approx 1.94...$ ე.ი. შეწყვილებული, კვადრატის მეოთხედის დიაგონალით მიღებული, დინამიკური კვადრატი. მთლიანი ტაძრის გარე აბრისი, შვერილი აფსიდის აღმოსავლეთი კედლის ჩათვლით, კვადრატს მიახლოვებულ სწორკუთხედში არის ჩაწერილი, რომელიც პროპორციულად კვადრატის მესამედის დიაგონალით დაგრძელებული სწორკუთხედის იდენტურია. სხვა მხრივ ტაძრის პროპორციული დეტალური შესწავლა რთულდება, რამდენადაც ნანგრევები ნახევრად მიწითაა დაფარული (ილ. 3. ბ.).

ქვემო ბოლნისის (ბერიძე, 1974: 93-94) სამეკლესიანი ბაზილიკის (V-VI სს.) მთავარი ეკლესიის ნაოსის სიგრძისა და სიგანის შეფარდებაა - $918 \text{ სმ} : 406 \text{ სმ} \approx 2.26...$ ეს შეფარდება ახლოსაა $2,236 - \sqrt{5}$ სწორკუთხედის პროპორციასთან. ნაოსის სიგანიდან მიღებული სიგრძე $\sqrt{5}$ პროპორციის შემთხვევაში 907 სმ უნდა ყოფილიყო რაც არსებულ მონაცემთან 11 სანტიმეტრითაა განსხვავებული ($918-907=11$). ყველაფერი „ლაგდება“ თუ ნაოსის სიგანის გვერდის მქონე კვადრატს დავაგრძელებთ მისი მესამედის დიაგონალით და შემდგომ ასეთი კვადრატიდან $\sqrt{5}$ ის პროპორციის მიღების გზით ავაგებთ სწორკუთხედს. თუმცა აქ 406 სმ სიგანეც მიღებული უნდა იყოს მანამდე არსებული სქემიდან კვადრატის მესამედის დიაგონალის დაგრძელების გზით. ტაძრის სიგანე ≈ 1150 სმ-ია. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში საწყისი 39 რომაული ფუტის (1155,5 სმ) დიდი კვადრატი დაყოფილია 3 და 4 ტოლ ნაწილად ერთდროულად. ასეა განსაზღვრული შუა ეკლესიის ნაოსის სიგანის და გვერდითი ეკლესიების მთლიანი სიგანის (კედლებთან ერთად) ძირითადი გაბარიტული ზომები და შემდგომ შუა ნავი ოდნავ გაგანიერებულია არსებული სიგანის გვერდის მქონე კვადრატის აგების და მისი მესამედის დიაგონალით დაგრძელების გზით, ამ შემთხვევაში სამხრეთისკენ. ამან კი გამოიწვია შვერილი აფსიდის ოდნავ სამხრეთისკენ დაძვრა. ეს გამოჩნდა მისი აღმოსავლეთი ფასადის აზომვისას - ჩრდილოეთი კუთხიდან აფსიდის

კედელთან შეერთებამდე მანძილი დაახლოებით 20 სანტიმეტრით აღემატება იგივე მანძილს სამხრეთი კუთხიდან (ილ. 3. ა.).

ასეთივე სურათს ვხედავთ აკაურთას სიონის (ბერიძე, 1974: 97) ნაოსშიც (V-VI სს-ების მიჯნა). ტაძარი დღეს დარბაზულ ეკლესიად ფუნქციონირებს, თუმცა არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა, რომ ტაძარი სამნავიანი ბაზილიკა იყო. სამ ნავად მას ანაწევრებდა მრგვალ სვეტთა ორი წყვილი, ეს კი გამონაკლისს წარმოადგენს, რამდენადაც სვეტებით დანაწევრებული ბაზილიკები თითოეულ ჩამოსათვლელად გვაქვს. ბაზილიკის შვერილი აფსიდი არც ამ შემთხვევაში დგას კომპოზიციის ცენტრში, არამედ ის დაახლოებით 40 სმ-ით „დაძრულია“ სამხრეთით. ამის მიზეზი უნდა იყოს ჩრდილოეთ ნავის მეტი სიგანის საჭიროება ლიტურგიული პრაქტიკიდან გამომდინარე, რაც ასეთივე პროპორციულ მეთოდს უნდა ეფუძნებოდეს. ვფიქრობთ, აქაც საზომ ერთეულად გამოყენებულია რომაული ფუტი. 24.5 რომაული ფუტი 725,2 სმ-ია. ამ კვადრატს თუ დავაგრძელებთ მესამედის დიაგონალით მივიღებთ სიგანეს 764,43 (აზომვისას დადასტურებული სიგანე 765 სმ-ია) და მისი დავაგრძელებით აღმოსავლეთისკენ მიღებული სწორკუთხედის დიაგონალით დავაგრძელებთ შემთხვევაში სიგრძეს 1053,69 (დადასტურებული სიგრძე 1054 სმ).

აფსიდის „დაძვრა“ სამხრეთისკენ, ვფიქრობთ, სწორედ გემის დასახვის ასეთ გზას უნდა გამოეწვია. აფსიდის ცენტრი საწყისი კვადრატის ცენტრს ემთხვევა, საწყისი კვადრატი კი ჩრდილოეთითაა დავაგრძელებული. ტაძრის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სისქე 4 რომაული ფუტს უტოლდება. $764,43 + 29.6 \times 8 = 764,43 + 236,8 = 1001,23$ სმ, რაც ტაძრის დადასტურებული სიგანისგან (1000 სმ) 1,23 სმ-ით განსხვავდება (ილ. 3. გ.).



ილ. 3. „დინამიკური კვადრატიდან“ მიღებული პროპორციები ვანათის, ქვემო ბოლნისისა და აკაურთას სიონის ინტერიერებში.

ურბნისის (V-VI) ჯვრულ ბურჯიან ბაზილიკაში (ზაქარაია, 1965) ბურჯთა შვერილების მიერ მთავარ ნავში შემოკავებული სწორკუთხედების სიგრძე და სიგანე შეეფარდებიან ერთმანეთს როგორც: $621 : 446 \approx 1.39...$ ეს კი $\sqrt{2}$ ის პროპორციისგან (≈ 1.41) 0.02 ერთეულით განსხვავდება.

შეიძლება თუ არა აქაც სტატიკურის ნაცვლად დინამიკური კვადრატის მიღებულ პროპორციასთან გვეკონდეს საქმე?

ჩვენი მოსაზრებით, ადრეული შუა საუკუნეების შვერილების მქონე ბურჯებიან (ჯვრული, T-სებრი) მთელ რიგ ბაზილიკებში შუა ნავის უჯრედთა პროპორციულ გადაწყვეტაში შეწყვილებული კვადრატი უნდა მონაწილეობდეს (ისევე როგორც ბოლნისში).

შეწყვილებული კვადრატებიდან მიღებულ პროპორციას ვხვდებით **ძველი შუამთის** ბაზილიკაში (V ს). კ. აფანასიევის მიხედვით (Афанасьев, 1983) შუა ნავში T-სებრ ბურჯთა შვერილების მიერ შემოკავებული სწორკუთხედები შეწყვილებული ოქროს კვეთის პროპორციას ექვემდებარება (ილ. 4.ა.). ასეთივე პროპორცია ჩანს **ვაზისუბნის** (ჩუბინაშვილი, 1959) ბაზილიკის (VI ს) შუა ნავში შემოკავებულ სწორკუთხედებშიც არსებული გეგმის მიხედვით (ჩუბინაშვილი 1959: 81). შეწყვილებული ოქროს კვეთის პროპორციის მიღება შეწყვილებული კვადრატის თითოეულის ოქროს კვეთის სწორკუთხედში გადაყვანის გზითაა შესაძლებელი (ილ. 4.ბ.).

მოსაზრებას ამყარებს კახეთში მდებარე ორი ადრეული შუა საუკუნეების ბაზილიკის ასევე შუა ნავის ბურჯთა შვერილების მიერ შემოკავებულ სწორკუთხედთა პროპორციები. არსებული გეგმების მიხედვით, **ზემო ალვანში** (ჩუბინაშვილი 1959: 95) ნახევრის დიაგონალით დაგრძელებული შეწყვილებული დინამიკური კვადრატი გვაქვს (ილ. 4.გ.), ხოლო **ყუმში** (ჩუბინაშვილი 1959: 130) ასეთივე დინამიკური კვადრატები დიაგონალებითაა დაგრძელებული (ილ. 4.დ.).


ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, გვეძლევა საშუალება შეწყვილებული კვადრატების მეშვეობით პროპორციონირების მეთოდი რამდენადმე გავრცელებულად მივიჩნიოთ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ შვერილების მქონე ბურჯებიან (ჯვრული, T-სებრი) ბაზილიკათა შუა ნავების უჯრედებში.

ურბნისისა და ბოლნისის ბაზილიკების ინტერიერის სიგანეები იდენტურია - 1332 სმ. ბურჯთა აღმოსავლეთ და დასავლეთ შვერილთა სიგანეებიც იდენტურია - 74 სმ. მაგრამ ურბნისის შემთხვევაში ბურჯთა აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების ღერძები არაა განთავსებული ინტერიერის სიგანის მეოთხედებზე. ბოლნისისგან განსხვავებით, ისინი ოდნავ „დაძრულია“ (ჩრდილოეთისა - ჩრდილოეთისკენ, სამხრეთისა - სამხრეთისკენ). ტაძრის ინტერიერის სრული სიგრძე შეფარდებული სიგანესთან $2975:1332 \approx 2.23$ ე.ი. ინტერიერი პასტოფორიუმებიანად $\sqrt{5}$ სწორკუთხედს ექვემდებარება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ურბნისის ტაძარი უკვე არსებული ბოლნისის სიონის მეტროლოგიის ცოდნით კომპოზიციური გადათამაშების შედეგს წარმოადგენს. ბურჯთა აღმოსავლეთ დასავლეთი მიმართულების ღერძების განლაგება კი იმიტომაა განსხვავებული ბოლნისისაგან, რომ შუა ნავის სიგანედ 20-ის ნაცვლად 21 რომაული ფუტია აღებული - $21 \times 29.6 = 621.6$ სმ.

ამგვარად, შუა ნავის ბურჯთა შვერილებს შორის მოქცეული სწორკუთხედის ზუსტი ზომა 621.6 სმ უნდა იყოს, ხოლო თუ ამ სიგანეზე ავაგებთ 2 კვადრატს, დავაგრძელებთ ჩვენთვის უკვე ცნობილი მეოთხედის დიაგონალებით და შემდგომ მიღებული სწორკუთხედების დიაგონალებით, მივიღებთ აზომვისას დაფიქსირებულ მონაცემთან თითქმის იდენტურს ($\sqrt{310.8^2+77.7^2}=\sqrt{102633.93}$; $\sqrt{310.8^2+102633.93} = \sqrt{199230.57} \approx 446.35...$), ე.ი. საზომი ერთეულით განსაზღვრული და გეომეტრიულად ხსენებული გზით მიღებული ზომები მაქსიმალური სიზუსტით დაემთხვა რეალურ მოცემულობას, როდესაც

$\sqrt{2}$ პროპორციის მიღების წესი სტატიკურის ნაცვლად მეოთხედის დიაგონალით დაგრძელებული დინამიკური კვადრატით ჩანაცვლდა (ილ. 4. ე.).



ილ. 4. „დინამიკური კვადრატები“ ადრეული შუა საუკუნეების ქართული ბაზილიკების პროპორციებში

ე.ი. შეწყვილებული კვადრატებიდან, ოქროს კვეთის პროპორციის გარდა (ძვ. შუამთა, ვაზისუბანი), ვხვდებით ნახევრის დიაგონალით დაგრძელებულ დინამიკურ კვადრატს (ზემო ალვანი), მისი დიაგონალით მიღებულ პროპორციას (ყუმი), მეოთხედის დიაგონალით დაგრძელებულ კვადრატს (ბოლნისის სიონი), მისი დიაგონალით მიღებულ პროპორციას (ურბნისის სიონი, ზღუდერი).

დასკვნები. განხილულ ძეგლებში გამოვლინდა რომელიმე დინამიკურ სწორკუთხედთან ახლოს მდგომი პროპორცია, თუმცა მცირედი ცდომილებით. ცდომილება მინიმუმამდე დავიდა და ზომები მაქსიმალურად დაემთხვა ანაზომების მონაცემებს, როდესაც დინამიკური სწორკუთხედი მიღებული იქნა რომელიმე „დინამიკური კვადრატიდან“.

დინამიკური კვადრატებიდან მიღებული პროპორციების პრაქტიკული დანიშნულება ქრისტიანულ ძეგლებში გაუგებარია, თუ ის არ წარმოადგენდა წარმართულ პერიოდში საკრალურად მიჩნეული კვადრატების სქემის (ვასტუ პურუშა მანდალა) გამოყენების პრაქტიკიდან მექანიკურად შემორჩენილ მეთოდს. ამიტომ „დამოუკიდებელი“ სახით ასეთი პროპორციების გამოყენებას ქრისტიანობამდელ საკულტო არქიტექტურაში რამდენადმე გავრცელებულ რელიგიურ მოძღვრებაში უნდა ჰქონდეს ფესვები.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული ძეგლების პროპორციული კვლევისას, თუ გარკვეული ნაწილის სიგრძის სიგანესთან შეფარდება ძალიან ახლოს დგას რომელიმე დინამიკური სწორკუთხედის პროპორციასთან, მაგრამ ოდნავ განსხვავებულია, შესაძლებელია საქმე გვქონდეს არა ცდომილებასთან, არამედ სწორედ დინამიკური კვადრატის მიღებულ დინამიკურ სწორკუთხედთან.

ნაშრომში მხოლოდ ქართული ძეგლები განვიხილეთ, თუმცა სავსებით შესაძლებელია ეს არ იყოს მხოლოდ ადგილობრივი მოვლენა. ვფიქრობთ ჩვენს მიერ განხილული მასალა, გეომეტრიული მონაცემები, ძეგლების პროპორციული ანალიზი, გამოთქმული ვარაუდები თუ გამოტანილი დასკვნები წარმოაჩენს საკითხის შესწავლის აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, ვ., (1974). ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი.
- ზაქარაია, პ., (1965). ნაქალაქარ ურბნისის არქიტექტურა, თბილისი.
„აჟირანიხას“ სახით საქმე გვაქვს კლასიკურ რელიგიურ რიტუალთან, თავისი შემადგენელი ყველა კომპონენტით. დღესასწაულის სახელწოდება, სარიტუალო სივრცის შესაბამისად, უკავშირდება სამჭედლოს - „აჟირა“. ნ. ჯანაშიას ცნობით, აფხაზს აჟირა უფრო საკრალურად მიაჩნია, ვიდრე ეკლესია, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს არა ნამდვილ, არამედ ამა თუ იმ საგვარეულო სიმბოლურ სამჭედლოს, ზოგჯერ ის ტყეშია საგანგებოდ აშენებული, თავისი რელიგიური სამსხვერპლოთი - სიმბოლური გრდემლით და სპეციალური ლოცვაც, რომელიც ადესრულება, როგორც რელიგიური რიტუალის აუცილებელი კომპონენტი, აფხაზთა მჭედლობის ღმერთს - შაშვს - მიემართება. აფხაზურ პანთეონში ღვთაება შაშვს მეორე ადგილი უჭირავს ანცვას შემდეგ და მას ყველაზე სასტიკ და მრისხანე ღვთაებად მოიხსეიებენ, რომლისაც ყველას ეშინია (ჯანაშია, 1899: 9).

აფხაზეთში განსაკუთრებულად ეთაყვანებოდნენ რკინას, მეტალს (სიხარულიძე, 2006: 147), რადგან სწამდათ, რომ იგი მჭედლობის ღმერთის შაშვს მიერ შეიქმნა, რომელმაც ქვასთან შეხებით მისგან გამოიყვანა ყველა ლითონი, რაც ადამიანს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. შაშვი ხშირად გამოიხატება დაფიცების ან დალოცვის ფორმულებში (ზუხბა, 1988: 92-94). დალოცვის და დაფიცების რიტუალში იგულისხმება ღვთაება შაშვს თავისი მუდმივი ატრიბუტით - ჩაქუჩით. სამჭედლოს სასამართლოს წინაშე წარმდგარ ბრალდებულს ტყუილზე დაფიცებისთვის პირდაპირ შაშვს ურო მოელის სასჯელად. შაშვს ატრიბუტია არა მხოლოდ ჩაქუჩი, არამედ ცეცხლიც. ნიკო ჯანაშიას მოჰყავს სამჭედლოში დაფიცების ტექსტი: „დიდო შაშვო, ვისაც გემორჩილება შვიდი ღმერთი და გინთებთ შვიდ სანთელს, გესმის? დაე დამწვას შენმა ცეცხლმა, ვიქნა შენგან დაფერფლილი, თუ ამ საქმეში დამნაშავე ვარ“ - და დაარტყამს ჩაქუჩს გრდემლზე. დამსწრენი, რომელთაც სჯერათ, რომ „შაშვი იმყოფება მათ შორის“ და არ უნდათ მისი განრისხება, მაშინვე წყვეტენ გასამართლების პროცესს და ფიცის მთქმელს უდანაშაულოდ გამოაცხადებენ (Джанашия, 1960: 73). ღვთაების შაშვის თაყვანისცემის დღე აფხაზურ ტრადიციაში ახალი წლის მაგიურობის, შესაბამისად, სამყაროს განახლების, მისი ახლად დაბადების საზრისს დაუკავშირდა.

აფხაზეთში მჭედლები, როგორც განსაკუთრებული საქმის ოსტატები და ღვთაების კულტმსახურნი დიდი პატივისცემითა და გავლენით სარგებლობდნენ, ითვლებოდნენ ადამიანებსა და შაშვს შორის შუამავლებად, ექიმბაშებად, ჯადოქრებად, ჰქონდათ მათი რიდი (განსაკუთრებით მჭედლის დაწყველის ეშინოდან). მჭედლის გაქურდვას ვერავინ გაბედავდა. თუ მჭედელი რომელიმე ხილის ხეს წიდას ჩამოჰკიდებდა, ამ ხის ნაყოფს ხელს ვერავინ ახლებდა. მჭედლები იცავდნენ ზოგიერთ აკრძალვებს, არ შეეძლოთ აბრეშუმის წარმოება, არ აგებდნენ ფაცხებს შექრისგან, არ კლავდნენ გველს, არ ატარებდნენ ტრაურს და სხვა (Званба, 1955; Аджинджал, 1969).

სამჭედლო ატრიბუტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მჭედლობის კულტში. გრდემლსა და ჩაქუჩს (კვერს, უროს) ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება აჟირანიხას რიტუალში. სამეგრელოში და აფხაზეთის ზოგიერთ სოფელში სამსხვერპლო ცხოველის გულ-ღვიძლი წამოიცმება არა შამფურზე, არამედ დაიდება სარიტუალო ხონჩაზე, სადაც ასევე აწყვია მომცრო ზომის, ოდენ საკულტო დანიშნულების ჩაქუჩი, მარწუხი და გრდემლი. აჟის სახელს უკავშირდება როგორც ადამიანებისთვის პირველი საბრძოლო და სამეურნეო იარაღების დამზადება, ისე პირველი მსხვერპლშეწირვა შაშვს მიმართ (ანთელავა, 2006: 117).

აფხაზეთში სამჭედლოს და მჭედელს იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მორწმუნე ქრისტიანთათვის საყდარსა და მღვდელს. აფხაზები სამჭედლოს „ა-ჟირანგხა“-ს უწოდებდნენ და მჭედლობის მფარველი ღვთაების - „შაშვი“-ს საბრძანისად, საღვთო სახლად მიაჩნდათ. აქედან მომდინარეობს აჟირანიხას როგორც საკულტო ნაგებობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და თაყვანისცემა. აფხაზებისთვის იმდენად დიდი იყო შიში ღვთაება შაშვისა და აჟირანიხას წინაშე, რომ აფხაზი უმალ ეკლესიაში დადებდა ყალბ

ფიცს, ვიდრე სამჭედლოში (ანთელავა, 2006: 109; გიორგაძე, 2011: 79; Джанашия, 1960: 76). აქ სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა და ლოცვა ღვთაება შაშვის სახელზე, აქვე ხდებოდა სასამართლო საქმის წარმოება, დაპირისპირებულ მხარეთა დაფიცება, ხატზე გადაცემა, შერიგება და სხვა (ანთელავა, 2006: 109; გიორგაძე, 2011: 79; ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 124). მჭედელის დახმარებით სამჭედლოში იმართებოდა ფიცი. ფიცის მიღების დროს იტყოდნენ „ამ ხატის მადლმა“ და გრდემლზე ჩაქუჩს დაკრავდნენ.

აფხაზებში სამჭედლო, როგორც საკულტო ნაგებობა დიდი ოჯახის სეგმენტაციის შემთხვევაში პატრონიმიის საერთო მფლობელობაში რჩებოდა. ქურდობის ან სხვა რაიმე დანაშაულის შემთხვევაში, დამნაშავეს ღვთაებას გადასცემდნენ დასასჯელად, ხალხის რწმენით, ღვთაება შაშვი ბოროტებას დაუსჯელს არ დატოვებდა, ხოლო ღვთაება „შაშვს“ და „აბიფარას“ წევრებს შორის შუამავალი იყო მჭედელი, რომელსაც ქურუმის ფუნქციაც ჰქონდა მინიჭებული. სამჭედლოში აღმოსავლეთის მხარეს საკულტო კერა იმართებოდა. კედელთან კი მიწაში საზედაშე ღვინით სავსე ქვევრი იყო მიწაში ჩაფლული. ახალი წლის დილას, უხუცესი, პატრონიმიის ხელმძღვანელი საკულტო სამჭედლოს ზვარაკს სამჯერ შემოატარებდა, სახით აღმოსავლეთისკენ მიაბრუნებდა, სათითაოდ ოჯახის ყველა წევრს დალოცავდა და ზვარაკს დაკლავდა (ბახია-ოქრუაშვილი, 2011: 123). თედო სახოკია თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ სამჭედური სასამართლოს როლსაც ასრულებდა აფხაზეთში. „მომჩივანნი მის წინ ფიცულობენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს, ტყუილის თქმას სამჭედლოს წინაშე ვერ გაჰბედავს“ (სახოკია, 1950). სხვა მკვლევრები ადასტურებენ, რომ ყოველი დიდი გასაჭირის დროს, სამჭედლოში მიღებული ფიცი უფრო მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი იყო, ვიდრე ეკლესიაში (რეხვიაშვილი, 1964: 167). სამჭედლოს ის ფუნქციაც ჰქონდა, რომ აჟირაში მიჰყავდათ სულით ავადმყოფები, რომელსაც აჟი გრდემლთან დააჩოქებდა და შესთხოვდა აჟირას ავადმყოფისთვის რკინის სიმაგრე მიეცა და განეკურნა სნეულებისგან. ამ ლოცვას თან ახლდა რიტუალური მსხვერპლი - თხა, რომელსაც შემოატარებდნენ ავადმყოფს, აღმოსავლეთით მიაბრუნებდნენ და ისე დაკლავდნენ (რეხვიაშვილი, 1964: 168).

აფხაზეთში ისევე, როგორც სამეგრელოში, შემონახულია ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ელემენტი - ხატზე გადაცემის წესი (სახოკია, 1956: 66), რომელსაც **ხატიმ გინოჩამა** - ხატზე გადაცემა ეწოდებოდა. ხატზე გადაცემა თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმებით უძველესი სოციალური ყოფიდან მომდინარეა და ამა თუ იმ სამართლებრივი დავის დროს დამნაშავეს დასჯის უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენდა. ხატზე გადაცემის რიტუალი ილორის ეკლესიაში და სამჭედლოში სრულდებოდა. ეს წესი ისტორიულად, რეალურად არსებობდა და თანამედროვე ყოფაშიც იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება და მის შესახებ ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ყველაზე სამძიმო საქმედ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაში და სამჭედლოში **ხატიმ გინოჩამა** - ხატზე გადაცემა ითვლებოდა. ხატი - გადაცემულს უეჭველად, დაამიზეზებდა. ამიტომ მას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. თუმცა ასეთ დაწყევლას იშვიათად მიმართავდნენ, რადგან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეს წყევლა შეიძლებოდა მაწყევარს დაბრუნებოდა. ამიტომ ვინც ხატზე გადასცემდა პირობას დებდა - თუ სამართალი აღსრულდებოდა მის სიცოცხლეში, მაშინ **არსხების** - ახსნის რიტუალს შეასრულებდა. განსაკუთრებული ძალის მქონედ სამჭედლოში გადაცემა მიიჩნეოდა. წყევლის დამთავრების შემდეგ გრდემლზე ჩაქუჩის დარტყმა ამინ-ს ნიშნავდა. სამჭედლოში წყევლის ან გინოჩამას დასრულების შემდეგ მჭედელი გრდემლზე ჩაქუჩს დაჰკრავდა, რითაც რიტუალი დასრულებულად ითვლებოდა. **არსხება** - ახსნა, დახსნა, ერთგვარი რიტუალია, რომელიც ხატზე გადამცემს ემართა. როცა ხატზე გადაცემული და დაწყევლილი ოჯახი ამოწყდებოდა, წყევლის მობრუნების თავიდან ასაცილებლად მაწყევარი ხატს შესაწირით უნდა ხლებოდა, რათა შებრალება და წყევლის

გაბათილება ეთხოვა. არსებების რიტუალი, სადაც გინოჩამა მოხდა იქ უნდა ჩატარებულიყო. მჭედელის ან სამჭედლოს არარსებობის შემთხვევაში, არსებების რიტუალის შესასრულებლად საქმეში გვარის უხუცეს ადამიანი ან საეკლესიო პირი ერთვებოდა.

საველე-ეთნოგრაფიული მასალებით ჩანს, რომ ამ რიტუალების შესრულება არ შეწყვეტილა, იშვიათად მაგრამ მაინც არსებობს ამგვარი პრაქტიკები. უხუცესი რეპოდენტები მიიჩნევენ, რომ გინოჩამას რიტუალი ცუდი მოვლენაა და სამართლის ძიების ეს მეთოდი არ უნდა გამოიყენებოდეს. მათ უჭირთ გინოჩამასთან დაკავშირებულ რიტუალებზე საუბარი, თუ რომელიმე გვარის წარმომადგენელი ჯერ კიდევ ცოცხალია. მთხრობელთა უმრავლესობა ამ რიტუალის შესახებ წარსულ დროში საუბრობს, მაგრამ როდესაც სამჭედლოში **გინოჩამა**-ს შესახებ საუბრობენ, პირჯვარს იწერენ. ასევე, თუ მათ ცნობიერებაში შემორჩენილია, რომ თუ ოდესღაც ამ ადგილას სამჭედლო იყო გამართული, იმ ადგილს მოწიწებით ექცევიან და გავლისას პირჯვარსაც იწერენ. სოფელში, სადაც ძველად სამჭედლო იყო გამართული, იმ ადგილას ოჯახის გამართვა **ვაშინერს** - არ შეიძლება.

თანამედროვე აფხაზეთში 14 იანვარი ოფიციალურად, დასვენების დღეა. წარმართული აჟირნიხუა - მჭედლობის დღესასწაულია და ნიშნავს მსოფლიოს შექმნის (განახლების) დღესასწაულს. აფხაზეთში „აჟირნიხუას“ აღნიშვნის ერთიანი სტანდარტი არ არსებობს. ყველა ოჯახს თავისებური ტრადიცია აქვს. მაგრამ გამაერთიანებელი საგვარეულო აჟირაა (წმინდა სამჭედლო). აჟირას რიტუალისთვის ერთი დიდი ცვილის, რამდენიმე მცირე ზომის სანთელი და თხილის (კაკლის) ტოტისგან კეტი მზადდება. მცირე ზომის სანთლები ოჯახის წევრი ქალებისათვისაა განკუთვნილი. დაბინდებისას იწყება დღესასწაულის მთავარი რიტუალი - ოჯახის წევრი მამაკაცების აჟირაში შედიან. მთავარ მლოცველ უხუცესს მარცხენა ხელში კაკლის ხისგან გამოთლილი კეტი, რომელზეც რიტუალის წესით განსაზღვრული რამდენიმე ღვეზელი და მსხვერპლად შეწირული ხარის გულ-ღვიძლია წამოცმული, მარჯვენა ხელში კი ღვინის ჭიქა უჭირავს. სამჭედლოდან გამოსვლისას მიღებულია იარაღის სროლა. სახლში დაბრუნებისას ლოცვის რიტუალური ნაწილი არ სრულდება. სახლის დიდ ფანჩატურში უხუცესი ქალების თანდასწრებითაც გაიმეორებს ის სიტყვებს, რაც მანამდე აჟირაში წარმოთქვა. ამ დროს ქალები თავიანთ ქალიშვილებთან ერთად ანთებული სანთლებით დგანან ქათმის ხორციტა და ღვეზელებით სავსე სარიტუალო სუფრასთან. ყველა სადღეგრძელოს შემდეგ ამ სანთლებს რიგრიგობით მიაკრავენ სახლის კედელს.

დღესასწაულის დადგომამდე მცირე ხნით ადრე ოჯახის თავს საგვარეულო სამჭედლოში მიჰყავს შესაწირი საქონელი (შაშვს - მჭედლების მფარველ ღვთაებას (წმინდა სოლომონს) მსხვერპლად თხას ან მამალს სწირავენ, ამასთან რიტუალური თხა უსათუოდ უნიშნო თეთრი უნდა იყოს), მას უკან მიყვებიან შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, თუ მამა ახალგაზრდაა და ჯერ ასე არ გამრავლებულა, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მათი შვილები (ბოლო დროს გამონაკლისის სახით - მამიდაშვილებიც, დისშვილებიც), ვინაიდან ხეჩხუამა ოჯახურ, საგვარეულო საკურთხეველში - სამჭედლოში - აჟირაში სრულდება მამის ხაზით ნათესავეების მონაწილეობით, სხვა გვარის წარმომადგენლები - ოჯახის დედის, ცოლის და რძლების მხრიდან სახლში რჩებიან.

სამჭედლოში ყველანი ქუდმოხდილნი შედიან და აუნთებელი სანთლებით ხელში გარს უვლიან გრდემლს. მლოცველი - მახვამერი ლოცვას აღუვლენს შაშვს. ლოცვის დასრულების შემდეგ გარეთ გადიან და დაკლავენ შესაწირ პირუტყვს - თხას, აქვე დაკლავენ თითო ყვინჩილას ყველა მამაკაცისთვის, და ისევ სამჭედლოში შედიან და ჯამში შეგროვებულ სამსხვერპლო სისხლს გრდემლს შესახურებენ. მლოცველი მარცხენა ხელში იღებს ხარგას - თხილის წვირს, ზედ ჩამოცმული სამსხვერპლოს ნეკნებით, გულითა და ღვიძლით, პურის ნატეხით, მარჯვენა ხელში დაიჭერს ჭიქა ღვინოს და თავიდან წარმოთქვამს ლოცვას შაშვისადმი თხოვნით შეიწიროს ზვარაკი. თითოეული მამაკაცი

ანთებს სანთელს, რომელიც ოჯახის მამას წინასწარ აქვს მათთვის ჩამოქნილი, კიდევ ერთხელ შემოუვლის წრეს გრდემლის გარშემო და მორჩილად თავდახრილი დგას, სანამ სანთელი ჩაიწვება. ყველა დალევს თითო ჭიქა ღვინოს, შეაყოლებს თითო ლუკმას საზვარაკე ხონჩიდან და მხოლოდ ამის შემდეგ ბრუნდებიან სახლში, რომ საახალწლო სუფრას მიუსხდნენ (ხაშიგი, 2021).

დასკვნა: ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს, რადგან ოკუპირებულ აფხაზეთში ეთნოგრაფიული მასალების ადგილზე მოპოვება ძნელია, მაგრამ არაა მიუღწეველი, რადგან ინდივიდუალურად მუშაობისას შეიძლება ადგილზე იქნეს მოპოვებული ისეთი მასალები, რომლებიც აფხაზეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგრირებულ საზოგადოებაში ვერ დაფიქსირდეს. აფხაზეთში დღემდე შემორჩა სამეურნეო დანიშნულების უკვე არმქონე სამჭედლოები, სადაც მხოლოდ ლოცვა და მსხვერპლშეწირვა წარმოებს და გრდემლი, ჩაქური და მარწუხი კულტის ობიექტებს წარმოადგენენ. ამრიგად, სამჭედლოს ნაგებობა ყველა დროში კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი იყო. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფაბრიკული შრომის იარაღების მომრავლების შედეგად, სამჭედლოს ჩვეულება მოიშალა, მაგრამ მჭედელსა და სამჭედლოს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ, თანდათანობით მისი ადგილი რელიგიურმა სალოცავმა დაიკავა. ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ძველად თუ ყველა ოჯახში სამჭედლო და მჭედელი იყო, ის თანდათანობით ჯერ უბანში და შემდეგ სოფლის პროფესიონალმა მჭედლებმა შეცვალეს. სიმბოლური სამჭედლო ყველა დიდი ოჯახს საკუთრად უნდა ჰქონოდა. ჰყავდა მჭედელი თუ არა, ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა და სამჭედლოში თუ არა მარანში ქვევრი ჰქონდა ჩაფლული და რიტუალს ოჯახის უფროსი მამაკაცი ალაგლენდა. სამჭედლოს კულტურისა და მისი ღვთაების შიში და მოკრძალება დღემდეა შემორჩენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ასედ, (2022). ავტორის საველე-ეთნოგრაფიული დღიური. აფხაზეთი.
- აბაკელია, ნ. ალავერდაშვილი, ქ. დამბაშიძე, ნ., (1991). ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი.
- აბაკელია, ნ. (1997). სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.
- ანთელავა, ნ. (2006). მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბილისი.
- ბახია, ს. (1982). პატრონიმიის იდეოლოგიური ურთიერთობის საკითხისათვის აფხაზეთში ძველად, წიგნი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი.
- ბახია-ოქრუაშვილი, ს. (2011). აფხაზეთა ეთნოლოგია, თბილისი.
- გიორგაძე, პ. (2011). აფხაზეთი და აფხაზნი (საეთნოგრაფიო აღწერა), თბილისი.
- ზუხბა, ს. (1988). აფხაზური ზეპირსიტყვიერება, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი.
- ინწკირველი, ე. (2022). სამჭედლოს სოციალურ-რელიგიური ასპექტები აფხაზურ-ქართულ მითო-რელიგიურ სისტემაში, კრ: წელიწდეული, ტ. XIV, ქუთაისი.
- მაკალათია, ს. (1927). ახალწელიწადი საქართველოში, თბილისი.
- მაკალათია, ს. (1941). სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი.
- შარდენი, ჟ. (1975). მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბილისი.
- სახოკია, თ. (1950). მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბილისი.
- სახოკია, თ. (1956). ეთნოგრაფიული ნაწერები. თბილისი.
- სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია, თბილისი.
- რეხვიაშვილი, ნ. (1964). ქართული ხალხური მეტალურგია, თბილისი.

- ბაშიგი, ი. <https://jam-news.net/ge/adjirnikhua-afkhazetshi-akhali-ambebi-dzvelit-akhali-weli-mchedlis-dghesaswauli-msoflios-sheqmna-ganakhleba/>, (2021), სოხუმი. [გადამოწმებული: 29.06.2024].
- ჯანაშია, ნ. (1899). აფხაზეთი (ეთნოგრაფიული მასალები), ჟურ: მოამბე №4, II, 1-10. თბილისი.
- Аджинджал, И. А. (1969). Из этнографии Абхазии. Материалы и исследования. Сухуми.
- Ардзинба, В. (1988) . К истории культа железа и кузнечного ремесла (почитание кузницы у абхазов). Древний Восток: этнокультурные связи. https://www.rummuseum.ru/lib_a/ardz_hatti.php [გადამოწმებული: 29.06.2024].
- Джанашия, Н. С. (1960). Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.
- Званба, С. Т. (1955). Этнографические этюды. Сухуми.
- Хашба, А. (2018). Семейные праздники Традиции и современность История Археология и Этнография Кавказа Т. 14, №1, Дагестан.
- Элиаде, М. (1998). Азиатская алхимия. Москва.

REFERENCES:

- ased, (2022). avt'oris savele-etnograpiuli dghiuri. apkhazeti.
- abak'elia, n. alavardashvili, k. ghambashidze, n., (1991). kartul khalkhur dgheobata k'alendari, tbilisi.
- abak'elia, n. (1997). simbolo da rit'uali kartul k'ult'urashi, tbilisi.
- antelava, n. (2006). mitebi, rit'ualebi, simboloebi, tbilisi.
- bakhia, s. (1982). p'at'ronimiis ideologiuri urtiertobis sak'itkhisatvis apkhazetshi dzvelad, ts'igni, sakartvelos ist'oriis sak'itkhebi, tbilisi.
- bakhia-okruashvili, s. (2011). apkhazta etnologia, tbilisi.
- giorgadze, p'. (2011). apkhazeti da apkhazni (saetnograpiio aghts'era), tbilisi.
- zukhba, s. (1988). apkhazuri zep'irsit'qviereba, „tbilisis universit'et'is gamo-mtsemloba“, tbilisi.
- ints'k'irveli, e. (2022). samch'edlos sotsialur-religiuri asp'ekt'ebi apkhazur-kartul mito-religiur sist'emashi, k'r: ts'elits'deuli, t'. XIV, kutaisi.
- mak'alatia, s. (1927). akhalts'elits'adi sakartveloshi, tbilisi.
- mak'alatia, s. (1941). samegrelos ist'oria da etnografia. tbilisi.
- shardeni, zh. (1975). mogzauroba sp'arsetsa da aghmosavletis skhva kveqnebshi, tbilisi.
- sakhok'ia, t. (1950). mogzaurobani. guria, ach'ara, samurzaqano, apkhazeti, tbilisi.
- sakhok'ia, t. (1956). etnograpiuli nats'erebi. tbilisi.
- sikharulidze, k. (2006). k'avk'asiuri mitologia, tbilisi.
- rekhviashvili, n. (1964). kartuli khalkhuri met'alurgia, tbilisi.
- khashigi, i. <https://jam-news.net/ge/adjirnikhua-afkhazetshi-akhali-ambebi-dzvelit-akhali-weli-mchedlis-dghesaswauli-msoflios-sheqmna-ganakhleba/>, (2021), sokhumi. [accessed - 29.06.2024].
- janashia, n. (1899). apkhazeti (etnograpiuli masalebi), zhur: moambe №4, II, 1-10. tbilisi.
- Аджинджал, И. А. (1969). Из этнографии Абхазии. Материалы и исследования. Сухуми.
- Ардзинба, В. (1988). К истории культа железа и кузнечного ремесла (почитание кузницы у абхазов). Древний Восток: этнокультурные связи. https://www.rummuseum.ru/lib_a/ardz_hatti.php [gadamots'mebuli: 29.06.2024].
- Adzhinjal, I. A. (1969). From the Ethnography of Abkhazia. Materials and Research. Sukhumi.
- Ardzinba, V. (1988). On the History of the Cult of Iron and Blacksmithing (Worship of the Forge among the Abkhazians). Ancient East: Ethnocultural Ties. https://www.rummuseum.ru/lib_a/ardz_hatti.php [accessed - 29.06.2024].

Dzhanashia, N. S. (1960). Articles on the Ethnography of Abkhazia. Sukhumi.

Zvanba, S. T. (1955). Ethnographic Sketches. Sukhumi.

Khashba, A. (2018). Family Holidays Traditions and Modernity History Archeology and Ethnography of the Caucasus Vol. 14, No. 1, Dagestan.

Eliade, M. (1998). Asian Alchemy. Moscow.

საიუბილეო თარიღები ANNIVERSARIES

Paradoxical Games (Surrealism 100)

პარადოქსული თამაშები (სიურრეალიზმი - 100)

Rati Chiburdanidze

Batumi Art State University

Professor

+995 598143712, ratichib@gmail.com

Abstract. The beginning of the 20th century was marked by an extraordinary pace of change in Western European art movements collectively referred to as "Modernism" (French Moderne-most recent). Modernist movements rapidly alternated with each other and often existed concurrently. Some painters were associated with different modernist movements throughout their careers. The rebellious spirit and radicalism of young artists, their struggle for creative freedom caused a clash with the official, academic and salon art of the time. From then on, peculiarities of subjective perception gained special importance in the realm of art. In the assessment of creativity, a significant emphasis was placed on the artist's ability to create the original embodiment of his idea and individual vision.

Surrealism with its strong and distinct program is one of the most significant movements of the 20th century. It encompassed fine arts, literature, cinematography, and theater during the period between the two World Wars. To some extent, Surrealism shared aesthetic foundations with Dadaism, from which it inherited anarchic rebellious spirit directed against outdated cultural conventions, ways of thinking and logic. Surrealism (French Surrealisme) is a movement which defies the role of reason in art and considers the subconscious to be the primary wellspring of creative inspiration. The Surrealist worldview was based on various doctrines of philosophical idealism spread in post-war Europe. Henry Bergson's philosophy of intuitionism and Sigmund Freud's psychoanalysis played a special role in shaping underpinnings of the movement.

During the fall of Dadaism, the French poet and psychiatrist Andre Breton (1896-1966) began his creative career. He worked in a neurological hospital and applied Freud's methods while giving medical treatment to soldiers during the World War I. In 1924 A. Breton published the first Surrealism manifesto. He tried to explore the most essential human qualities — forbidden sexual desires, mysterious fantasies and violent instincts. To overcome the constraints, the Surrealists developed a strategy for liberating the subconscious through dream analysis, free associations, automatic writing, verbal games, and hypnotic trances. According to the Surrealist aesthetics, the truth of existence is hidden in the depths of the subconscious and the aim of art is to liberate and express it spontaneously. Like Freud, the Surrealists believed that hidden ideas, desires, memories repressed by the mind surface in dreams from the human subconscious and reveal themselves in the form of "Unconscious complexes". The artists distanced themselves from conscious creativity, which was an effective means of recording uncontrolled processes and images occurring in their own selves.

Keywords: Surrealism; Subconscious; Automatic Writing; Spontaneous; Dream.

რატი ჩიბურდანიძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორი

+995 598143712, ratichib@gmail.com

აბსტრაქტი. XX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში არაჩვეულებრივი სისწრაფით ცვლიდა ერთიმეორეს მხატვრული მიმართულებები, რომელთაც საერთო სახელი - მოდერნიზმი ეწოდა (ფრანგ. Moderne – უახლესი, თანამედროვე). მოდერნისტული მიმდინარეობები სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს და ზოგჯერ თანაარსებობდა კიდევ, ხშირად კი ზოგიერთი მხატვარი თავისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოძრაობის მიმდევარი იყო. ახალგაზრდა მხატვრების მემბოხე სულისკვეთება, მათი შეხედულებების რადიკალიზმი, შემოქმედებითი თავისუფლებისთვის ბრძოლა ოფიციალურ, აკადემიურ და სალონურ ხელოვნებასთან შეჯახებას იწვევდა. ამიერიდან ხელოვნებაში სუბიექტური აღქმის თავისებურებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო შემოქმედების შეფასებისას განსაკუთრებული როლი მიენიჭა მხატვრის ინდივიდუალური ხედვის, იდეის ორიგინალური ხორცშესხმის უნარს.

სიურრეალიზმი XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მძლავრი და მკაფიო პროგრამის მქონე მიმდინარეობაა, რომელმაც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, კინემატოგრაფი და თეატრი მოიცვა. გარკვეულწილად მას იგივე ესთეტიკური საფუძველი ჰქონდა, რაც დადაიზმს - დადაიზმისგან მემკვიდრეობით მიიღო ანარქიული ამბოხის სულისკვეთება, რომელიც დრომოჭმული კულტურული ტრადიციების, აზროვნების და ლოგიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. სიურრეალიზმი (ფრანგ. Surrealisme - ზერეალური) არის მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს გონების როლს ხელოვნებაში და შემოქმედების წყაროს ქვეცნობიერის სფეროში ეძებს. სიურრეალისტურ მსოფლმხედველობას საფუძვლად დაედო ომისშემდგომ ევროპაში გავრცელებული სხვადასხვა იდეალისტურ-ფილოსოფიური მოძღვრებები. მისი ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანრი ბერგსონის ინტუიტივიზმის ფილოსოფიას და ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზს.

დადაიზმის დაშლის პერიოდში შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა პოეტი და ექიმი-ფსიქიატრი ანდრე ბრეტონი (1896-1966). პირველი მსოფლიო ომის დროს ის ნევროლოგიურ ჰოსპიტალში მუშაობდა და ჯარისკაცების მკურნალობისას ფროიდის მეთოდებს მიმართავდა. 1924 წელს მან გამოსცა სიურრეალიზმის პირველი მანიფესტი – ბრეტონი ცდილობდა გამოეკვლია ადამიანის ყველაზე ძირეული თვისებები - აკრძალული სექსუალური სურვილები, საიდუმლო ფანტაზიები თუ ძალადობრივი ინსტინქტები. ამ შეზღუდვებისგან თავის დასაღწევად, სიურრეალისტებმა სიზმრის ანალიზის, თავისუფალი ასოციაციების, ავტომატური წერის, ვერბალური თამაშების და ჰიპნოზური ტრანსების მეშვეობით ქვეცნობიერის გათავისუფლების სტრატეგია შეიმუშავეს. სიურრეალისტური ესთეტიკის თანახმად ყოფიერების ჭეშმარიტება ქვეცნობიერის სიღრმეშია დამალული, ხელოვნების მიზანი კი მისი გათავისუფლება და სპონტანური ასახვაა. ფროიდის იდეების პარალელურად სიურრეალისტებს მიაჩნდათ, რომ გონების მიერ განდევნილი ფარული აზრები, ლტოლვები, მოგონებები ადამიანის ქვეცნობიერიდან სიზმრებში აღწევს და იქ „არაცნობიერი კომპლექსების“ სახით იჩენს თავს. ხელოვნები ემიჯნებოდნენ გაცნობიერებულ შემოქმედებას, რაც საკუთარ „მე“-ში მიმდინარე

უკონტროლო პროცესების თუ წარმოქმნილი სახეების დაფიქსირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: სიურრეალიზმი, ქვეცნობიერი, ავტომატური წერა, სპონტანური, სიზმარი.

XX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპულ ხელოვნებაში არაჩვეულებრივი სისწრაფით ცვლიდა ერთიმეორეს მხატვრული მიმართულებები, რომელთაც საერთო სახელი - მოდერნიზმი ეწოდა (ფრანგ. Moderne – უახლესი, თანამედროვე). მოდერნისტული მიმდინარეობები სწრაფად ენაცვლებოდა ერთმანეთს და ზოგჯერ თანაარსებობდა კიდევ, ხშირად კი ზოგიერთი მხატვარი თავისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოძრაობის მიმდევარი იყო. ახალგაზრდა მხატვრების მემბოხე სულისკვეთება, მათი შეხედულებების რადიკალიზმი, შემოქმედებითი თავისუფლებისთვის ბრძოლა ოფიციალურ, აკადემიურ და სალონურ ხელოვნებასთან შეჯახებას იწვევდა. ამიერიდან ხელოვნებაში სუბიექტური აღქმის თავისებურებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო შემოქმედების შეფასებისას განსაკუთრებული როლი მიენიჭა მხატვრის ინდივიდუალური ხედვის, იდეის ორიგინალური ხორცშესხმის უნარს.

სიურრეალიზმი XX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მძლავრი და მკაფიო პროგრამის მქონე მიმდინარეობაა, რომელმაც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, კინემატოგრაფი და თეატრი მოიცვა. გარკვეულწილად მას იგივე ესთეტიკური საფუძველი ჰქონდა, რაც დადაიზმს - დადაიზმისგან მემკვიდრეობით მიიღო ანარქიული ამბოხის სულისკვეთება, რომელიც დრომოქმული კულტურული ტრადიციების, აზროვნების და ლოგიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. სიურრეალიზმი (ფრანგ. Surrealisme - ზერეალური) არის მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს გონების როლს ხელოვნებაში და შემოქმედების წყაროს ქვეცნობიერის სფეროში ეძებს. სიურრეალისტურ მსოფლმხედველობას საფუძველად დაედო ომისშემდგომ ევროპაში გავრცელებული სხვადასხვა იდეალისტურ-ფილოსოფიური მოძღვრებები. მისი ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ანრი ბერგსონის ინტუიტივიზმის ფილოსოფიას და ზიგმუნდ ფროიდის ფსიქანალიზს.

დადაიზმის დაშლის პერიოდში შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა პოეტი და ექიმი-ფსიქიატრი ანდრე ბრეტონი (1896-1966). პირველი მსოფლიო ომის დროს ის ნევროლოგიურ ჰოსპიტალში მუშაობდა და ჯარისკაცების მკურნალობისას ფროიდის მეთოდებს მიმართავდა. ბრეტონი თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებით იყო დაინტერესებული და ომის შემდეგ დადაისტებს დაუახლოვდა, ხოლო 1920-იანი წლების დასაწყისში სათავეში ჩაუდგა ახალ მიმართულებას - სიურრეალიზმს, რომლის წევრთა უმრავლესობას პირველად ყოფილი დადაისტები შეადგენდნენ. ბრეტონი ენერგიული ორგანიზატორი აღმოჩნდა, მან დაიწყო ჟურნალ „სიურრეალისტური რევოლუციის“ გამოშვება, 1924 წელს კი გამოსცა სიურრეალიზმის პირველი მანიფესტი, რომელშიც ფროიდის კონცეფცია განავითარა. ფროიდის მიხედვით ადამიანის გონება ბრძოლის ველს წარმოადგენს, სადაც ქვეცნობიერის ირაციონალური ძალები მუდმივად ებრძვიან ცნობიერის რაციონალურ, მოწესრიგებულ და ამავედროულად დამთრგუნველ ძალებს. ახალი მოძღვრება ამტკიცებდა, რომ არაცნობიერი ცხოვრება - ქარიშხლიანი და აქტიური, ბევრ საკითხში ადამიანის ქცევის განმსაზღვრელია და ვითარდება ისეთი კანონებით, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს არც მორალთან, არც გონთან, არც „მარადიულ ღირებულებებთან“. ნაყოფიერი პრაქტიკული ცდების და კვლევების მეშვეობით ფროიდი მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანის პირველქმნილ მისწრაფებებს ზღუდავს საზოგადოებრივ აკრძალვათა მთელი სისტემა, განსაკუთრებით „კონფლიქტურ

სიტუაციებში“ ისინი „ატყუებენ ცენზურას“ და ვლინდებიან სიზმრების, ჰალუცინაციების, მისტიკური ხილვების, სხვადასხვა ნევროტიკული სიმპტომების, ბავშვობის ფსიქიკური ტრავმების და მისთანების სახით.

ბრეტონი ცდილობდა გამოეკვლია ადამიანის ყველაზე ძირეული თვისებები - აკრძალული სექსუალური სურვილები, საიდუმლო ფანტაზიები თუ ძალადობრივი ინსტინქტები. ამ შეზღუდვებისგან თავის დასაღწევად, სიურრეალისტებმა სიზმრის ანალიზის, თავისუფალი ასოციაციების, ავტომატური წერის, ვერბალური თამაშების და ჰიპნოზური ტრანსების მეშვეობით ქვეცნობიერის გათავისუფლების სტრატეგია შეიმუშავეს. სიურრეალისტური ესთეტიკის თანახმად ყოფიერების ჭეშმარიტება ქვეცნობიერის სიღრმეშია დამალული, ხელოვნების მიზანი კი მისი გათავისუფლება და სპონტანური ასახვაა. ფროიდის იდეების პარალელურად სიურრეალისტებს მიაჩნდათ, რომ გონების მიერ განდევნილი ფარული აზრები, ლტოლვები, მოგონებები ადამიანის ქვეცნობიერიდან სიზმრებში აღწევს და იქ „არაცნობიერი კომპლექსების“ სახით იჩენს თავს. ხელოვანები ემიჯნებოდნენ გაცნობიერებულ შემოქმედებას, რაც საკუთარ „მე“-ში მიმდინარე უკონტროლო პროცესების თუ წარმოქმნილი სახეების დაფიქსირების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

სიურრეალისტი მხატვრების პირველი გამოფენა შედგა პარიზში 1925 წელს, არტ-დილერ პიერ ლიობის გალერეაში (Galerie Pierre), რომელშიც მონაწილეობდნენ: მაქს ერნსტი, მან რეი, ჰანს არპი, პაბლო პიკასო, პაულ კლექ, პიერ რუა, ანდრე მასონი, ხუან მირო, ჯორჯო დე კირიკო. სიურრეალიზმმა სახვით ხელოვნებაში განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარა. 1920-30 - იანი წლები ამ მიმდინარეობის ჩამოყალიბების და აღმავლობის ხანა იყო. მიმართულება იმთავითვე აქტიურ ხასიათს ატარებდა და მხატვრები განსაკუთრებულ გამომგონებლურ უნარს იჩენდნენ, რათა მაყურებლის თვალი მიეზიდათ. მოგვიანებით გამოჩნდნენ ამ მიმდინარეობის ახალი წარმომადგენლები: ივ ტანგი, სალვადორ დალი, რენე მაგრიტი და სხვ.

ამ დროისთვის პარიზის სალონებსა და გალერეებში წარმატებით იფინებოდა იტალიელი მხატვარი, მეტაფიზიკური ფერწერის ფუძემდებელი, ჯორჯო დე კირიკო (1888-1978). სინამდვილის საზღვრებს მიღმა არსებული იდეალური სამყაროს ავტორისეული სურათები სიურრეალისტების შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. ძირითადად ის ხატავდა ქალაქის მელანქოლიურ პეიზაჟებს არქიტექტურული მოტივებით და სკულპტურებით. მხატვრის უკაცრიელ, სიღრმისკენ მიმართულ კომპოზიციებში, რომლებიც უსიცოცხლო მანეკენებით და თაბაშირის მულაჟებით არის „დასახლებული“, უძრაობაა გამეფებული: „იტალიის მოედანი“ (კერძო კოლექცია, მილანი. 1912), „შემფოთებული მუზეუმი“ (ჯანი მატეოლის ფონდი, მილანი. 1917), „დიდი მეტაფიზიკოსი“ (კერძო კოლექცია. 1917), „ჰექტორი და ანდრომაქე“ (კერძო კოლექცია. 1917) და სხვ. „არ უნდა დავივიწყოთ, რომ სურათი ღრმა გრძნობის ანარეკლი უნდა იყოს და რომ ღრმა ნიშნავს უცნაურს, უცნაური კი უცნობს და უცხოს. იმისათვის, რომ ხელოვნების ნიმუში გახდეს უკვდავი, აუცილებელია ის ადამიანურობის საზღვრებს მიღმა გავიდეს, იქ სადაც არ არსებობს ჯანსაღი აზრი და ლოგიკა. ამგვარად იგი უახლოვდება სიზმარს და ბავშვურ მეოცნებეობას“ - ამბობს მხატვარი. სტატისკურ, პირობით სივრცეში განთავსებული მოცულობითი ფორმები, მკაფიო ფერები, ირეალური განათება თუ მკვეთრი ჩრდილები, რომლებსაც თავისებური მაგიური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, სიურრეალისტურ მხატვრობაში სწორედ დე კირიკომ დაამკვიდრა.

კატალონიელი ხუან მირო (1893-1983) თავის სიურრეალისტურ სურათებში თითქოს ბავშვის ნახატის გულუბრყვილობას ესწრაფვის, მისი აბსტრაქტიზებული ნამუშევრები აღსავსეა თავისებური ბიომორფული არსებებით თუ ფორმებით, რომლებიც უკონტროლოდ ჩნდება მხატვრის გონებიდან: „არლეკინების კარნავალი“ (ოლბრაიტ-ნოქსის ხელოვნების გალერეა, ბუფალო. 1924/25), „ქალი და ჩიტი მთვარის შუქზე“ (ტიეტის

გალერეა, ლონდონი. 1939), „ცისკრის ვარსკვლავი“ (ხუან მიროს ფონდი, ბარსელონა. 1940), „პერსონაჟები და ძალი მზის ფონზე“ (ხელოვნების მუზეუმი, ბაზელი. 1949) და ა. შ. მირო სასურათო სიბრტყეს ფარავდა ფერადოვანი ლაქებით, თხელი ხაზებით, ზიგზაგისებური ნიშნებით, რასაც გამოსახულებაში მისთვის დამახასიათებელი ნათელი, ხალისიანი, ნაივურ-ირონიული ინტონაცია შეჰქონდა, სურათის სიუჟეტს უპირატესად მისი სათაური მიანიშნებს. შემდგომში ოსტატი სულ უფრო უახლოვდება აბსტრაქციას, ასეთია ცნობილი ტრიპტიქი „ლურჯი“ (ჟორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი. 1961). ის ინტენსიურად მუშაობდა როგორც მხატვარ-დეკორატორი, ჩვეულ სტილში ქმნიდა მონუმენტურ პანოებს, ორიგინალურ კერამიკულ და სკულპტურულ ნიმუშებს.

სიურრეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება გერმანელი მაქს ერნსტი (1891-1976). ის ხშირად იყენებდა მექანიკური ხატვის თავისუფალი ასოციაციების პრინციპს, როცა გონება მოდუნებულია და ხატებებს ქვეცნობიერიდან ამოტივტივება შეუძლია. 1925 წელს ერნსტმა ფროტაჟის ავტომატური ტექნიკა შეიმუშავა, ფანქარს ან ნახშირს ტექსტურიან ზედაპირზე მოთავსებულ ქაღალდზე ახახუნებდა და შემთხვევით აღბეჭდილ ფორმებში ფანტასტიკურ არსებებს, მცენარეებს, ცხოველებს და პეიზაჟებს ხედავდა. „წვიმიან სადამოს ზღვისპირა დუქანში ვიმყოფებოდი, მოჯადოებული ვუყურებდი ფიცრის იატაკს, რომლის ზედაპირზეც ათასობით ნაკაწრს დაეტოვებინა თავისი კვალი, როცა ხილვა მესტუმრა გადავწყვიტე ამ ხილვის სიმბოლურ შინაარსს ჩავწვდომოდი. იმისთვის, რომ ჩემი მედიტაციური და ჰალუცინატორული შესამღებლობა გამემლიერებინა, ჩავხატე მთელი სერია იატაკის ფიცრებისა, რომელზეც მიმოვფანტე ფურცლები და ნახშირი გადავუსვი“ - იგონებდა ხელოვანი, ასე შეიქმნა ცნობილი გრაფიკული ციკლი „ბუნებრივი ისტორია“ (1925). ფერწერაში მ. ერნსტი ამ ტექნიკას გრატაჟს უწოდებდა, ტექსტურიანი ზედაპირის მქონე ტილოზე დატანილი საღებავის ფენას ფხეკდა, შემდეგ კი დანახულ გამოსახულებებში „შესწორებები“ შეჰქონდა და უფრო მკაფიოდ „ამჟღავნებდა“. მაქს ერნსტის მიერ სხვადასხვა ტექნიკით შესრულებულ ფსიქოლოგიურ სურათებში ვლინდება საგნებსა და მოვლენებს შორის იმ ბუნებრივი ურთიერთკავშირის რღვევა, რომელიც ქვეცნობიერი პროტესტებით და პირქუში ასოციაციებითაა ნაკარნახევი: „სპილო ცელებესი“ (ტეიტის გალერეა, ლონდონი. 1921), „ქალი, მოხუცი კაცი და ყვავილი“ (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1924), „ურდო“ (სტედელიკ მუზეუმი, ამსტერდამი. 1927), „ევროპა წვიმის შემდეგ II“ (უოდსუორთ ათენეუმი, ჰარტფორდი. 1940/42), „წმინდა ანტონის ცდუნება“ (ვილჰელმ ლემბრუკის მუზეუმი, დუისბურგი. 1945) და სხვ. ასეთ სურათებში ცოცხლდებიან უსულო საგნები, ჩნდებიან ფანტასმაგორიული მონსტრები, ადამიანის ფიგურაში იჭრება „სარკმლები“, რომლიდანაც მოჩანს ნატურალისტურად შესრულებული პეიზაჟი და ა. შ.

ბელგიელი რენე მაგრიტის (1898-1967) შემოქმედება არა იმდენად ფსიქოლოგიური, რამდენადაც ფილოსოფიური, პოეტური და იდუმალია. მხატვარი თვლიდა, რომ სიურრეალისტური სურათისთვის არ არის აუცილებელი ახალი აბსურდული საგნების გამოგონება, საკმარისია მდიდარი ფანტაზია და ორიგინალური აზროვნება, რომ რეალური საგნებითაც შექმნა სურათი-გამოცანა. მაგრიტს ჩვეულებრივთან უჩვეულოს შეჯერების განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. სურათში „პირადი ფასეულობები“ (კერძო კოლექცია, ნიუ-იორკი. 1952) გამოსახულია ყოველდღიური მოხმარების საგნებით სავსე ოთახი, რომლებსაც შეუსაბამო ზომები აქვთ, კედლები კი ღრუბლებიან ცად არის გადაქცეული. ამგვარი ალოგიკური ხერხებით ნაცნობი საგანი უცხო ხდება, ჩვეულებრივი - უცნაური. ცნობილი ნაწარმოები სახელწოდებით „ეს არ არის ჩიბუხი“ (ლოს-ანჯელესის ხელოვნების საოლქო მუზეუმი. 1928/29) საგნის გამოსახულებასთან ერთად იგივე შინაარსის ფრანგულენოვან წარწერას შეიცავს - Ceci n'est pas une pipe. მხატვარი აცხადებს, რომ ეს ჩიბუხი არ არის იმიტომ, რომ ეს ტილოა, რომელზეც საღებავით ქმნის ჩიბუხის ილუზიას. ყოველ სურათში მაგრიტი პარადოქსს ამზადებს: „ადამიანური მდგომარეობა“

(ვაშინგტონის ნაციონალური გალერეა. 1933), „რეპროდუქცია აკრძალულია“ (ბოიმანს-ვან ბენინგენის მუზეუმი, როტერდამი. 1937), „გარღვეული დრო“ (ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი. 1938), „ბუდუარის ფილოსოფია“ (კერძო კოლექცია, ნიუ-იორკი. 1948) და სხვ., ისინი მნახველს აბნევენ და თავსატეხს უჩენენ.

სიურრეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი მხატვარი ივ ტანგი (1900-1955). ის სავაჭრო ფლოტში მეზღვაურად მსახურობდა და ხატვა დაიწყო მას შემდეგ რაც დე კირიკოს ნაწარმოებები იხილა, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანგი არსებითად ერთი და იგივე მოტივს ხატავდა - უკაცრიელ, უსიცოცხლო უდაბნოს თუ ქვიშიანი ზღვისპირის სივრცეს, რომელშიც უცნაური ფორმის მოცულობითად დახატული საგნებია განლაგებული, ისინი ადამიანის სხეულის ნაწილებს თუ ორგანული ბუნების წარმონაქმნებს წააგავს: „დედა, მამა დაჭრილია!“ (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1927), „ინერციის დღე“ (ჟორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი. 1937), „ფრინველების მეშვეობით, ცეცხლის გავლით, მაგრამ არა მინის საშუალებით“ (ხელოვნების ინსტიტუტი, მინეაპოლისი. 1943) და სხვ. მხატვარი რეალურ საგნებს არ ხატავს, მაგრამ მისი გამოგონილი კომპოზიციები ძალიან გულდასმით, მატერიალურადაა შესრულებული.

სიურრეალისტებს შორის თავისი უზადო ფანტაზიით და ექსცენტრიკულობით გამოირჩევა ესპანელი სალვადორ დალი (1904-1989), რომლის შემოქმედებაში ხორცი შეისხა ამ მიმდინარეობის ყველაზე დამახასიათებელმა ტენდენციებმა. 1921-1926 წლებში ის მადრიდის სან ფერნანდოს ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა. სტუდენტურ რეზიდენციაში, სადაც ინტელექტუალური ცხოვრება ჩქეფდა, დალი დაუმეგობრდა პოეტ ფედერიკო გარსია ლორკას და კინორეჟისორ ლუის ბუნიუელს. მოგვიანებით სწორედ ბუნიუელთან ერთად გადაიღო ორი ექსპერიმენტული ფილმი - „ანდალუსიური ძაღლი“ (1929) და „ოქროს საუკუნე“ (1930), რომლებიც კინოს ისტორიაში შევიდა და ახალგაზრდა ავტორებს დიდი წარმატება მოუტანა. საკუთარი სტილის ძიებაში დალი იმპრესიონიზმის, კუბიზმის, ფუტურიზმის და მეტაფიზიკური ფერწერის გავლენას განიცდის, თუმცა თანდათან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ მანერას პოულობს, 1925 წელს ბარსელონის დალმაუს გალერეაში გამართულ მის პირველ პერსონალურ გამოფენას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. 1928 წლიდან სალვადორ დალი პარიზში მკვიდრდება და სიურრეალისტთა რიგებში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. სიურრეალისტურ ესთეტიკაში თავისი წვლილი მხატვარმა „პარანოიდულ-კრიტიკული“ მეთოდით შეიტანა, რომლის მეშვეობით საკუთარ თავს რაციონალური აზროვნების ბორკილებისგან ათავისუფლებდა. ეს მეთოდი ერთდროულად რამდენიმე სპონტანური გამოსახულების შექმნას ეფუძნებოდა. დალი ამა თუ იმ ობიექტზე მზერას დიდხანს აჩერებდა რა დროსაც მხედველობითი ჰალუცინაციის ძალით მის თვალწინ მეორე ან სულაც რამდენიმე დელირიული ნახატი გაიელვებდა, ამ დროს კი პირველადი ობიექტი თავის შესატყვის მნიშვნელობას კარგავდა: „რაც შეეხება ფერწერას, ერთადერთი მიზანი მაქვს - ზუსტად აღვბეჭდო კონკრეტული ირაციონალურობის სახეები.“ ხელოვანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძილის განმათავისუფლებელ თვისებებს, ამიტომ ტილოზე მუშაობას სისხამ დილით იწყებდა, როცა ტვინი ჯერ კიდევ ინარჩუნებს არაცნობიერის სურათ-ხატებს და სიზმრის ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ს. დალი ვირტუოზულად ფლობდა ფერწერის ტექნიკას, მის მიერ დაწერილი საგნების ნატურალიზმი კი „ფერადი ფოტოგრაფიის ილუზორულ სინამდვილემდეა“ დაყვანილი, ამგვარი მეთოდი დიდ დამაჯერებლობას სძენს გამოსახულ მოვლენებს, უპირველეს ყოვლისა კი მხატვრის პარანოიდულ ჰალუცინაციებს: „მეხსიერების მდგრადობა. გამდნარი საათები“ (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1931), „რბილი კონსტრუქცია მოხარშული ლობიოთი. სამოქალაქო ომის წინათგრძნობა“ (ვილადელოფის ხელოვნების მუზეუმი. 1936), „ცეცხლმოკიდებული ჟირაფი“ (მხატვრულ ნაწარმოებთა საჯარო

კოლექცია, ბაზელი. 1936/37), „ნარცისის მეტამორფოზა“ (ტეიტის გალერეა, ლონდონი. 1937), „მონათა ბაზარი ვოლტერის უხილავი ბიუსტით“ (სალვადორ დალის მუზეუმი, სენტ-პიტერსბერგი. 1940) და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო პარიზი არაერთმა ცნობილმა მხატვარმა დატოვა. 1940 წელს სალვადორ დალი ნიუ-იორკში ჩადის. მისი მისწრაფება თვითრეკლამისა და სკანდალური ეფექტებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაფერის გარემოს პოულობს, „მხატვრისათვის უმჯობესია იყოს მდიდარი და არა ღარიბი, ამიტომ ისწავლე აკეთო ისე, რომ შენი ფუნჯი ოქროსა და ძვირფას თვლებს ბადებდეს“ - ურჩევს ხელოვანი მათ, ვინც აპირებს მხატვარი გახდეს. დალი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა - აწყობს გამოფენებს, აფორმებს მაღაზიების ვიტრინებს, ქმნის საბალეტო ლიბრეტოებს და დეკორაციებს, მუშაობს სამკაულის დიზაინზე, თანამშრომლობს ჰოლივუდის კინოსტუდიებთან თუ მოდურ ჟურნალებთან, წერს ავტობიოგრაფიულ წიგნს „იდუმალი ცხოვრება სალვადორ დალისა მოთხრობილი მის მიერვე“ (1942) და ა. შ., იგი საქვეყნოდ აღიარებული ფიგურა ხდება, ერთ-ერთ ინტერვიუში კი იტყვის - „სიურრეალიზმი - ეს მე ვარ“.

1948 წელს სალვადორ დალი ესპანეთში დაბრუნდა და თავისი ხელოვნება ბირთვულ და კათოლიკურ მისტიციზმს დაუკავშირა. მხატვარი წერს ძალზე ეფექტურ, დიდი ზომის კომპოზიციებს სახარების სიუჟეტებზე: „პორტ-ლიგატის მადონა“ (კერძო კოლექცია, ტოკიო. 1950), „სან ხუან დე ლა კრუსის ქრისტე“ (სამხატვრო გალერეა, გლაზგო. 1951), „ატომისტიკური ჯვარი“ (კერძო კოლექცია. 1952), „ჯვარცმა, ჰიპერკუბური სხეული“ (მეტროპოლიტენ მუზეუმი, ნიუ-იორკი. 1954), „საიდუმლო სერობა“ (ვაშინგტონის ნაციონალური გალერეა. 1955), და სხვ., რომლებიც მისთვის ჩვეული ნატურალისტური მანერით, ფორმების ილუზორული გამომსახველობით გამოირჩევა. 1952-63 წლებში დალი აწარმოებდა ჩანაწერებს - „ერთი გენიის დღიური“, მხატვარი დიდი გატაცებით ჰყვება თავის უცნაურობებსა და „ბზიკებზე“, მკითხველის თვალწინ თამაშდება მართლაც პროვოკაციული ფარსები, რომლებშიც სიზმარი და ცხადი ერთმანეთისგან განურჩეველი ხდება. სალვადორ დალი ეხებოდა უკლებლივ ყველაფერს, რაც მისი დროის ადამიანისთვის არსებითი იყო. თავის სურათებსა თუ აღსარებებში მხატვარი მიმართავდა ისეთ თემებს, როგორცაა: სექსუალური რევოლუცია და სამოქალაქო ომი, ატომური ბომბი და ნაციზმი, კათოლიკური რწმენა და მეცნიერება, მუზეუმების კლასიკური ხელოვნება და ა. შ., ყველაფერ ამაზე კი სენსაციურ მოსაზრებებს გამოთქვამდა.

1930-იანი წლების მიწურულს სიურრეალიზმის მიმდინარეობაში ერთსულოვნება დაირღვა. მიმართულებას განუდგა ლუი არაგონი, პოლ ელუარი, რობერ დესნოსი, ტრისტან ტცარა; სიურრეალიზმის ლიტერატურულმა ფრთამ თავისი თავი ამოწურა, მაგრამ სახვით ხელოვნებაში იგი კვლავ იზიდავს ახალ ძალებს და 1930-40-იან წლებში ფართო გასაქანს ჰპოვებს, სიურრეალისტების მრავალი გამოფენა შედგა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, მისი რიგები ახალი წევრებით ივსება: ბელგიელი პოლ დელვო (1897-1994), შვეიცარიელი კურტ ზელიგმანი (1900-1962), ავსტრიელი ვოლფგანგ პაალენი (1905-1959), ესპანელი ოსკარ დომინგესი (1906-1957), კუბელი ვიფრედო ლამი (1902-1982) და ა.შ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ჩილეელი რობერტო მატა (1911-2002), რომელსაც თაობის ყველაზე გამჭრიახ მხატვარს უწოდებდნენ. თავის „კოსმიურ“ ტილოებში მატა გამოსახავდა მძლავრი ფოსფორული შუქით გამსჭვალულ გახლეჩილ ანთროპომორფულ და გეომეტრიულ სხეულთა ქაოტურ ხლართებს, ინტენსიურ ფერადოვან ლაქებს და დაკლაკნილ ხაზებს რითაც, კრიტიკის სიტყვებით, „ატომური ერის გამეფებას მოასწავებდა“, ასეთია: „შინაგანი ლანდშაფტი“ (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სან-ფრანცისკო. 1939), „მიწა - ეს ადამიანია“ (ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი. 1942), „სინათლის ტყვე“ (კერძო კოლექცია. 1943) და სხვ.

1950-იანი წლებიდან სიურრეალისტური გამოფენები უპირატესად რეტროსპექტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ამ მიმდინარეობის პრინციპები, მხატვრული ხერხები თუ ტექნიკური საშუალებები, ტრანსფორმირებული სახით, თანამედროვე კულტურაშიც იჩენს თავს - სახვით ხელოვნებაში, მედიაში, კინემატოგრაფში, სცენოგრაფიაში, დიზაინში და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Klingsohr-Leroy C., SURREALISMUS, Taschen, Koln, 2006.
2. Muller Verlag K., DIE MALEREI des 20. Jahrhunderts. Gesetze des Zufalls und des Wunderbaren: Dada und Surrealismus, Weert, Niederlande, 1996.
3. Швингльхурст Э., СЮРРЕАЛИСТЫ, Лабиринт, Москва, 1998.

საილუსტრაციო მასალა:



ჯორჯო დე კირიკო. პოეტის გაურკვევლობა




ანდრე მასონი. აბჯარი



მაქს ერნსტი. ქალი, მოხუცი და ყვავილი



პოლ დელვო. მძინარე ვენერა




რენე მაგრიტი.
რეპროდუქცია აკრძალულია



სალვადორ დალი. ნარცისის მეტამორფოზა



ხუან მირო. პერსონაჟები და ძალი
მზის ფონზე



ივ ტანგი. ფრინველების მუშეობით, ცეცხლის
გავლით, მაგრამ არა მინის საშუალებით



რობერტო მატა. შინაგანი ლანდშაფტი

სარჩევი:

თეატროლოგია

თამარ ცაგარელი - XII საუკუნე და ქართული თეატრი	გვ. 3
თეიმურაზ კეჭერაძე - იუსუფ კობალაძის ოიდიპოსი	გვ. 10
ლელა წიფურია - კარლო გოლდონის კომედიების ინტერპრეტაციები	გვ. 16
ლაშა ჩხარტიშვილი - „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“ ქართული თეატრი ემიგრაციაში - ისტორია და დღევანდელი	გვ. 24
მარინე (მაკა) ვასაძე - „ფრეკენ ჟულის“ ინტერპრეტაცია უახლეს ქართულ თეატრში	გვ. 35

მუსიკისმცოდნეობა

ლელია მარუაშვილი - კულტურის მეხსიერების კოდების მოდელირება ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში	გვ. 44
მაია ტაბლიაშვილი - ფუგის აღქმის პოტენციალი (მეცნიერ შალვა ასლანიშვილის ალტერნატიული ხედვა)	გვ. 52
შოი აბრახამია - ქრონოტოპული აზროვნების გამოვლენისთვის ქართულ ტრადიციულ და პროფესიულ საგუნდო მუსიკაში	გვ. 59
სვეტლანა არზუმანიანი - სომხური ესთეტიკური ცნობიერების ორმაგი ორიენტაცია	გვ. 68

ხელოვნებათმცოდნეობა

აკაკი სხვიტარიძე - „დინამიკური კვადრატის“ პროპორციები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ტაძრებში	გვ. 75
ბალაჟანა ნურბოსინოვა - ინტერაქტიული ციფრული ხელოვნება: ევოლუცია, ტექნოლოგია და გამოწვევები	გვ. 87

ქორეოლოგია

ალმატ შამშიევი - ყაზახური მამაკაცების ცეკვის სწავლების ინოვაციური მეთოდები და ტექნიკა (ყაზახეთის ქორეოგრაფიის ეროვნული აკადემიის ბაზაზე)	გვ. 97
--	--------

კულტურა

ეკატერინა კენიგსბერგი - XX საუკუნის მეორე ნახევრის და XXI საუკუნის დასაწყისის თანამედროვე ხელოვნების კურატორული პრაქტიკის მხატვრული სტრატეგიების კლასიფიკაცია	გვ. 103
ნინო ხარჩილავა - სამჭედლო - საკულტო ნაგებობა აფხაზეთში	გვ. 110

საიუბილეო თარიღები

რატი ჩიბურდანიძე - პარადოქსული თამაშები (სიურრეალიზმი - 100)	გვ. 121
--	---------

CONTENTS:

THEATROLOGY

Tamar Tsagareli - XII Century and Georgian Theater	p. 3
Teimuraz Kezheradze - Yusuf Kobaladze's Oedipus	p. 10
Lela Tsiphuria - Interpretations of Carlo Goldoni's Comedies	p. 16
Lasha Chkhartishvili - "Sharpen Your Swords, Georgians!" Georgian Theater in Exile - History and Present	p. 24
Marine (Maka) Vasadze - Interpretation of Miss Julie (Fröken Julie) in the Contemporary Georgian Theater	p. 35

MUSICOLOGY

Leila Maruashvili - Modeling of Cultural Memory Codes in the Works of Georgian Composers	p. 44
Maia Tabliashvili - Perceptual Potential of Fugue (Alternative Vision of Scientist Shalva Aslanishvili)	p. 52
Shio Abrakhamia - Revealing Chronotopic Thinking in Georgian Traditional and Professional Choral Music	p. 59
Svetlana Arzumanyan - DOUBLE ORIENTATION OF THE ARMENIAN AESTHETIC CONSCIOUSNESS (ON THE EXAMPLE OF ARMENIAN EARLY MEDIEVAL MUSIC)	p. 68

ART HISTORY

Akaki Skhvitardze - Proportions of the "Dynamic Square" in Temples of early medieval Georgia	p. 75
Balzhana Nurbosynova - INTERACTIVE DIGITAL ART: EVOLUTION, TECHNOLOGY AND CHALLENGES	p. 87

CHOREOLOGY

Almat Shamshiev - INNOVATIVE METHODS AND TECHNIQUES IN TEACHING KAZAKH MEN'S DANCE	p. 97
---	-------

CULTURE

Ekaterina Kenigsberg - THE CLASSIFICATION OF ARTISTIC STRATEGIES OF CURATORIAL PRACTICES OF CONTEMPORARY ART OF THE SECOND HALF OF THE 20 TH AND THE EARLY 21 ST CENTURIES	p. 103
Nino Kharchilava - Smithy – an Iconic Building in Abkhazia	p. 110

ANNIVERSARIES

Rati Chiburdanidze - Paradoxical Games (Surrealism 100)	p. 121
--	--------

